ამომრჩევლის ხმა ამერიკიდან A2

საქართველოს სულ ექვსი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესი აქვს A3

პარტიები ერთმანეთს ანტიკორუფციულ ბიუროში უჩივიან A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი, 2003 წელი. №279 (491)

ფასი 50 თეთრი

## ინციდენტი ლაგოდეხში

წუხელ, გვიან ღამით გავრცელ-და ინფორმაცია, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანში შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს დეპუტატობის კანდიდატის ისაკო ცქიფურიშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი ზვიად ხვედელიძე. ჩვენ დავუკავშირდით დეპუტატობის კანდიდატს, რომელმაც ადამიანის გატაცების ფაქტი დაადასტურა.

დანაშაული მოხდა ნაშუაღამევს. საარჩევნო შტაბის უფროსი სოფელ აფენიდან, სადაც ისაკო ცქიფურიშვილი ცხოვრობს, მიემგზავრებოდა სახლში, სოფელ ჭაბუკიანში. გატაცებულს და დეპუტატობის კანდიდატის მძღოლს გზა გადაუღობა ორმა უნომრო ავტომობილმა, საიდანაც გადმოვიდნენ შეიარაღებული პირები და ზვიად ხვედელიძე იარაღის მუქარით გადაიყვანეს მანქანიდან. მძღოლი ხვიჩა ჯიშკარიანი გატაცების ერთადერთი თვითმხილველია და ამტკიცებს, რომ გამტაცებლებმა მერსედესისა და ოპელის მარკის უნომრო ავტომობილებით ზვიად ხვედელიძე ლაგოდეხის მიმართულებით წაიყვანეს.

ისაკო ცქიფურიშვილმა და გატაცებულის ოჯახის წევრებმა მიმართეს სამართალდამცავებს, ცდილობდნენ განცხადების შეტანას რაიონის პოლიციის განყოფილებაში, რათა დაწყებულიყო გატაცებულის ძებნის ოპერაცია, მაგრამ დაზარალებულების მტკიცებით, სამართალდამცავების მხრიდან არავითარი რეაგირება არ მომხდარა. საარჩევნო შტაბის წევრები, დეპუტატობის კანდიდატის მომხრეები და გატაცებულის ნათესავები თავად ცდილობდნენ ზვიად ხვედელიძის პოვნას. პოლიციელები აცხადებდნენ, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ არაფერი იცოდნენ და დილამდე ვერაფრით დაეხმარებოდნენ დაზარალებულებს.

მოგვიანებით მოვახერხეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან პაატა გომელაურთან დაკავშირება, რომელმაც ლაგოდეხში მომხდარი ინციდენტი დაადასტურა და განგვიცხადა, რომ ზვიად ხვედელიძე სამართალდამცავებმა დააკავეს და მას ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარება ედება ბრალად.

### პოლიტიკა

#### ეუთო-ს იმედი და შევარდნაძის დაპირება

საქართველოსათვის ევროპისკენ მიმავალი გზა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე გადის. ამის შესახებ საქართველოში ვიზიტით მყოფმა ეუთო-ს თავმჯდომარემ, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა იააფ დე ხოოპ სხეფერმა ედუარდ შევარდნაძეს გუშინდელი შეხვედრისასაც განუცხადა.

A3

### უცხოეთი

#### ჯორჯ ბუშმა დაცვას არ დაუჯერა და ბალიზე მაინც ჩავიდა

თავისი აზიური ტურნეს დასასრულს, პრეზიდენტმა ბუშმა ინდონეზიის კუნძულ ბალის მონახულება გადაწყვიტა.

A5

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 22 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 26 |
| ფოთი | 26 |
| თელავი | 21 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 20 |
| ახმეტა | 21 |

#### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0890 |
| ევრო | 2.4433 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4991 |
| რუბლი | 0.0698 |

# კუჩმა: კარგი მეზობელი ასე არ იქცევა!

რაც საქართველოსთან ადვილად გასდის, უკრაინასთან კრემლს, ჭერჭერობით, ვერ გაუვიდა

უკრაინასა და რუსეთს შორის კუნძულ ტუზლას ირგვლივ წარმოქმნილმა დავამ გუშინ პიკს მიაღწია. კუჩმამ შეწყვიტა ვიზიტი სამხრეთ ამერიკაში და შინ დაბრუნდა. უკრაინელმა მესაზღვრეებმა რუსული გემი დააკავეს. უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა კუნძულის სიახლოვეს სამხედრო წვრთნები დაიწყეს, რომელშიც ათობით ავიაგამანადგურებელი მონაწილეობდა.

საქმე ეხება შემდეგს: უკრაინასა და რუსეთს, რომლებმაც სახმელეთო საზღვრები უკვე დაადგინეს, საზღვაო აკვატორია ჯერ არ გაუყვიათ. მოლაპარაკებები ამ საკითხზე 30 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო.

გაგრძელება A5 გვერდზე

# საქართველოში სიტყვის თავისუფლება წვრილმან ხულიგნობად შეფასდა

თამარ კაციტაძე

*პოლიციამ განსაკუთრებული გულმოდგინება მოძრაობა "კმარას" ბოლო შეკრების დარბევისას გამოიჩინა და საქმე სასამართლომდეც მივიდა.*

სამართალდამცველებმა მოძრაობა "კმარას" წევრებს ვერ აპატიეს სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას მყუდროების დარღვევა. სწორედ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო კანცელარიის ბაღში შეკრებილი სახელისუფლებო ბლოკის წევრები ერთმანეთს ტაშს უკრავდნენ, შენობის გარეთ სამოცდაათიოდე სტუდენტი სტვენითა და შეძახილებით ბლოკის მიმართ საკუთარ პროტესტს გამოხატავდა. როგორც "კმარას" აქტივისტები ამბობენ, ყველაფერი მას შემდეგ აირია, რაც ერთ-ერთმა პოლიციელმა ტელეფონით ბრძანება მიიღო.

გაგრძელება A7 გვერდზე



*"კმარას" აქტივისტები არც სასამართლოს დარბაზში იშლიდნენ თავისას.*

# საქართველო ევროპისკენ არ მიდის, ის იქ ბრუნდება

**საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია): დაიბადა 1948 წელს, სოხუმში. 1953 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა; დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი; იმსახურა საბჭოთა ჯარში; 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა სასულიერო სემინარია და იმავე წელს აღიკვეცა ბერად; მსახურობდა დმანისის სიონის ტაძრის, გელათის მონასტრის წინამძღვრად; 1989 წელს სტაჟირება გაიარა რეგენსბურგის (გერმანია) აღმოსავლეთ ეკლესიათა ინსტიტუტში; დაბრუნების შემდეგ მსახურობდა სიონის საკათედრო ტაძარში; იყო სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი; 1992 წლის 25 დეკემბერს ნიკორწმინდის ეპისკოპოსად აკურთხეს; ნიკორწმინდის ეპარქიის შემდეგ, გადაიყვანეს ჯერ საგარეჯო-გურჯაანის და შემდეგ ჭიათურის ეპარქიაში; იყო სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე.**

მაია ჭალაგანიძე

დასავლეთ ევროპის ეპარქიის (რომელიც 2002 წელს შეიქმნა) იურისდიქცია 13 ქვეყანაში ვრცელდება.

ეს არის ევროპის 13 ქვეყანაში გაბნეული მრევლი, ანუ ჩვენი მოსახლეობა. მატერიალური და სხვა არასულიერი პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ევალება. როგორ ასრულებს ხელისუფლება ამ მოვალეობას, ჩვენი გაზეთის ყოველ ნომერში კითხულობთ. როგორ ზრუნავს ჩვენი ეკლესია ამ ხალხის სულიერ მდგომარეობაზე - ამას ქვემოთ წაიკითხავთ.

გაგრძელება B1 გვერდზე



*მიტროპოლიტი აბრაამი.*

# აშშ: აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი შანსი გაუშვა ხელიდან

გაფრთხილება საქართველოს მთავრობას

ლევან ღირსიაშვილი

**"ამერიკის შეერთებული შტატები ღრმად შეშფოთებული და იმედგაცრუებულია იმასთან დაკავშირებით, რომ 2003 წლის 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში არ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს. არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიამ, რომელიც ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპის საბჭოს წევრებისაგან შედგებოდა, 16 ოქტომბერს არჩევნების შეფასება გამოაქვეყნა. ჩვენ ვეთანხმებით აქ მოყვანილ ხედვას იმასთან დაკავშირებით, რომ "15 ოქტომბრის აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნები უმრავლეს საარჩევნო უბნებზე კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ საარჩევნო პროცესი, მთლიანობაში, საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა,"** - ასე იწყება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური განცხადება, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივნის მოადგილემ ადამ ერელიმ გააკეთა.

ოფიციალურ განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ არჩევნების პროცესში გარკვეული პოზიტიური ელემენტები შეინიშნებოდა, როგორიც იყო, უნიფიცირებული საარჩევნო კოდექსის მიღება, მრავალპარტიულობის პრინციპი და ტექნიკური მხარეების გაუმჯობესება. **"თუმცა, ეს ელემენტები სერიოზულმა ნაკლოვანებებმა დაჩრდილა. ეს ნაკლოვანებები შეიცავდა კანდიდატების**

გაგრძელება A5 გვერდზე




*აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ადამ ერელი.*

# ნანა დევდარიანი: შინაგან საქმეთა სამინისტროს და IFES-ს გაყალბებასთან საერთო არაფერი აქვთ

*საარჩევნო სიებთან დაკავშირებული სკანდალი არ ცხრება. მეტიც: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი დაჟინებით იმეორებს, რომ ამ მხრივ, შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძველი ხელმძღვანელობაა. "ყველამ უნდა შეწყვიტოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია IFES-ის დადანაშაულება, რადგან მათ დაკისრებული სამუშაო კარგად შეასრულეს. ამომრჩეველთა სიებში არსებული უზუსტობები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძველი თავმჯდომარის გია ზესაშვილის დროს იყო დაშვებული. რა იდგა ამ ყველაფრის უკან, ამის თქმა მიჭირს. ეს კომპეტენტური ორგანოების გასარკვევია. თუმცა, ის ფაქტი, რომ ძველმა ცესკო-მ დაუდევრობა, გულგრილობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, დღეს უკვე ნათელია", - აცხადებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე ნანა დევდარიანმა კვლავ გაიმეორა, რომ ამომრჩეველთა სიების გადამოწმება საკმაოდ ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს, თუმცა დასძინა, რომ სიების გადამოწმების შემდეგ, **"ცდომილება, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, 10-15 პროცენტს მაინც მიაღწევს."**

**"ყველაზე მძიმე მდგომარეობაა შექმნილი თბილისში. მხოლოდ ისანსა და სამგორში, გადამოწმების შემდგომ, 130 ათასზე მეტი შესწორება იქნა შეტანილი, ხოლო ვაკისა და საბურთალოს რაიონების სიებს 20 ათასამდე ამომრჩევლის მონაცემები დაემატა,"** - ამბობს ცესკო-ს თავმჯდომარე. მისივე ინფორმაციით, გადამოწმებული სიების კომპიუტერიზაცია უკვე განხორციელდა დედაქალაქის ყველაზე დიდ რაიონებში - გლდანსა და ნაძალადევში. დამუშავებულია და კომპიუტერში შესატანად მზადაა მთაწმინდის, კრწანისის, დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონების ამომრჩეველთა სიები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "არჩევნებზე წასვლას სულგუნის გაყიდვა სჯობია"

ვისკენ იხრება მოსკოველი ქართველების პოლიტიკური სიმპათიები

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთში მცხოვრები ქართული საარჩევნო ელექტორატი დღეს სამ პირობით ნაწილად იყოფა: ზვიადისტებად ( და ისინი აბსოლუტურ უმრავლესობაში არიან, მათ ემხრობიან აფხაზეთიდან იძულებით დევნილები, მათ შორის ბევრია ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი), შევარდნაძისტებად და არავისტებად.

შევარდნაძისტები: უკვე გარუსებული ქართველები, ვინც დიდი ხანია, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ვისი ინტელექტუალური უნარიც რუსეთს წარმატებით ხმარდება. მათი უმრავლესობა ინტელიგენტური, კმაყოფით მცხოვრები ოჯახებია. ესაა მოსკოვურ "ტუსოვკებში" გასული ქართული ნაღები. მათ შორის ბევრი ცნობილი ქირურგი, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი და მოქანდაკეა. რამდენიმე ათასი ასეთი ინტელიგენტი დიდი ხანია მოწყდა მშობლიურ ნიადაგს. მათი შვილები თანდათან ივიწყებენ ქართულ ენას და მხოლოდ რუსეთში ქართული კულტურის დღეებზე ღვრიან პატრიოტულ ცრემლებს. ისინი სიხარულით გაიქცეოდნენ 2 ნოემბერს არჩევნებზე და სახელისუფლებო ბლოკს მისცემდნენ ხმას, მაგრამ ამას, ალბათ, ვერ შესძლებენ, რადგანაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. თუმცა, მათ უმრავლესობას ასევე კანონიერი ქართული პასპორტებიც აქვთ. ანუ, უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებიც არიან. ასე რომ, მოსკოვში დღეს არაოფიციალურად დაფიქსირებული 600 ათასი ქართველი სწორედ უკანონო ორმაგი მოქალაქეობის წყალობით შეიძლება შთამბეჭდავი ძალაც იყოს საპარლამენტო არჩევნებზე.

"არავისტები": ქართველი ნიჰილისტები. მათთვის არჩევნებმა საქართველოში დიდი ხანია ყოველგვარი აზრი დაკარგა. რუსეთში გახსნილ საარჩევნო უბნებზე მიუსვლელობას მოსკოველი "არავისტები" მარტივად ხსნიან: პოლიტიკურ დრამას არავინ ელის, რადგანაც არჩევნების შედეგი უკვე წინასწარაა ცნობილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# საქართველოს ხელისუფლება სსფ-ს მისიას "ნაწილობრივ შესრულებული" ვალდებულებებით ხვდება

*გუშინ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ჩამოვიდა. დღეს იწყება ოფიციალური შეხვედრები, რომლებიც დასრულდება 29 ოქტომბერს - ფონდი სამახსოვრო ჩანაწერს დაგვიტოვებს. "ჩანაწერი", როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, საკმაოდ მკაცრი იქნება - ფონდის მისიის ჩამოსვლის დღისთვის საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, მხოლოდ "ნაწილობრივ" არის შესრულებული.*

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, აღნიშნული ვალდებულებები და მათი შესრულების მდგომარეობა დღეისთვის ასე გამოიყურება:

1. პარლამენტს გადასახადების გამარტივების და შემოსავლების მობილიზების 2003 წლის პაკეტები უნდა დაემტკიცებინა. გამარტივების მიმართულებით ნაბიჯი 2003 წლის აგვისტოში გადაიდგა. ასევე, ამ პერიოდში მიიღეს შემოსავლების მობილიზების პაკეტის ნაწილი.

2. უნდა შემუშავებულიყო 2004 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სრულად ითვალისწინებს 2003 წლის ივლისის მისიის შენიშვნებს. მთავრობამ შეიმუშავა ბიუჯეტის კანონპროექტი და კონსტიტუციური ვადების დაცვით შეიტანა პარლამენტში 1 ოქტომბერს. თუმცა, ეს ვარიანტი არ შეესაბამება სსფ-ს 2003 წლის ივლისის მისიის შენიშვნებს. პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის პროექტისთვის წაწერილი რეზოლუციის თანახმად, პრეზიდენტი **"ბიუჯეტში სერიოზული კორექტივების შეტანის უფლებას იტოვებს".** ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სსფ-ს ვიზიტის განმავლობაში ბიუჯეტის თითქმის ყველა პარამეტრი კარდინალურად შეიცვლება.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მერიდიანი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## შალვა ნათელაშვილი: "მე და პრეზიდენტი ყოველ დილით ხარფუხში სახაშეში ვართ"

მაია მოსიაშვილი

**"პირველად პარლამენტში დუშეთის მაჟორიტარად რომ ამირჩიეს, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მარტო 60 მანეთი დამეხარჯა. ჩემი კამპანიის მთავარი ძალა ქალები იყვნენ. ჩემი "ჟიგულიდან" ჯერ ისინი გადმოლაგდებოდნენ, მერე მე და ვერავინ კონკურენციას ვერ მიწევდა,"** - ასე "იტრაბახა" ოთხწლიანი განშორების შემდეგ რუსთაველებთან ჩასულმა შალვა ნათელაშვილმა. მან ბევრი ილაპარაკა ლეიბორისტების წარმატებებზე და ცოტაც ყოფილ კოლეგა-პარლამენტარებზე წაიჭორავა: **"გეტყვით, რა ჯიშის არიან, 8 წელი ვიყავი პარლამენტში და შიგნიდან ვიცნობ ყველას - მოდიან თუ არა პარლამენტში, ითხოვენ კაბინეტებს სველი წერტილებით, მერე ორ მდივანს სქლად შეღებილი ტუჩებით, შემდეგ უცხოურ მანქანას ორი მძღოლით, შემდეგ აწყობენ ახლობლებს სამუშაოდ საბაჟოზე, უარეს შემთხვევაში ტრასაზე და იღებენ გრანტებს დაახლოებით ასეთი სახელწოდებით - "რატომ აჩენს ხოჭო შვილებს"."**

ხალხით სავსე დარბაზი მქუხარე ტაშით აჯილდოებდა ლეიბორიტთა ლიდერს, როცა ის უფასო განათლებასა და სამედიცინო დახმარებაზე, ასევე ეკონომიკის ნაციონალიზებაზე საუბრობდა. **"ჩვენ საერთო სახალხო საკუთრებაში დავაბრუნებთ ენერგეტიკას, საჰაერო და საზღვაო ფლოტს, რკინიგზას, "აზოტს", "მადნეულს", "ფეროს", "ბორჯომს", სახელმწიფო მონოპოლიას გამოვაცხადებთ ნავთობპროდუქტებზე, გავანახევრებთ, იმუნიტეტს და პენსიას გავუუქმებთ პარლამენტარებს,"** - განაცხადა ნათელაშვილმა. მას არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ აპირებს ამ ყველაფრის გაკეთებას, თუმცა არც ხალხს მოუთხოვია დეტალების განდობა. მთავარი ისაა, რომ შალვა ნათელაშვილის განცხადებები ზუსტად ერგება საბჭოური აზროვნების მარწუხებისაგან ჯერაც ვერგათავისუფლებული ადამიანების აზროვნებას, რომლებსაც უდარდელი ცხოვრების ნოსტალგია აქვთ. ისინი სიამოვნებით უჯერებენ ნათელაშვილს და არც კი კითხულობენ, რამდენად რეალურია იმ ყველაფრის გაკეთება, რასაც ქართველ "ლეიბორისტთა" მამა ახმოვანებს.

ის თითქმის ყველა უხერხულ შეკითხვას იუმორითა და ანეკდოტებით პასუხობს, ხალხიდან წამოსულ არც ერთ რეპლიკასა თუ მოძრაობას უკომენტაროდ არ ტოვებს - ეს ნათელაშვილის სტილია და მასაზე კარგად მუშაობს. **"მე და პრეზიდენტი ყოველ დილით ხარფუხში სახაშეში ვზივართ და მომავალი ალიანსის გეგმებს ვაწყობთ,"** - ასე უპასუხა ნათელაშვილმა რუსთაველი ამომრჩევლების კითხვას - რა ურთიერთობა გაქვთ პრეზიდენტთანო.

ნათელაშვილს გუშინ პრეზიდენტი შევარდნაძე არ გაუკრიტიკებია, ის "მთავრობას" ლანძღავდა და "ბოინგიდან ჯორზე გადასმით" ემუქრებოდა.

გუშინვე შალვა ნათელაშვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტობა სურს და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭს იყრის. მისი თქმით, ლეიბორისტები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელისუფლება ახალ ძალას გადასცენ, **"რომელიც კარს არის მომდგარი და მოდის"**.

## ყველა შედეგი გამჭვირვალე რომ იყოს

### "სამართლიანი არჩევნები" ცესკო-სგან ბეიკერის სქემის მეშვიდე პუნქტის შესრულებას ითხოვს

ვერიკო თევზაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" ცენტალური საარჩევნო კომისიისგან მოითხოვს ოფიციალური გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში შევიდეს დეტალური ინფორმაცია საარჩევნო ოლქში შემავალი უბნების საბოლოო შედეგების შესახებ. ყოველივე ეს მიზნად ისახავს საბოლოო შედეგების შეჯამების გამჭვირვალობას. ორგანიზაციის მესვეურები შეგვახსენებენ ბეიკერის სქემის მეშვიდე პუნქტს: **"მთავრობა 15 სექტემბრამდე გამოსცემს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების დეტალური შედეგების დროულად გამოქვეყნებას ყველა დონეზე."**

"სამართლიანი არჩევნები" კიდევ ერთხელ მიუთითებს სიებში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე, თუმცა, იმავდროულად, დადებითად აფასებს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ძალისხმევას, გაწეულს სიების დასაზუსტებლად.

გუშინდელ ბრიფინგზე ისაუბრეს სხვადასხვა დარღვევებზე. აღინიშნა, რომ საარჩევნო უბნებზე ბევრგან არ არის გამოკრული გასაჩივრების წესი (სიებთან დაკავშირებით). კომისიის წევრები აცხადებენ, რომ მათ ეს წესი იციან და თავადვე აუხსნიან ამომრჩეველს, რაც არაკანონიერია. საარჩევნო უბნები სანახევროდ მუშაობენ, ზოგჯერ კი დაკეტილია, მაგალითად: ასპინძაში, დმანისში, საგარეჯოში, თიანეთში, ქუთაისში, ონში, ზესტაფონში, ტყიბულში, ოზურგეთში, ვანში, საჩხერეში, ონში, ცაგერში, ასევე დედაქალაქში – ისანსა და სამგორში. კომისიები არ ხვდებიან ამომრჩევლებს და უბნები საერთოდ დაკეტილია ყვარელში, ბორჯომსა და ქარელში.

"სამართლიანი არჩევნების" შეფასებით, საპატრიარქოს განცხადება, რომ არჩევნების მონაწილეთათვის მარკირება არ შეიძლება იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი, არის დადებითი მუხტი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას არჩევნებისადმი რწმენით და იმედით განაწყობს.



*ნუგზარ კუპრეიშვილი და "სამართლიანი არჩევნები" არჩევნების დეტალური შედეგების გამოქვეყნებას მოითხოვენ.*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში გაერო-ს კვირეული გრძელდება. ყოველწლიური ღონისძიება გაერო-ს საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში სახელმწიფოს მართვის ფორმები და მეთოდები უნდა შეიცვალოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს ეგიდით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი მესამე რაუნდი ჟენევაში დეკემბრის თვისთვის იგეგმება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობის" საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გივი თარგამაძე ვარაუდობს, რომ სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", რომელსაც საბურთალოს რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არ დაუსახელებია, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამ საარჩევნო ოლქში "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" წარმომადგენელს ჯონდი ბაღათურიას დაუჭერს მხარს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში ოპოზიციური პარტიების ორმოცამდე ადგილობრივმა წარმომადგენელმა შიმშილობის აქცია მას შემდეგ შეწყვიტა, რაც გამგებელმა პირობა დადო, რომ არჩევნების პროცესში არ ჩაერეოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარკირება პირველი ნაბიჯია ანტიქრისტეს ამქვეყნად გამეფების გზაზე, - აცხადებს „საქართველოს ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეის" აღმასრულებელი კოორდინატორი ზაზა სიხარულიძე, რომლის თაოსნობითაც, ოცდამეათე დღეა, სახელმწიფო კანცელარიის წინ საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთთან ჩრდილოეთ საზღვრის ზოგიერთ მონაკვეთზე რამდენიმე საკონტროლო-გამშვებ პუნქტებსა და, შესაბამისად, პირადი შემადგენლობის რაოდენობას შეამცირებს. ამ გადაწყვეტილების ორი მიზეზი არსებობს - როგორც ფინანსური, ასევე კლიმატური. **პრაიმ-ნიუსი**

## "არჩევნებზე წასვლას სულგუნის გაყიდვა სჯობია"

პირველი გვერდიდან

ზემოხსენებულ კატეგორიებში არ ეწერება ჩვენი თანამემამულეების კიდევ ერთი ფენა: არალეგალები. 20-დან 50 წლამდე ასაკის მამაკაცები, ვინც დღეს მოსკოვის დამკვრელურ მშენებლობებზე დაქირავებული მონის სტატუსით არიან გაფორმებული. მათ მოსკოვური მილიცია დევნის. ეს ფენა სიღატაკის ზღვარზე მყოფი ობივატელთა ასევე დიდი ჯგუფია, რომლისთვისაც არჩევნებმა ისევე დაკარგა აზრი, როგორც საკუთარ სამშობლოში სოციალურმა სტატუსმა და პოლიტიკურმა აქტიურობამ. მათი ერთადერთი მიზანი შინ დარჩენილი დამშეული და უმუშევარი ოჯახების გამოკვებაა, ანუ მოახლოებულ არჩევნებზე მათი პოლიტიკური აქტივობა ნოლის ტოლფასი იქნება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ერთი პარტიის იმედი აღარ აქვთ და, საერთოდ, ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს. მოსკოველ არალეგალებს, საქართველოს პასპორტებთან ერთად, ყალბად ნაშოვნი მიგრაციული ბარათები უდევთ ჯიბეში, რომელთაც არ ცნობენ რუსეთის სამართალდამცავი სტრუქტურები. ამ ბარათების მფლობელია აფხაზეთიდან ლტოვილთა ასევე უუფლებო მასა, ვინც დღეს, ძირითადად, მოსკოვში მწვანილითა და ხილით ვაჭრობს. მოვაჭრეთა ამ ფენას ყოველდღე მონდომებით ძარცვავენ მოსკოვური ბაზრობების მესაკუთრე აზერბაიჯანელები და ადგილობრივი მილიცია. ამის მიზეზით ხსენებული ელექტორატი უკიდურესი გაღიზიანების გამო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად თამაშობს. "არჩევნებზე წასვლა შევარდნაძისათვის დამატებითი ხმის მიცემაა, ამას კი სულგუნის გაყიდვა სჯობია," -ამბობენ ისინი.

"როცა გაგრაში სახლი დამიწვეს და დედა თვალწინ დამიხვრიტეს, ვინმე ჩემზე ფიქრობდა? - ხმას უწევს ერთი დევნილი, - ახლა უნდათ, რომ მივეხმარო?"

წინასაარჩევნო განწყობებს რაც შეეხება, რუსეთის ფედერაციაში კანონიერად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა აპირებს ხმა მისცეს იმ პოლიტიკურ პარტიებს, ვინც რუსეთთან შემდგომი დაახლოებისა და უფრო მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობის მომხრეა. მათი სიმპათიები მოიცავს იმ პოლიტიკურ პარტიებს, ვინც პრორუსული ორიენტაციის მატარებლები არიან.

## სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო ფინანსები

გუშინ საკუთარი წინასაარჩევნო დანახარჯები კიდევ ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, ბლოკმა - "ახალი საქართველოსათვის" გამოამზეურა:

ანგარიშის მიხედვით, "ახალი საქართველოსათვის" წინასაარჩევნო შემოწირულობების ჯამი 293 040 ლარს შეადგენს. ეს თანხა სახელისუფლებო ბლოკს სულ ოთხმა კერძო, ანუ ფიზიკურმა პირმა შემოსწირა: მურმან ყაჩილავამ - 42 200 ლარი, მიხეილ გაბრიჩიძემ - 44 700 ლარი, ზაზა გუმბერიძემ - 104 800 ლარი და ლევან წულაიამ - 101 340 ლარი.

ბლოკის ხარჯები ასე გამოიყურება : მივლინება - 7000 ლარი, სარეკლამო რგოლები - 164 300 ლარი, რეკლამა პრესაში და ბილბორდები - 11 371 ლარი, მასობრივი ღონისძიებები - 40 000 ლარი. ბეჭდური სააგიტაციო მასალის დამზადება - 66 273 ლარი.

*24 საათი*

თვალსაზრისი

## ამომრჩევლის ხმა ამერიკიდან

თემურ ავალიანი
*აშშ, დენვერი*

საქართველოში უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი ქართველი სამშობლოდან გადახვეწა. მათ რიცხვში ვარ მეც. ვცხოვრობ დღეს აქ - ამერიკის შეერთებული შტატების შუაგულში და ყოველდღიურად ვფიქრობ ჩემს ქვეყანაზე, ჩემს ხალხზე.

ინფორმაციის საშუალებებით მაქვს ყოველდღიური ცნობები მოვლენების განვითარების შესახებ. მდგომარეობა კატასტროფულად მეჩვენება. თუ ასეთი ტემპი შენარჩუნდა, 2 ნოემბერს ბაქოს ფინალი მონაგონი იქნება. როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას, ჩემი აზრით, კარგად არა აქვს გათვლილი არჩევნების გაყალბების ან ჩაშლის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები და ქვეყანას სწირავენ პირადი ინტერესებისთვის.

ვწერ ამ წერილს და არ ვარ დარწმუნებული, გამოქვეყნდება თუ არა. ჩემს წერილებს, მიმართვებს და პუბლიკაციებს რუსული პრესა აქვეყნებს, მიუხედავად იმისა, რომ მასში ძირითადად რუსეთის მიერ საქართველოს არნახულ ზეწოლაზეა ლაპარაკი. ქართულ პრესაში ბევრი საინტერესო წერილი გამოუქვეყნებელი დარჩა. სამაგიეროდ, მასში წამოწეულ საკითხებს იყენებენ მთავრობის პასუხისმგებელი პირები, რაც ერთგვარად მამშვიდებს.

რადგანაც ისევ საქართველოს მოქალაქედ ვითვლები და არ მინდა, ჩემი ხმა გაყალბდეს, ორიოდე სიტყვით შევეხები მოახლოებულ არჩევნებს.

დღეს ძირითადი წინასაარჩევნო დაპირისპირება იგრძნობა ორ ძალას - სამთავრობო ბლოკსა და "ბურჯანაძე-დემოკრატებს" შორის. ამ უკანასკნელთან ერთად შეიძლება განვიხილოთ "ნაციონალური მოძრაობაც", რადგან მათი შემდგომი გაერთიანება ჩემთვის ეჭვს არ იწვევს.

რადგანაც გაზეთი ვრცელი მიმოხილვის საშუალებას არ იძლევა, მინდა მოკლედ წარმოგიდგინოთ ჩემი, როგორც ამომრჩევლის, შეხედულებანი ამ ორ დაპირისპირებულ ძალაზე.

მთავრობა და მისი ბლოკი, რომელსაც დღეს პრეზიდენტი შევარდნაძე ხელმძღვანელობს, აშკარად ვერ ამართლებს ხალხის იმედებს და ავტორიტეტით ვერ სარგებლობს. ამას ადასტურებს როგორც ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობა - უმუშევრობა, კორუფცია, ხალხის სიღატაკე, პარალიზებული ეკონომიკა, ისე ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებიც საქართველოს დასახმარებლად იღვწიან.

ყოველწლიურად ვერ სრულდება ბიუჯეტი. წლების მანძილზე გაუცემელია ხელფასები, პენსიები და დახმარებები. უმუშევართა და ღატაკთა რიცხვით მსოფლიოს პირველ ათეულში, ალბათ, ვერც ერთი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა ვერ შეგვეცილება. ახლანდელი ხელისუფლება იბრძვის, რომ საქართველო მოხვდეს ღარიბი ქვეყნების რიცხვში, რაც, ალბათ, მათ მიერ შექმნილი ფულების ჩამოსაწერადაა საჭირო.

მათ უკანასკნელ "მიღწევად" შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მსოფლიოს კორუმპირებული ქვეყნების ათეულში მოხვედრაც. წარმოუდგენელი მდგომარეობაა - კორუფციის ასეთი ხარისხი და არც ერთი დამნაშავე, დაპატიმრებული პირი, არც ერთი გამოვლენილი სერიოზული საქმე. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობა უძლურია, დაშალოს კორუფციის ის პირამიდა, რომელიც თვითონ ააშენა.

გრძელდება ქვეყნის დაშლა-დანაწევრება. კიდევ უფრო გართულდა აფხაზეთზე და ცხინვალის რეგიონზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის საკითხი. რუსეთის უკანასკნელი სამხედრო დოქტრინა, რომელიც თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა გაახმოვანა და შემდგომში მთელი მსოფლიოს გასაგონად იმეორებს, როგორც ის, ისე პრეზიდენტი პუტინი, ძირითადად, საქართველოზეა გათვლილი. ეს ორი პიროვნება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მსოფლიოს საზოგადოება შეაჩვიოს რუსეთის განზრახვას პრევენციული დარტყმის უფლების შესახებ. ეს ყველაფერი კეთდება საქართველოს დასაშინებლად, რომ მან არ განახორციელოს რუსეთის საწინააღმდეგო რაიმე დიპლომატიური სვლები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად. მიზეზებს, რომელსაც რუსეთის პრევენციული დარტყმები მოჰყვება, რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში, როცა უნდათ, მაშინ მომზადებენ. პირველი ასეთი სვლა უკვე გაკეთდა - გელაევის რუსთავში დასახლება. რუსეთი ჩქარობს... და თუ ჩვენ დეკემბრამდე - რუსეთის პარლამენტის არჩევნებამდე - გადავრჩებით, ეს მოხდება პრეზიდენტის არჩევნებამდე მომავალ წელს. პუტინს არჩევნების წინ ომი კარგად აქვს დაცდილი.

მთავრობა ვერ ახერხებს, გამონახოს საერთო ენა აჭარის ხელისუფლებასთან, რომელიც ძალაუნებურად საქართველოს მტრების მხარეზე აღმოჩნდა. რუსეთის მასმედია და სომხეთის ზოგიერთი პოლიტიკური წრე ყოველნაირად ძაბავენ სიტუაციას სამცხე-ჯავახეთში, სადაც არავითარი საფუძველი ამისთვის არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ასე ცხოვრობს დღეს მთელი საქართველო.

ამ პირობებში სამთავრობო სტრუქტურები - საგარეო საქმეთა სამინისტრო, თვით პრეზიდენტი - არ აკეთებენ მკაცრ ოფიციალურ განცხადებებს. რუსეთის მასმედიაში არ ქვეყნდება ერთი ნორმალური წერილი, რომ პასუხი გაეცეს იმ უსაფუძვლო ბრალდებებს, რაც საქართველოს მიმართ იწერება.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ, პარლამენტმა არ გააკეთეს მკაცრი ოფიციალური განცხადება როგოზინის მონაჩმახის წინააღმდეგ. ეს მონაჩმახი კი, თურმე, მოსამზადებელი პოლიგონი იყო იმ მანიაკალური განცხადებებისა, რომელიც შემდეგ ივანოვმა და პუტინმა გააკეთეს და რომელიც ოფიციალურად რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინად იქნა მონათლული. ძალოვანი სტრუქტურების ყოფილმა ხელმძღვანელობამ პანკისში ჩეჩენ ბოევიკებთან "ჩახუტებით" მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს დღესაც მოიხსენიებენ, როგორც ტერორისტების მფარველ ქვეყანას. შემდეგ კი საკუთარი დოყლაპიობით და აფხაზეთში მათი "ვოიაჟით" დიდი ხნით გადასწიეს აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნების საკითხი.

სწორედ მათი მოღვაწეობის პერიოდში უმაღლეს საფეხურზე ავიდა ადამიანთა გატაცება, კორუფცია, ფულის გამოძალვა, ტერორი და სხვა უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც მსოფლიოში "მაგრად" გაგვითქვეს სახელი. მახსოვს, როგორ განიცდიდა პრეზიდენტი ამ "რკინის მინისტრების" გათავისუფლებას. ხალხი რომ ქუჩაში არ გამოსულიყო და ჟვანიას თავი არ "გაეწირა", ისინი დღესაც ხელისუფლებაში იქნებოდნენ.

ქვეყნის პირველი პრეზიდენტის განდევნის შემდეგ ქართველი ხალხი ორად იყო გაყოფილი, მოშლილი იყო მმართველობის ყველა სფერო. ხალხი მიესალმა შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში. იმ დღეებში მე ვწერდი, რომ შევარდნაძემ უნდა იკისროს ადენაუერის როლი - გააერთიანოს ხალხი და ქვეყანა, ფერფლიდან აღადგინოს საქართველო. რამდენად შესრულდა ეს ყველაფერი, ყველასათვის ცნობილია. გაურკვეველია მხოლოდ, რამდენ ნაწილადაა დღეს გახლეჩილი ხალხი.

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის საკითხი და სათანადო შეფასება მისცე ყველა მოვლენას, რომელიც ბატონი პრეზიდენტისა და მისი მთავრობის მოღვაწეობას ახასიათებს და რომელმაც ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის შიგნით, ისე როგორც პარლამენტში, მას არ ხვდება რაიმე ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც არსებითად იმოქმედებდა მისი პროექტების განხორციელებაზე.

ძალიან კეთილად იყვნენ განწყობილნი ქვეყნის მიმართ (რასაც დღეს აშკარად ვერ ვიტყვით) როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული პირები, მთელი მსოფლიოს თანამეგობრობა, ევროპული სტრუქტურები და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და სხვა დიდი სახელმწიფოები, რომლებიც უწევდნენ ქვეყანას უანგარო დახმარებას.

რომ არა ამერიკის შეერთებული შტატები, ჟირინოვსკის რუსეთს საქართველოს აოხრებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. ერთი რამ, რაც აშკარად თვალშისაცემია, ეს არის ქვეყანაში კაპიტალისტური საზოგადოების ჩანასახი, საქართველოს პირობებისთვის შესაფერისი პატარ-პატარა კაპიტალისტები, ძირითადად ხელისუფლების მხრიდან. დემოკრატიის რაღაც საწყისები (მთავრობის გაზეთები და ტელევიზია). არის, როგორც პრეზიდენტი დაგვპირდა, საზოგადოების ორი ფენა - მდიდრები და ღარიბები, ამასთან, ღარიბების ფენაში გადასულია საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი.

როცა სასწორზე იდება პრეზიდენტისა და მისი მთავრობის მოღვაწეობის მთელი პერიოდი, არ უნდა დაგვავიწყდეს პრეზიდენტის პირადი წვლილი ნავთობსადენებისა და გაზსადენების პროექტების დამტკიცებასა და ამ სამუშაოების დაწყებაში. აგრეთვე ის შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც შევარდნაძის პიროვნებამაც ითამაშა "ამოუცნობი" რუსეთის მიმართ - საბჭოთა კავშირის ხელახალი რეანიმაციის საკითხში. რუსეთის ზოგიერთი ხელმძღვანელის განცხადებით, მათ ამ ჩანაფიქრზე დღესაც არ აუღიათ ხელი.

უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის დღესაც გაურკვეველმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ და მისმა ავადმყოფურმა დაინტერესებამ აფხაზეთითა და სამხრეთ ოსეთით, ხელი შეუშალა შევარდნაძეს იმ პროექტების განხორციელებაში, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენდა და ქვეყანას სახელმწიფოებრიობას დაუბრუნებდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ბატონი პრეზიდენტის და მისი გუნდის ცხრაწლიანი მოღვაწეობა უნაყოფო და ხალხის იმედგაცრუების პერიოდი იყო. ამის გამო დღეს უფრო გასაოცარია პრეზიდენტის პოზიცია, რომელიც მისი გუნდის წევრებს კბილებით იცავს. ხალხი, სხდომებზე გამოუცხადებლობით პარალიზება რომ გაუკეთეს პარლამენტს, ხელახლა არჩევის ღირსნი არ არიან.

დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები სწორედ ის პიროვნებები არიან, რომლებიც პარლამენტისა და ხელისუფლების სტრუქტურებიდან მოვიდნენ და დიდი ხნის განმავლობაში მხარში ედგნენ ბატონ პრეზიდენტს ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

როგორც ყველასათვის ცნობილია, მათ შორის განხეთქილება მოხდა ქვეყნის შიგნით შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის - არნახული კორუფციის, გადასახადების დამალვის და ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიმართ პრეზიდენტის შემგუებლური დამოკიდებულების გამო. ყველას კარგად გვახსოვს ბატონი ჟვანიას წერილი პრეზიდენტის სახელზე და მიზეზები, რის გამოც ის ოპოზიციაში გადადიოდა. აგრეთვე სააკაშვილის განცხადებები თანამდებობის პირთა მიერ სასახლეების შენებასა და უკანონო შემოსავლებზე.

ეს ყველაფერი გაკეთდა პრეზიდენტის მრავალი განცხადების შემდეგ, რომ იწყებოდა გადამწყვეტი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. როცა "შეგირდები" დარწმუნდნენ, რომ ასეთი ბრძოლა საერთოდ არ დაიწყებოდა, მათ ოპოზიციაში გადასვლა არჩიეს. ამ ხალხს დღეს შეიძლება "მართლები" ეწოდოს.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" დღევანდელი მაღალი რეიტინგი სწორედ იმ პოზიციითაა გამოწვეული, რომელიც, მიუხედავად პრეზიდენტის მათ მიმართ კარგი დამოკიდებულებისა და თანამდებობებისა, მათ ხალხისა და ქვეყნის გადასარჩენად დაიკავეს. ისინი აშკარად წავიდნენ როგორც პრეზიდენტის, ისე იმ შავი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც სასტიკად უსწორდებიან იმ ხალხს, ვინც მათ დიდი ფულის მოხვეჭაში უშლის ხელს. მათი ეს მოქმედება პატარა, გამჭვირვალე საქართველოში ერთგვარი გმირობის ტოლფასია.

პრეზიდენტს არა აქვს არავითარი საფუძველი (თუ ეს რაღაც ახირება არ არის), მხარი არ დაუჭიროს ამ აშკარად მართალ ძალას.

ჩემთვის ძნელია უცნობ პიროვნებებზე ვილაპარაკო და გადაჭრით ვთქვა, რომ ისინი ხელისუფლებაში მოსვლისას ნამდვილად შეძლებენ მართლაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ კორუფციას, შეასრულონ ბიუჯეტი, დაარიგონ ხელფასები და პენსიები, აღადგინონ ქვეყნის მთლიანობა და გამოიყვანონ ქვეყანა იმ კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელშიც დღეს არსებულმა ხელისუფლებამ მიიყვანა.

მაგრამ საფუძველი, რომ ისინი მთელი ძალით იბრძოლებენ ამ ამოცანების შესასრულებლად, არსებობს. ბატონი ზურაბ ჟვანია უკვე შემდგარი პოლიტიკოსია - ნათელი გონებით და საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში. დიდ პოლიტიკაში ნაკლები პოლიტიკური სტაჟის მიუხედავად, სერიოზული ნაბიჯებით მიიწევს წინ დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. მისი განცხადებები და ინტერვიუები ყურადღებას იპყრობს საკითხის ღრმა ცოდნით და მაღალი ინტელექტით. ეს განსაკუთრებით ეხება მის მოსკოვურ შეხვედრებს. ასევე პატივისცემას იმსახურებს ამ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის, ბატონ აკაკი ასათიანის პიროვნებაც.

მე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას ამ საკითხებზე, რომ საქართველოში დღეს აშკარად შეიმჩნევა ჩამოყალიბებულ პოლიტიკოსთა დეფიციტი. ამდენი პარტიისა და აზრთა ასეთი დაპირისპირება ლოგიკური აზროვნების აშკარა დეფიციტზე მიუთითებს. ამ ბლოკს აქვს შესაბამისი ავტორიტეტი და შესაძლებლობა, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მობილიზება გაუკეთოს მთელი ოპოზიციის მოწინავე ძალებს და მათი ნიჭი ქვეყნის გადასარჩენად გამოიყენოს. სამთავრობო ბლოკს ამის შესაძლებლობა არ აქვს.

ხედავს რა ძალთა ასეთ განაწილებას, პრეზიდენტი შევარდნაძე მიმართავდა ოპოზიციას, რომ დაეტოვებინა ის ხიდი, რომელიც შემდგომში მათ ერთად მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა. ეს იყო აშკარა განაცხადი იმისა, რომ ის გრძნობს ოპოზიციის სიძლიერეს და მომავალ არჩევნებში მათ გამარჯვებას არ გამორიცხავს. მაგრამ ის, რაც დღეს ხდება საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, აშკარად მიუთითებს იმას, რომ სამთავრობო ბლოკმა და მთავრობის სტრუქტურებმა გადაწყვიტეს, ან გააყალბონ ან საერთოდ ჩაშალონ არჩევნები.

გაოცებას იწვევს ცესკო-ს პოზიციაც, რომელიც მხარში უდგას სამთავრობო ბლოკს და ამტკიცებს, რომ სიების არასწორად შედგენაში ოპოზიციაა დამნაშავე.

ამას ემატება ის შემაძრწუნებელი პიარ-კამპანია, რომელსაც სამთავრობო ბლოკი კადრულობს მათი მთავარი მოწინააღმდეგეების მიმართ. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი ისევ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ხალხის თვალში მისი ავტორიტეტი უფრო ეცემა.

როგორც სამთავრობო ბლოკმა და მისმა ხელმძღვანელებმა, ისე ოპოზიციამ კარგად უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველო დგას გზის გასაყარზე - ქვეყნის დაღუპვა ან გადარჩენა. ამ ურთულეს სიტუაციაში, როცა ქვეყნის მომავალი მართლაც ბეწვზე ჰკიდია, არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად ქვეყნის პრეზიდენტთან უნდა შეიქმნას საგანგებო შტაბი, რომელიც იკისრებს პასუხისმგებლობას დღემდე გადაუწყვეტელი საკითხების მოგვარებაზე.

რაც შემეხება მე, 2 ნოემბერს მივდივარ საარჩევნო ყუთთან და თუ ჩემი წერილი წაიკითხეთ, მიხვდებით, ვის მივცემ ხმას.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

### მოკლედ

## დემოკრატიის სახელმძღვანელო

დემოკრატიის მშენებლობის დასაწყებად დასავლეთი კონკრეტული სახელმძღვანელოებითაც გვეხმარება. სტოკჰოლმში დაფუძნებულმა სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციამ "იდეა", ქართველ ექსპერტებთან ერთად, ნაშრომი - "დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში" - გამოაქვეყნა. ნაშრომი 12 ბროშურისგან შედგება. **"იმის გარკვევას, თუ რამდენად დემოკრატიულები ვართ და რის მიღწევას უნდა ვეცადოთ პირველ რიგში, საქართველოს წამყვანი პოლიტოლოგ-ექსპერტები რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდნენ",** - განაცხადა სამხრეთ კავკასიაში "იდეა"-ს წარმომადგენელმა და პროგრამის ხელმძღვანელმა არმინე არაკელიანმა. ამ ექსპერტებს შორის არიან: გია ნოდია, დავით უსუფაშვილი, გია გეწაძე, დავით დარჩიაშვილი და გიგი თევზაძე. არაკელიანის განმარტებით, **"ამ ნაშრომის გამოცემის მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს მიეღო მონაწილეობა საზოგადოებრივ დისკუსიაში".** გუშინ "მარიოტში" გაიმართა დემოკრატიის ასაშენებლად დაწერილი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, რომელსაც საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსი დაესწრო.

*24 საათი*

## სოხუმში რუსული პასპორტების გაცემა განახლდა

გუშინ სოხუმში რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემა განახლდა. უახლოეს დღეებში აფხაზეთში მოქმედი რუსული სათვისტომო "Славянский Дом"-ის თხოვნით მიმართავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გამონაკლისი დაუშვას აფხაზეთის მოსახლეობისათვის და გააგრძელოს რუსეთის ფედერაციის შტამპიანი საბჭოთა პასპორტების მოქმედების ვადა, რომელიც 2004 წლის 1 იანვარს იწურება. ამის შესახებ იუწყება "Славянский Дом"-ის ხელმძღვანელი გენადი ნიკიტჩენკო, რომლის მონაცემებით, სოხუმში ამჟამად 3000-მდე რუსული პასპორტია ჩატანილი. "რუსეთის მოქალაქეობას აფხაზეთში მცხოვრები ყველა მსურველი მიიღებს და რუსული პასპორტების გაცემა უახლოეს დღეებში დასრულდება," - აღნიშნა მან. ნიკიტჩენკომ არ დააზუსტა აფხაზეთში მცხოვრებ იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა უკვე მიღებული აქვთ.

რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების მორიგი პარტიის სოხუმში ჩატანა დაემთხვა რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის მრჩევლის ანატოლი მოსტოვოის ვიზიტს აფხაზეთში.

დაზუსტებული ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად განცხადება აფხაზეთში მცხოვრებ 180 000 მოქალაქეს აქვს შეტანილი. მოქალაქეობის მიღების მსურველთა ხელახალი რეგისტრაცია აფხაზეთში მიმდინარე წლის 1 მარტს დაიწყო. **ინტერ-პრესი**

## ლევან პირველი IFES-ზე თავდასხმას კატეგორიულად უარყოფს

"ექსპოჯორჯიას" ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია IFES-ის საინფორმაციო ცენტრია განთავსებული, გუშინწინ ღამით თავდასხმა განხორციელდა.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, თავდამსხმელი, რომელმაც "IFES"-ის შენობაში მინები ჩაამსხვრია, თანამშრომლებს ამომრჩეველთა სიების საკუთარი ინტერესების შესაბამისად შედგენას აიძულებდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოარული ხმების თანახმად, თავდამსხმელი დეპუტატი ლევან პირველი იყო, რომელიც "მრეწველების" მაჟორიტარი კანდიდატია ჩუღურეთის რაიონში.

ლევან პირველი "ექსპოჯორჯიაში" მომხდარ ინციდენტში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, "ექსპოჯორჯიას" ტერიტორიაზე გუშინწინ ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობა შეიკრიბა, რომლებიც სიების შემოწმებას მოითხოვდნენ. ვინაიდან მოსახლეობამ "IFES"-გან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, დახმარებისთვის მიმართა პირველს.

ლევან პირველის განმარტებით, იგი "IFES"-ის თანამშრომლებს სიების წარდგენაზე, ყოველგვარი ძალადობისა და ინციდენტის გარეშე, 22 ოქტომბრისთვის შეუთანხმდა: "იმ შემთხვევაში, თუ "IFES"-ი ნორმალურ სიებს წარმოადგენს, გადასაწყვეტი არაფერია. მაგრამ თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში ეჭვი მეპარება და ჩვენი პარტია პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს," - განაცხადა ლევან პირველმა.

შეკითხვაზე: მართლა ჰქონდა თუ არა ადგილი ზემოთ აღნიშნულ ინციდენტს, ან რატომ არ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს? – "IFES "-ის წარმომადგენლებმა პასუხისგან თავი შეიკავეს და ეს ფაქტი უკომენტაროდ დატოვეს. **ინტერ-პრესი**

# ნანა დევდარიანი: შინაგან საქმეთა სამინისტროს და IFES-ს გაყალბებასთან საერთო არაფერი აქვთ

პირველი გვერდიდან

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საინფორმაციო სამსახური "09", ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით, მოსახლეობის მომსახურებას 26 ოქტომბრამდე დროებით წყვეტს. სამსახურის უფროსის გიორგი ქოჩლაძის განცხადებით, "ეს გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საინფორმაციო სამსახურმა და ამ პროექტის დამფინანსებელმა "Georgia online"- მა ერთობლივად მიიღეს. საინფორმაციო სამსახური მომსახურებას 26 ოქტომბრის შემდეგ განაახლებს.

გუშინვე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ IFES-ს საზღვარგარეთ მცხოვრებ ამომრჩეველთა 80-ათასიანი სია გადასცა. ნანა დევდარიანის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სიების გადამოწმება 26 ოქტომბრამდე აუცილებლად უნდა დასრულდეს.

**"იმ შემთხვევაში, თუკი ოპოზიციური პარტიების ლიდერების განცხადება სიმართლეა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გახსნილ საარჩევნო უბნებში კომისიის თავმჯდომარეების პოსტებს იქ მივლინებული ელჩები იკავებენ, სასამართლოში აუცილებლად უნდა შევიდეს სარჩელი და ელჩთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხი სასამართლომ უნდა განიხილოს,"** - აცხადებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საკუთარი განკარგულებით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის საზღვარგარეთ გახსნილი 63 საარჩევნო უბნიდან 4 (ტრაპიზონის, სალონიკის,



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნანა დევდარიანის აზრით, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების კანონდარღვევით გახსნის შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა.*

კიევისა და დონეცკის) საარჩევნო უბანი გააუქმა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამ ქალაქებიდან არ ჩამოსულა მონაცემები იქ მცხოვრებ ამომრჩეველთა თაობაზე.

გუშინვე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საავადმყოფოებიდან და წინასწარი დაკავების ადგილებიდან ამომრჩეველთა სიის წარმოდგენის ბოლო ვადად 30 ოქტომბერი განსაზღვრა, დაამტკიცა რამდენიმე საარჩევნო პროცედურა, საარჩევნო დოკუმენტაციების ფორმა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა იმ ამომრჩევლებს, რომელთაც კენჭისყრის დღეს ხელთ ექნებათ სამხედრო ნამსახურების ბარათი. სხვათა შორის, ცესკო-ს ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებისთვის. ნუგზარ კუპრეიშვილის განცხადებით, ამით არჩევნების შედეგების გაყალბების რისკი მატულობს.

თუმცა ცესკო-ში აცხადებენ, რომ ზოგადად, არჩევნების სამართლიანად გამართვის ალბათობა მაღალია. ასე მაგალითად, ნანა დევდარიანის განცხადებით, 2 ნოემბერს (და, აგრეთვე, მის შემდგომაც) ყველა ამომრჩეველს საკუთარი უცვლელი კოდი ექნება და იგი, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიუხედავადაც, იგივე დარჩება.

და ბოლოს: გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინ "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა საპროტესტო აქცია გამართეს, ხოლო მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ცესკო-ს თავმჯდომარეს შეხვდა.

აქციის მონაწილეები ცესკოსგან ამომრჩეველთა სიებში ოპოზიციური პარტიების მიერ შეტანილი შესწორებების გათვალისწინებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული მონაცემების მათთვის გადაცემას ითხოვდნენ. აქცია მალევე დაიშალა, რადგან მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.

# საქართველოს სულ ექვსი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესი აქვს

შოთა უტიაშვილი

*საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო ეროვნული უშიშროების კონცეფციაზე მუშაობას ასრულებს. დოკუმენტი, სავარაუდოდ, წლის ბოლოსათვის უნდა გამოქვეყნდეს.*

**"დოკუმენტის დანიშნულება ძირითადი ეროვნული ინტერესების განსაზღვრა, საფრთხეების გამოვლენა, რომელიც მათ ემუქრება და იმ პოლიტიკის ჩარჩოების მოხაზვა, რომელიც უნდა გაატაროს სახელმწიფომ ამ საფრთხეებთან გასამკლავებლად,"** – ამბობს ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ავტორი, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ნიკოლოზ ვაშაკიძე.

კონცეფციის თანახმად, საქართველოს ექვსი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესი გააჩნია. ესენია: **დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, თავისუფლება, ეროვნული ერთიანობა, კეთილდღეობა და მშვიდობა**.

**"ძირითადი ინტერესების განსაზღვრასთან დაკავშირებით, სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნა,** – ამბობს ვაშაკიძე, – **გაჩნდა აზრი, რომ ინტერესების ნაცვლად ჩაწერილიყო ეროვნული ღირებულებები** (როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ან მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი), **მაგრამ მივიჩნიეთ, რომ თუ ხსენებული 6 ინტერესი დაცული იქნება, მაშინ არც საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობას და არც მის სულიერ ღირებულებებს არ დაემუქრება საფრთხე"**.

იმ საფრთხეებს, რომლებიც ძირითად ეროვნულ ინტერესებს ემუქრება, დოკუმენტი საკმაოდ ზოგადად განსაზღვრავს. ავტორები ამბობენ, რომ მეტ დაკონკრეტებას ორი მიზეზის გამო მოერიდნენ: შესაძლო პოლიტიკური პრობლემებისა და თავად ამ საფრთხეების კომპლექსური ხასიათის გამო.

**"საქართველო მსოფლიოს ნაწილია და ის საფრთხეები, რომლებიც ემუქრება მთელ მსოფლიოს, ემუქრება საქართველოსაც. ისეთი პრობლემები, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, საქართველოშიც პოულობს გამოძახილს. პანკისის ხეობის მოვლენები ამის დასტურია.**

**სამწუხაროდ, საქართველო არასტაბილურ რეგიონში მდებარეობს. კვლავაც გადაუჭრელია ჩეჩნეთისა და ყარაბაღის კონფლიქტები, ეს ყველაფერი**



*საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი ნიკოლოზ ვაშაკიძე.*

**კი ქვეყნისათვის დამატებით პრობლემებს წარმოშობს. გლობალურთან ერთად, საქართველოს რეგიონული საფრთხეებიც ემუქრება.**

**და ბოლოს, არის შიდა საფრთხეები. პირველ რიგში, ესაა გადაუწყვეტელი კონფლიქტები, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება და დესტაბილიზაციის თავიდან აცილება"**.

**"საგარეო და საშინაო საფრთხეების ერთმანეთისაგან გამოყოფა ხშირად შეუძლებელია,** – ამბობს ბ-ნი ვაშაკიძე, – **მაგალითად, ძნელდება გარჩევა, ენერგეტიკული უსაფრთხოების, ან გადაუჭრელი კონფლიქტების პრობლემა თავისი ბუნებით საშინაოა თუ საგარეო"**.

კონცეფცია არ განსაზღვრავს იმას, როგორ უნდა მოგვარდეს ესა თუ ის პრობლემა, ან ვის უნდა დაევალოს მათი გადაჭრა. მაგრამ, ვაშაკიძის თქმით, თუ საკითხი მოხსენიებულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

**"მაგალითად, თუ კონცეფცია ამბობს, რომ ენერგომომარაგების მხოლოდ ერთ წყაროზე დამოკიდებულება ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაა, მაშინ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მეორე წყაროც შექმნას,"** – აცხადებს ბ-ნი ვაშაკიძე.

ზემოთჩამოთვლილი პრობლემები აქამდეც ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. თუმცა, კონცეფცია უკვე ოფიციალურად აცხადებს, რომ მათ გადაწყვეტაზე, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ყოფნაარყოფნის საკითხია დამოკიდებული და ყველა უწყება ვალდებულია, მათ გადაწყვეტას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს.

დოკუმენტის ავტორების აზრით, შიდა საფრთხეების გადაჭრა პირდაპირ კავშირშია კორუფციასთან ბრძოლასთან. **"კორუფცია იმ დონეზეა მისული, რომ უკვე ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება**, – ამბობს ბ-ნი ვაშაკიძე, - **ჩვენს პრიორიტეტებში ერთ-ერთი მთავარია სახელმწიფო მმართველობის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, კორუფციის მინიმუმამდე დაყვანას. კორუფცია მნიშვნელოვან პრობლემებს გვიქმნის თითქმის ყველა სფეროში, დაწყებული სამხედრო აღმშენებლობიდან და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენიდან, სოციალური და ეკონომიკური განვითარებით დამთავრებული"**.

რითი უნდა უპასუხოს ქვეყანამ მის წინაშე მდგომ საფრთხეებს? კონცეფცია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის 7 პრიორიტეტს ადგენს: **საგარეო კავშირების განმტკიცება, თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება, ნავთობისა და გაზის მილსადენების უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, სახელმწიფო მართვის გაუმჯობესება.**

**"პრიორიტეტების განსაზღვრისას ჩვენს ხელთ არსებული რესურსებიც გავითვალისწინეთ,** – ამბობს ბ-ნი ვაშაკიძე, – **ჩვენ რომ ძლიერი და დიდი სახელმწიფო ვიყოთ, უსაფრთხოების პრობლემების დიდ ნაწილს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებით მოვაგვარებდით, მაგრამ რაკი ამის რესურსები არა გვაქვს, პირველ ადგილზე მაინც საგარეო კავშირების განმტკიცება დგას. ამიტომ, უსაფრთხოება დაბალანსებული და სწორი საგარეო პოლიტიკით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი"**.

**"მიგვაჩნია, რომ დღევანდელი ჩვენი უსაფრთხოების დონე დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს ფაქტია. საგარეო კავშირების განმტკიცება, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობა და ნატო-ში გაწევრიანება,"** – დასძენს იგი.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად არის მიჩნეული. მართალია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების "საგზაო რუკას" დოკუმენტი არ იძლევა, მაგრამ მის ავტორებს იმედი აქვთ, რომ იგი ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას მაინც შეუწყობს ხელს.

**"ჩემი აზრით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უმთავრესი პირობა ჩვენივე სახელმწიფოს განმტკიცება და შიდა წესრიგის აღდგენაა. სუსტი სახელმწიფო ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღიდგენს. მიგვაჩნია რა, რომ სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენა არის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, ვფიქრობთ, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.**

**აქ უკუკავშირიც არსებობს. პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესის მიღწევას ტეროტორიული მთლიანობის დარღვევა დიდად უშლის ხელს. მაგრამ, ჩვენ ეს მოჯადოებულ წრედ არ უნდა განვიხილოთ და ორივე მიმართულებით ერთდროულად უნდა ვიმოძრაოთ"**.

დოკუმენტის ავტორები ამბობენ, რომ კონცეფციას მომავალ არჩევნებთან არანაირი კავშირი არა აქვს. ჯერ ერთი, მისი გამოქვეყნება არჩევნებიდან კარგა ხნის შემდეგ მოხდება, მეორეც, ბატონი ვაშაკიძე დარწმუნებულია, რომ კონცეფციაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც საზოგადოებაში, ისე პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსი არსებობს. **"ეს თანამედროვე, ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს უშიშროების კონცეფციაა და ღმერთმა ნუ ქნას, მისი რადიკალურად გადასინჯვა დაგვჭირდეს,"** – ამბობს იგი.

# ეუთო-ს იმედი და შევარდნაძის დაპირება

*საქართველოსათვის ევროპისკენ მიმავალი გზა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე გადის. ამის შესახებ საქართველოში ვიზიტით მყოფმა ეუთო-ს თავმჯდომარემ, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა იააფ დე ხოოპ სხეფერმა ედუარდ შევარდნაძეს გუშინდელი შეხვედრისასაც განუცხადა.*

ლელა მჭედლიძე

სტუმარი, რაც თვითმფრინავის ტრაპიდან ფეხი ჩამოდგა, ერთსა და იმავეს იმეორებდა: **"თქვენ გეძლევათ შანსი, რათა დაიკმაყოფილოთ თქვენი სურვილი თუ ამბიცია ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისა. გაქვთ სერიოზული შანსი ნატო-ში გაწევრიანებისა, იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩაივლის."** სხეფერის დაპირება, საქართველოს "ევროპულ ოჯახში" მიპატიჟების და ტკბილად მიღების შესახებ, ერთი გარემოების გამოც არის საინტერესო. სულ მოკლე ხანში ეუთო-ს თავმჯდომარე უკვე ნატო-ს გენერალური მდივნის პოსტს დაიკავებს. საქართველოს მომავალს კი ჩვენი სტუმარი, მასპინძლებთან შედარებით, უფრო იმედიანად შეჰყურებს. ჯერ კიდევ ირაკლი მენაღარიშვილთან შეხვედრის შემდეგ იგი ქართულ მედიას რჩევასაც კი აძლევდა: **"ნეგატიური ფონის შექმნისაგან თავი შეიკავეთ. საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც თქვენ გგონიათ. წინასაარჩევნო პერიოდში დიდი დარღვევები ჩვენს მიერ აშკარად არ დაფიქსირებულა."**

თავისი ვიზიტის მეორე დღეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ, სხეფერმა უკვე აღმოაჩინა, რომ წინასაარჩევნო პერიოდისათვის სერიოზულ პრობლემად ამომრჩეველთა არასწორი სიები რჩება. თუმცა, ქვეყნის მეთაურთან შეხვედრის შემდეგ, ეუთო-ს თავმჯდომარისათვის ეს საკითხიც მოგვარებულად ჩაითვალა. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ პრობლემის მოგვარების იმედი თუ გარანტია მას თავად ქვეყნის მეთაურმა მისცა... სხეფერი დარწმუნებულია, რომ 2 ნოემბრის არჩევნების ნორმალურად ჩატარება ყველაზე მეტად ხელისუფლების სურვილზეა დამოკიდებული. სხეფერმაც ჩვენს ხელისუფალს პირობა ჩამოართვა, რომ **"საქართველო აზერბაიჯანის საარჩევნო გამოცდილებას არ გაიზიარებს."**

არჩევნების გარდა, ქვეყნის მეთაურთან შეხვედრაზე სხეფერმა საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაზეც ისაუბრა. ეუთო-ს თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ მხარეებს შორის ურთიერთკომპრომისების გარეშე საქმე წინ ვერ წაიწევს. თავის მხრივ, სხეფერი დარწმუნებულია, რომ ეუთო მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდება სტამბულის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილების შესრულებას, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა კი მაასტრიხტში 1-2 დეკემბერს არის დანიშნული.

# რუსთავში ამომრჩეველთა სია თითქმის განახევრდა

მაია მოსიაშვილი

**"ნუ იტყვით, რომ არჩევნები გაყალბდება, რადგან ამომრჩეველთა სიები ზუსტი არ არის. მინდა ჩემი თვალებით უყურებდეთ თქვენს თავს, მაშინ მიხვდებოდით, რატომ გეუბნებით ამას. ორ-სამ კვირაში ამომრჩეველთა სიების გადამოწმება-დაზუსტება თქვენთან კი არა, ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი შეუძლებელია, როგორიც მაგალითად, ნორვეგიაა. ამიტომ ნუ იქნებით მაქსიმალისტები,"** - ასეთი რჩევა დატოვა რუსთავში ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა მატიას იორშმა საქართველოდან გამგზავრების წინ. უცხოელების გასაკვირად სამ კვირაში სიები დაზუსტდა და განახევრდა კიდეც.

დღეს რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია ცესკო-ს 108 ათასიანის ნაცვლად 63 ათასიან სიას მიაწვდის. კომისიაში აცხადებენ, რომ ეს საბოლოო ციფრი არ არის, მუშაობა კიდევ ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდება, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდოს.

"24 საათმა" დამოუკიდებელი გამოკითხვა ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ რუსთავის მერის, "დემოკრატების", "ახლების", "ნაციონალების" და სახელისუფლებო ბლოკის მონაცემები, რუსთავში ამომრჩეველთა რეალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, თითქმის ერთმანეთს ემთხვევა და ეს ციფრი 55 ათასიდან 65 ათასამდე მერყეობს.

რუსთავის მერის თქმით, წინა საპარლამენტო არჩევნებზე 1999 წელს სია 60 ათასიანი იყო, 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კი ის 20 ათასით იყო გაზრდილი, თუმცა ეს მაშინ, არასამთავრობოებისა და ჟურნალისტების გარდა, არავის გაუპროტესტებია.

მერაბ ტყეშელაშვილმა 2002 წლის 2 ივნისის არჩევნების ჩაშლა "იწინასწარმეტყველა". დღეს ის აცხადებს, რომ არჩევნები, შესაძლოა, კვლავ ჩაიშალოს, თუ სიები არ დაზუსტდება. **"საფრთხე იმისა, რომ არჩევნები რუსთავში ჩაიშალოს, არსებობს. ჩვენ მაქსიმალურად ვმუშაობთ სიებზე და გვერდში გვინდა დავუდგეთ საოლქო კომისიას. ამის საპასუხოდ კი მათი მხრიდან კეთდება ცილისმწამებლური განცხადებები, თითქოსდა მერის მხრიდან ადგილი აქვს ზეწოლას საარჩევნო კომისიებზე,"** - განაცხადა გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე რუსთავის მერმა და იქვე აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა სიის საკუთარ ვერსიას ის მალე საოლქო კომისიას გადასცემს.

საოლქოს ასევე ჯერ არ მიუღია ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" და ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ვერსიები. ამ უკანასკნელთა მიერ საოლქოში შეტანილი სიები კომისიამ დაიწუნა და უკან დააბრუნა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ალეკო ედიშერაშვილის განმარტებით, "დემოკრატებმა" სიაში ჩასასმელად იმ ადამიანების მონაცემები მიაწოდეს, რომლებიც ისედაც არიან იქ. **"ჩვენ ვეხმარებით და იმათაც უნდა გადმოდგან ნაბიჯი. თუ ჩვენს ვერსიას უკან დაგვიბრუნებენ, იძულებულნი ვიქნებით, სასამართლოს მივმართოთ,"** - განუცხადა "24 საათს" "დემოკრატმა" ზაზა იმედაშვილმა.

სიების დასაზუსტებლად კიდევ ოთხი დღე დარჩა. თუ პარტიებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რუსთავში არეულობა გარანტირებულია.

# სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივა საქართველოში

საქართველოს სამოქალაქო განვითარების საზოგადოებამ, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდთან ერთად, გუშინ მრგვალი მაგიდა მოაწყო თემაზე - "მოქალაქე და სამოქალაქო აქტიურობის პრობლემები საქართველოს რეალობაში".

მრგვალი მაგიდის მიზანი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში არსებული პრობლემების შესაძლო კონკრეტული მიმართულებების ჩამოყალიბება გახლდათ. ისტორიკოსმა სიმონ მასხარაშვილმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს ისტორიული რაკურსით დაანახა საქართველოს სამოქალაქო განვითარების ტრადიციები და პრობლემები. მასხარაშვილის აზრით, დღეს საკმაოდ შორს ვართ სამოქალაქო საზოგადოებისგან. **"ეს პრობლემა თავის დასაბამს ისტორიულ წარსულში იღებს და გენეტიკური მახასიათებლებითაცაა განპირობებული,"** - მიიჩნევს მასხარაშვილი.

ფსიქოლოგმა გაგა ნიჟარაძემ თანამედროვე ქართული საზოგადოების მოქალაქეობრივ მენტალიტეტზე წაიკითხა მოხსენება. მისი აზრით, ქართული კულტურა განეკუთვნება მცირე ჯგუფებზე (ოჯახი, სამეგობრო, სანათესაო და ა.შ.) ორიენტირებულ კოლექტივისტურ კულტურათა ტიპს. **"ქართული მცირე ჯგუფი – პირობითად, ეს არის დაახლოებით 500 ადამიანი, ვინც ჯგუფის წევრის პანაშვიდზე მოდის. უფრო ვიწრო ჯგუფია ის ხალხი, ვინც ქელეხზე რჩება,"** – ამბობს ნიჟარაძე. მისი თქმით, ქართულ საზოგადოებაში ინდივიდის შეფასების კრიტერიუმია ის ჯგუფი, რომელსაც ეს ინდივიდი წარმოადგენს. **"ქართული კულტურა არ უწყობს ხელს ნებისყოფის განვითარებას; შესაბამისად, პრაქტიკულად არ არსებობს ეკონომიკური მენტალიტეტი,"** – აღნიშნავს ფსიქოლოგი. საკმაოდ საინტერესო მოხსენებების მოსმენის შემდეგ, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა აღნიშნულ თემაზე დისკუსია გამართეს. გუშინდელი მრგვალი მაგიდა საქართველოს სამოქალაქო განვითარების საზოგადოების მიერ წამოწყებულ შეხვედრათა ციკლის გაგრძელებაა.

*24 საათი*

# ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ენერგომომარაგების გაუმჯობესებისთვის ზრუნვას იწყებს

*2 ნოემბრის არჩევნების დემოკრატიულობისა და სამართლიანობის ბედი, როგორც ცნობილია, საარჩევნო სიებზე და, მასთან ერთად, სხვა ბევრ ფაქტორზე, მაგალითად - არჩევნების დღეს უწყვეტ ენერგომომარაგებაზეც "ჰკიდია". საქართველოში წინასაარჩევნოდ ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესება და 2 ნოემბერს საარჩევნო უბნების უწყვეტი ენერგომომარაგების მიღწევა გახლდათ ის ძირითადი მიზანი, რომლის მისაღწევადაც გუშინ სახელმწიფო მინისტრთან ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი, სემეკის თავმჯდომარე დავით მირცხულავა და ენერგეტიკაში მოღვაწე უცხოური კომპანიის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ.*

შეხვედრიდან გამოსული გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი ჟურნალისტებთან ურთიერთგამომრიცხავ კომენტარებს აკეთებდნენ.

დევიდ სორნტონის განცხადებით, მან სახელმწიფო მინისტრს კომპანიის 59 რაიონული ფილიალებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი წარუდგინა, ხოლო რაც შეეხება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პროცესში რაიონების უწყვეტ ელექტრომომარაგებას, სახელმწიფო მინისტრს მისთვის ამ თხოვნით არ მიუმართავს და, შესაბამისად, თანხმობაც არ მიუღია. **„ჩვენს მიერ წარდგენილი გრაფიკები ფილიალების ხელმძღვანელებთან და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებულია. გრაფიკები სახელმწიფო მინისტრისთვისაც მისაღებია“,** — განაცხადა დევიდ სორნტონმა.

მისი სიტყვებით, სახელმწიფო მინისტრი მას შეჰპირდა, რომ შესაბამისი სიის წარმოდგენის შემთხვევაში, ენერგოობიექტების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ენერგეტიკის მინისტრის მამუკა ნიკოლაიშვილის განცხადებით კი, დღევანდელ შეხვედრაზე გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ხელმძღვანელებისგან არჩევნების პერიოდში რეგიონების უწყვეტი ელექტრომომარაგების პირობა მიიღეს. **„არჩევნების პროცესში ხმების დათვლის პროცედურის ჩატარებისათვის რეგიონებს ელექტროენერგია უნდა ჰქონდეთ. ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ მხრივ პრობლემები არ იქნება“,** — განაცხადა მამუკა ნიკოლაიშვილმა.

*24 საათი*

# სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო შეხვედრათა პომპეზურობას ბიუჯეტის სახსრები ეწირება

*სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო აქტიურობას ხშირად ახლავს საკმაოდ პომპეზური სანახაობები, რომლებიც, როგორც წესი - ბიუჯეტიდან "კულტურული ღონისძიებების" და "ხელისუფლების რეგიონალური გასვლებისთვის" გამოყოფილი თანხებით ფინანსდება. საინტერესოა, რომ ეს ხარჯები ფინანსდება იმ ბიუჯეტიდან, რომელშიც 70 მილიონი ლარის სახელფასო და 80 მილიონი ლარის საპენსიო დავალიანებებია დაგროვილი.*

ნინო ნარჩემაშვილი

ეკონომიკური ექსპერტის კახა დამენიას შეფასებით, მთავრობის მიერ დაფინანსებული ზოგიერთი ღონისძიება **"არჩევნების წინ საეჭვოდ ემთხვევა ვიზიტებს ამა თუ იმ რეგიონში".** კახა დამენია კონკრეტულ ღონისძიებებსაც ასახელებს, რომლებზეც უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ სოლიდური საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯა:

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რემონტისთვის გამოყოფილი 10 ათასი და საიუბილეო ღონისძიებისათვის გამოყოფილი 12 ათასი ლარი;

სახელმწიფო მინისტრის ზუგდიდში განხორციელებული ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც მედიკამენტების დარიგებას და უფასო სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებდა და რომელიც ზუგდიდში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თენგიზ ჯგუშიას სახელით გასაღდა;

ერთი თვეა დაიწყო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების დაჯილდოება პრეზიდენტისა და სარეზერვო ფონდიდან, როცა არც ვეტერანი და არც კულტურის მოღვაწე კარგა ხანია არ დაჯილდოებულა.

ბოლო პერიოდში ჩატარებულ ნებისმიერ კულტურულ ღონისძიებაზე, გაცილებით მეტი საბიუჯეტო სახსრები იხარჯება, ვიდრე ოდესმე.

დამენიას აზრით, ასეთი ეჭვების საფუძველს ის ფაქტიც იძლევა, რომ ბოლო ორი თვეა, რაც ტერიტორიულ ერთეულთა ბიუჯეტების სპეციალური ტრანსფერების დაფინანსება დაიწყო, რაზეც მანამდე ერთი თეთრიც არ გამოყოფილა.

ტრანსფერები რაიონების მიხედვით მერყეობს 25 ათასიდან 50 ათას ლარამდე თითოეულ რაიონზე, ხოლო თუ უშუალოდ რაიონს ვნახავთ, იქ აუცილებლად აღმოჩნდება სახელისუფლებო ბლოკის დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი.

კახა დამენიას შეფასებით, ყოველივე ეს პირდაპირ არის დაკავშირებული არჩევნებთან. მისი თქმით, ეს თანხები, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ნამდვილად არის გათვალისწინებული ბიუჯეტში, მაგრამ დღეს ეს ფონდები შეუზღუდავი რაოდენობით იხარჯება, თანაც პრეზიდენტის პირადი განკარგულებით. კახა დამენია სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო ვოიაჟების დაფინანსების მეორე წყაროსაც ასახელებს: დღემდე ყველაზე მეტი რაოდენობის, ამჟამად არსებული 81 მილიონი ლარის ტრანსფერებს.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის რომან გოცირიძის აზრით, ამა თუ იმ რეგიონში ხელისუფლების წინასაარჩევნო ვიზიტებისათვის სწორედ ის თანხები იხარჯება, რომლებიც საქმეს უნდა ხმარდებოდეს. საქართველოს პრეზიდენტი ხშირად ისეთ მოვლენებსაც კი "აბრალებს" საკუთარ ავტორიტეტსა და საერთაშორისო აღიარებას, როგორიც, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ქალაქ ფოთში ახალი ხიდის გახსნა გახლავთ. არადა, ეს კონსტრუქცია კუვეიტის ფონდის არაშეღავათიანი, 12- პროცენტიანი კრედიტით აშენდა, რომელიც მომავალში უმძიმეს ტვირთად დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

რაც შეეხება შედეგებს, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკის მიერ წინასაარჩევნო მიზნებისთვის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას მოჰყვება. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის თქმით, ეს შედეგი ისევ და ისევ საბიუჯეტო ორგანიზაციების დაუფინანსებლობა, ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობა იქნება.

მოვლენათა უშუალო მონაწილის, ფინანსთა სამინისტროს პოზიცია კი ასეთი გახლავთ: **"თანხები ღონისძიებებისათვის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა და ხაზინა მათ გამოყოფას გეგმიურად, ბიუჯეტში გათვალისწინებული სახსრებით ახორციელებს".** რაც შეეხება სარეზერვო ფონდის თანხებს, ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის თქმით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 2003 წელს 11 მილიონი ლარით განისაზღვრა და ხარჯვა მის ფარგლებში მიმდინარეობს.

# დასავლეთის ავიაკომპანიები „ტუ-154“-ით ფრენებს წყვეტენ

„ტუ-154“ ტიპის თვითმფრინავებისადმი დასავლეთის ავიაკომპანიების ნდობა კლებულობს. ამ დღეებში სლოვაკეთის ავიაკომპანიამ "Slovenske aerolinie"-მ გაყიდა „ტუ-154“ ტიპის ბოლო სამი თვითმფრინავი და მათ სანაცვლოდ ბოინგ-737-ის ყიდვა გადაწყვიტა. ამასწინათ რუსეთის თვითმფრინავებზე უარი თქვეს ჩინეთის და ირანის ავიაკომპანიებმაც. ისინი აცხადებენ, რომ მგზავრთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დასავლური ტიპის თვითმფრინავებზე გადადიან და პრიორიტეტს ამერიკულ "ბოინგს“ და ევროპულ "ეარბასს“ ანიჭებენ. შარშანწინ "ტუ-154“-ის ექსპლუატაცია შეწყვიტა უნგრულმა ავიაკომპანიამ „mavel“. თუმცა, რუსი სპეციალისტები აცხადებენ, რომ „ბოინგი“ არანაკლებ ავარიულია, ვიდრე „ტუ-154“. რუსეთის გადამზიდველები „ტუ-154“-ის ექსპლუატაციის შეწყვეტას, ჯერჯერობით, არ აპირებენ.

*მედია-ნიუსი*

# აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი ახალ სარეკორდო მაჩვენებელს აღწევს

ადამ მჭედლიძე

ბოლო ფინანსური წლისათვის (2002 წლის სექტემბერი - 2003 წლის სექტემბერი) აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტმა 374,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს დაახლოებით ორჯერ აღემატება ერთი წლით ადრე დაფიქსირებულ დეფიციტს და მნიშვნელოვნად აჭარბებს 1992 წელს, უფროსი ბუშის დროს დაფიქსირებულ რეკორდს - 290 მილიარდს.

ეს ინფორმაცია ეკონომისტებისთვის სიურპრიზი არ ყოფილა. ის კი არა და, თავად ხელისუფლება 455-მილიარდიან დეფიციტს ელოდა. თეთრი სახლი ყოველივე ამას ერაყში გაწეულ ხარჯსა და ეკონომიკურ სტაგნაციას აბრალებს, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლები წინასწარ აცხადებენ, რომ მომავალ თვეებში დეფიციტი გაიზრდება და შესაძლოა, შემდეგი ფინანსური წლისთვის 500 მილიარდსაც ასცდეს. თუმცა, ეკონიმიკის ზრდისა და დანახარჯების შეკვეცის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს.

აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი იქვე ვარაუდობს, რომ დღევანდელი გადასახედიდან მომავალ 5 წელიწადში დეფიციტი განახევრდება. შემდეგი პერიოდისთვის კი ამერიკის ეკონომიკაში აღმავლობას ელიან იმის გათვალისწინებით, რომ ახლახან გადასახადები მნიშვნელოვნად შემცირდა (იმავე მიზეზმა ამჟამად დეფიციტის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა).

სახაზინო დეპარტამენტი აცხადებს, რომ მდგომარეობა საგანგაშო არ არის. 80-იან წლებში, როცა ასევე დიდი დეფიციტი დაფიქსირდა, ვითარება გაცილებით უფრო უარესი იყო. მაშინ შეფარდება დეფიციტსა და მთლიან შიდა პროდუქტთან გაცილებით მეტი იყო.

მიუხედავად ამისა, უზარმაზარი დეფიციტი წინასაარჩევნოდ აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს პრეზიდენტ ბუშს. პოლიტოლოგები უკვე ეძებენ ანალოგიას მამამისთან. მას, ერაყში წარმატებული კამპანიის მიუხედავად, ეკონომიკური პრობლემები არჩევნების წაგების ფასად დაუჯდა.

# საქართველოს ხელისუფლება სსფ-ს მისიას "ნაწილობრივ შესრულებული" ვალდებულებებით ხვდება

პირველი გვერდიდან



დღეს სავალუტო ფონდის მისიასთან ოფიციალური შეხვედრები იწყება.

3. უნდა შემცირებულიყო გადასახადისგან თავის არიდების ფაქტები, კონტრაბანდა. მომხდარიყო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების საგადასახადო ვალდებულებების შემოწმება. საბაჟოს უნდა მინიჭებოდა გადასახადის იძულებით ამოღების ფუნქციები. დღეისთვის ეს რეკომენდაცია, აღნიშნული სახით, საქართველოს ხელისუფლებას არ შეუსრულებია. საქართველოს ხელისუფლება სსფ-ს მისიას შესთავაზებს შსს-სა და უშიშროების სამინისტროსთვის ცოტა ხნის წინ დაკისრებული "ანტიკონტრაბანდისტული" ფუნქციების შესრულების შედეგების განხილვას. მისიამ უნდა განსაზღვროს, ვის უფრო შეეფერება ამ ფუნქციების შესრულება.

4. ხაზინის რეფორმირების გაგრძელება. საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ ამ მიმართულებით სერიოზული პროგრესია მიღწეული.

5. საბოლოო სახე უნდა მიეღო მთავრობის სტრატეგიას საჯარო რეფორმის შესახებ და შეთანხმებულიყო პროგრამის ხარჯი, რომელიც ჩართული იქნება 2004 წლის ბიუჯეტის პროექტში. აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. პარლამენტში შეტანილი ბიუჯეტის პროექტი არ შეიცავს შემოთავაზებულ რეფორმასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

6 - 7. უნდა გაუმჯობესებულიყო ელექტროენერგიის გადასახადის ამოღება. 2003 წლის აგვისტოს მონაცემების მიხედვით, პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის გადახდის მაჩვენებელი შეადგენდა 80,4 პროცენტს, რაც 6 თვის საშუალო მონაცემებით 79 პროცენტია. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნა, რომ ეს სერიოზული წინსვლაა, რაზეც, სავარაუდოდ, სსფ-ც დაეთანხმება.

8. უნდა გაზრდილიყო საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადახდა 90 პროცენტამდე. აგვისტოში ამ მონაცემმა 91 პროცენტს მიაღწია.

9. უნდა გაზრდილიყო გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიიდან საბითუმო ბაზრისადმი დარიცხული თანხის 30 და 50 პროცენტამდე გაზრდა. აღნიშნული ტრანსფერები ივლისში დარიცხული თანხის 5,6 პროცენტს შეადგენდა და სულ 6,5 პროცენტამდე გაიზარდა.

10. უნდა ჩატარებულიყო მუშაობა დონორებთან, რათა თანხობრივად განსაზღვრულიყო ენერგეტიკის საშინაო ვალები და მათი გასტუმრების მექანიზმი. ეს პირობა შესრულებული არ არის და მთავრობა აპირებს დახმარებისთვის მიმართოს kfw-ს.

11. უნდა დაწესებულიყო სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გამჭვირვალე კალენდარი და დანერგილიყო პირველადი დილერის სისტემა. ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი შეთანხმდნენ, პარასკევობით გამოაქვეყნონ განაცხადი ოთხშაბათს ჩასატარებელ აუქციონთან დაკავშირებით.

12. უნდა შემუშავებულიყო ვაჭრობის ლიბერალიზების პროგრამა 2004 წლისთვის. ესეც "შესრულების პროცესშია".

13. საერთაშორისო აუდიტი უნდა შესულიყო საქართველოს რკინიგზაში, ფოთის პორტსა და მადნეულში. ფინანსთა სამინიტროს ინფორმაციით, ეს პირობა შესრულებულია.

14. უნდა მომზადებულიყო განახლებული ინფორმაცია პარიზის კლუბის წევრი კრედიტორების მიმართ არსებული დავალიანებების შესახებ. საქართველომ გაუგზავნა განმარტებითი წერილები ყველა ძირითად კრედიტორს 29 სექტემბერს.

ასეთია საკმაოდ დეტალური ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, რომელთაგანაც უმთავრესი ვერ შესრულდა - 2003 წლის ბიუჯეტის როგორც შემოსავლების მობილიზება, ისე ხარჯების დაფინანსება საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო. მეტიც - გასული დავალიანებების გასტუმრების ნაცვლად დაიწყო დაცული მუხლების მიმდინარე დავალიანებების დაგროვება, რაც, სავარაუდოდ, სსფ-ს მისიის განსაკუთრებული უკმაყოფილების საფუძველი გახდება.

შუალედური მისია კონკრეტულ დასკვნებს არ გამოიტანს. მომავალი წლიდან საქართველოსთვის სამწლიანი ფინანსური პროგრამის აღდგენა დამოკიდებული იქნება ფონდთან წარმატებული მოლაპარაკებების გამართვაზე დეკემბერში.

ნოემბრის შუა რიცხვებში, საქართველოში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის უფრო მაღალჩინოსანთა მისიას ელოდებიან. მისიის შედეგიან მუშაობაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სამწლიანი პროგრამის აღდგენა. თუ გადაწყდება საქართველოსთვის პროგრამის აღდგენა, მაშინ ფინანსური დახმარება, სავარაუდოდ, 2004 წლის აპრილის თვიდან დაიწყება.

# სომხეთი რუსეთის ენერგოგიგანტის ხელშია

## რუსეთის ღია მისწრაფებები: "რაო ეეს როსიი" - ესპანეთიდან იაპონიამდე

მაია ურუშაძე

*სომხეთის ატომური ელექტროსადგური ერთადერთია ქვეყნის მთელი ენერგოსისტემიდან, რომელიც სომხეთის საკუთრებაში დარჩა, ისიც სიმბოლურად. რაზდანის თბოელექტროცენტრალი და სევან-რაზდანის კასკადის ხუთი ჰესი, ატომური ელექტროსადგურის მართვის უფლებასთნ ერთად, გუშინ "რაო ეეს როსიის" ოფიციალური საკუთრება გახდა. ეს სადგურები მიმდინარე წელს "რაომ" სომხეთს სახელმწიფო ვალების ანგარიშში აართვა. ჩუბაისი კმაყოფილია და "ეი-ი-ესის" ქართული აქტივების ხელში ჩაგდების ისტორიას იხსენებს.*





ჩუბაისი კოჩარიანს სომხეთის ენერგოსისტემის ინვესტირებაზე ესაუბრა.

გუშინ ერევანში ვიზიტისას, "რაო ეეს როსიის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ ანატოლი ჩუბაისმა სომხეთის სტრატეგიული ენერგოობიექტები საბოლოოდ გადაიფორმა. 100 მილიონი დოლარის ოდენობის ვალებში მიღებული ქონება – ექვსი უმსხვილესი ენერგოობიექტი - შეფასებულია 56 მილიონ დოლარად. დანარჩენი თანხის ამოღებას "რაო" სომხეთის ენერგოსისტემაში რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურით გეგმავს. ახლა ხომ "რაოს" სრული ბერკეტები აქვს იმისათვის, რომ სომხეთში მძლავრი ენერგოჰოლდინგი ჩამოაყალიბოს.

რუსეთის ენერგოგიგანტის პირველმა პირმა სომხეთის პრეზიდენტ კოჩარიანთან გუშინვე მოაკვარახჭინა სომხეთის ენერგოსისტემის ინვესტირებისა და სომხეთის გავლით ენერგოტრანზიტის საკითხები. სატრანზიტო მიმართულებებს შორის, ჯერჯერობით, საქართველო სახელდება. თუმცა, არავისთვის უცხო არ არის, რომ "რაო ეეს როსიი" სომხეთის გავლით თურქეთის ელექტრობაზარზე ექსპანსიასაც გეგმავს. საქართველოში ფეხის მოკიდებისა და სომხეთის ენერგეტიკაზე გაბატონების შემდეგ, "რაოს" თურქეთისაკენ გზა უკვე ხსნილი აქვს. რუსეთის ენერგოგიგანტს 2004 წელს თურქეთში დაგეგმილ ენერგოპრივატიზაციაში მონაწილეობის საშუალებას სწორედ ეს აძლევს.

ამასობაში ჩუბაისის ენერგოგიგანტი ევროპისკენაც მიიწევს და დსთ-ს სივრცეში გავლენის გაფართოებაზე ზრუნავს. ჩუბაისი უკვე ოფიციალურ განცხადებებს აკეთებს უკრაინაში შესვლის თაობაზე. სხვათა შორის, "ეი-ი-ესის" უკრაინული აქტივები "რაო ეეს როსიიმ" ("თელასის" მსგავსად) სრულიად საიდუმლოდ შეისყიდა. ახლა "კიევობლენერგო" და "რივენობლენერგო" უკვე მისი ირიბი საკუთრებაა. ახლა "რაოს" უკრაინის სხვა ენერგოობიექტების პრივატიზება სურს, თანაც, რაც შეიძლება, იოლი გზით. ამ მიზნით ჩუბაისი უკრაინის პრეზიდენტთან საუბარს უახლოეს მომავალში გეგმავს.

იმის გარანტია, რომ უკრაინა მოლაპარაკების მაგიდასთან აუცილებლად დაჯდება, ჩუბაისს უკვე აქვს: უკრაინა გაზის მოწოდების საკითხში მნიშვნელოვანწილად "გაზპრომზეა" დამოკიდებული. "გაზპრომი" და "რაო ეეს როსიი" კი იმ ეკონომიკური ბერკეტის ორი ბოლოა, რომელთაც რუსეთი "მეგობარ" ქვეყნებზე გავლენისათვის იყენებს.

## მოკლედ

### გაზი იქნება

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ "თბილგაზის" ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად დღეს მტკვრის მარჯვენა სანაპირო დაათვალიერა, სადაც ცოტა ხნის წინ ბუნებრივი აირის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. მერმა მადლობა გადაუხადა "თბილგაზის" ხელმძღვანელობასა და კომპანია "ინჟმშენს", რომელსაც რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი თანხა ფინანსთა სამინისტროსგან ჯერაც არ მიუღია და სამუშაოები საკუთარი შემოსავლების ხარჯზე აწარმოა. ზაფხულში "ინჟმშენმა" სათბობენერგეტიკის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტენდერში გაიმარჯვა და გაზგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის უფლება მოიპოვა. დაუფინანსებლობის გამო, სამუშაოები შეფერხებით მიმდინარეობდა, თუმცა მერიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების შედეგად, ქსელის რეაბილიტაცია მაინც ჩატარდა. "ინჟმშენმა" გულიასა და ბოგულავსკის ხევში ქსელის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა. ისანი-სამგორისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონების მოსახლეობა ამ კვირის ბოლოდან ბუნებრივ აირს მიიღებს. შესაბამისად, ეტაპობრივად ჩაირთვება მთაწმინდის 7000 და ისანი-სამგორის 12 ათასი აბონენტი. ***ინტერ-პრესი***

### ჯორბენაძე მეტროში

სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ქალაქის მერ ვანო ზოდელავასთან ერთად გუშინ თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას შეხვდა და სადგურ "ვაგზალი-2"-ის გადასასვლელი მოინახულა, სადაც ცოტა ხნის წინ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. მატარებლის სავალ ნაწილზე განახლდა კედელი, შეიცვალა ჭერი და განათება. როგორც მეტროპოლიტენის ხელმძღვანელის თანაშემწემ თემურ რატიანმა განაცხადა, სახელმწიფო მინისტრი მეტროპოლიტენს დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში მომზადდება დოკუმენტი მეტროპოლიტენში გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთანავე, "ვაგზალი-2"-ზე კი დამატებით განათების ნათურები დამონტაჟდება. ***ინტერ-პრესი***

## ორი სიტყვით

**ერევანი.** "რაო ეეს როსიის" მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ჩუბაისი აცხადებს, რომ "სომხეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის ექსპორტის განახლება რამდენიმე კვირის საკითხია." ადრე, "რაოს" მმართველობის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი რაპოპორტმა ერევანში განაცხადა, რომ კომპანია ბუნებრივ აირს "არმროსგაზპრომისგან" შეისყიდის, რაზდანის თბოელექტროსადგურში გადაამუშავებს და ელექტროენერგიას საქართველოს მიაწვდის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისობისთვის დედაქალაქს "თბილწყალკანალის" ორი ახალი ობიექტი შემატება. ღრმაღელის საფილტრე სადგურიდან მუხიანის დასახლების გადასასვლელამდე 1500-მეტრიანი ახალი წყალსადენის ქსელი აშენდა. იგი გლდანისა და მუხიანის მოსახლეობას წყლის პრობლემას მოუხსნის. ქსელის ასაშენებლად თბილისის ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოიყო. რაც შეეხება მეორე ობიექტს, იგი სამგორის წყალსადენის საფილტრე სადგურზე აშენდა. ნედლი წყლის 10 ათას-კუბურმეტრიანი ახალი რეზერვუარი სამგორის მოსახლეობის წყალმომარაგებას გააუმჯობესებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში გაიხსნა მე-8 სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც შედუღების მეტალურგიისა და მისი მონათესავე ტექნოლოგიების პრობლემებს შეეხება. კონფერენციაში მონაწილეობენ ქართველი და უკრაინელი მეცნიერები, რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების წარმომადგენლები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ლიახვის ხეობაში მდებარე ერედვის თემის ათამდე ქართულ სოფელს ცხინვალმა ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. ცხინვალი ამის მიზეზად დიდ დავალიანებას ასახელებს. ოსური მხარის ინფორმაციით, მოსახლეობის გარდა თანხას არც სოფლებში მდებარე წვრილი სახელოსნოების მეპატრონეები იხდიან, რის გამოც რუსეთიდან მიღებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაში ცხინვალსაც პრობლემები ექმნება. ერედვის თემის სოფლებს დენის მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღუდგება, თუ ქართული მხარე დავალიანების ეტაპობრივ გადახდას დაიწყებს. ამ საკითხს, სავარაუდოდ, დღეს ცხინვალში, ქართულ-ოსური ადმინისტრაციების ტრადიციულ შეხვედრაზე განიხილავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანზიტიდან ქვეყნის ბიუჯეტი მილსადენის მოქმედების პერიოდში 40 წელიწადში 2.5 მილიარდი დოლარის შემოსავლებს მიიღებს. როგორც პროექტის ოპერატორ კომპანია "ბი-პის“ საქართველოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, მილსადენის მშენებლობის ფაზაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადებული პირდაპირი ინვესტიციები 260 მილიონ დოლარს შეადგენს. ამის გარდა, ყოველწლიურად მიმდინარე საოპერაციო ხარჯები 30 მილიონი დოლარით დაიფარება. **მედია-ნიუსი**

შპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ჩვენი ექსპერტების ანალიზსა და კომენტარებს შეგიძლიათ ყოველდღე გაეცნოთ გაზეთში „24 საათი".
გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე და წარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში.
გთავაზობთ კვალიფიციურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბიზნეს სამართალსა და სამეწარმეო სამართალში.
WWW.DVNK.GE
ტელ.: +995 32 751054 ფაქსი.: +995 32 751056 ელ-ფოსტა.: office@dvnk.ge

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი „ლიდერი"
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermidiate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
■ საოფისე პროგრამები (Word, Excel),
■ Windows,
■ მულტიმედია,
■ ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.
მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: წერეთლის 223.

# ჯორჯ ბუშმა დაცვას არ დაუჯერა და ბალიზე მაინც ჩავიდა

თავისი აზიური ტურნეს დასასრულს, პრეზიდენტმა ბუშმა ინდონეზიის კუნძულ ბალის მონახულება გადაწყვიტა. ვინაიდან თეთრი სახლის მეთაურის აზიური მოგზაურობა ტერორიზმის წინააღმდეგ რეგიონის დარაზმვას ისახავდა მიზნად, ბალიზე ჩასვლას წმინდა სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. აქ ხომ გასულ წელს ღამის კლუბში უძლიერესი ტერაქტი მოხდა, რის შედეგადაც 202 ადამიანი, ძირითადად - უცხოელი ტურისტები დაიღუპნენ.

კუნძულ ბალიზე ჯორჯ ბუში ინდონეზიის პრეზიდენტს მეგავატი სუკარნოპუტრის და ინდონეზიელ სულიერ ლიდერებს შეხვდა. დამკვირვებელთა თქმით, სასულიერო პირებთან შეხვედრის მიზანს ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის განმარტება წარმოადგენდა, რადგანაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სასულიერო წრეები მიიჩნევენ, რომ თეთრი სახლი ანტიისლამურ პოლიტიკას აწარმოებს. ამასთანავე, ინდონეზია ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ისლამური სახელმწიფოა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ თეთრი სახლის მეთაურმა ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ის ხუთი მიმართულების რელიგიის წარმომადგენლებს შეხვდა და ყველა მათგანმა რელიგიური შემწყნარებლობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

ბალიზე ვიზიტის დროს, ჯორჯ ბუშმა ასევე ისაუბრა ჩრდილოეთ კორეის და ირანის შესახებაც. კერძოდ, ყველას აინტერესებდა თეთრი სახლის ლიდერის პოზიცია ფხენიანის ბოლო რეაქციასთან დაკავშირებით. ჩრდილოეთ კორე-



REUTERS

ჯორჯ ბუშის პრესკონფერენცია ბალიზე

ის ხელისუფლებამ "სასაცილო" უწოდა ბუშის ინიციატივას, რომლის თანახმადაც, ხუთი სახელმწიფო წერილობით პირობას დადებდა ჩრდილოეთ კორეაზე თავდაუსხმელობის შესახებ. აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, ამის სანაცვლოდ ჩრდილოეთ კორეას ბირთულ პროგრამაზე მუშაობა უნდა შეეწყვიტა. ამ ინიციატივაზე ფხენიანის ასეთი რეაქციის მიუხედავად, ბუშმა განაცხადა, რომ მისი კურსი არ შეიცვლება.

რაც შეეხება ირანის საკითხს, ჯორჯ ბუშმა კმაყოფილება გამოხატა თეირანის მიერ გადადგმულ კომპრომისულ ნაბიჯთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ირანმა გაერო-ს სამხედრო ინსპექტორებს თავისი ბირთვული ობიექტების დეტალური შემოწმების ნება დართო. თეთრი სახლის მეთაურმა მადლობა გადაუხადა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს გამოჩენილი ინიციატივისა და გაწეული მუშაობისათვის.

ბალიზე ჯორჯ ბუშის სამსაათიანი ვიზიტი საგანგებო უსაფრთხოების რეჟიმში მიმდინარეობდა. ამის მიზეზს კი ინდონეზიაში საზოგადოებრივი აზრის ანტიამერიკული განწყობა წარმოადგენს. სააგენტო "ბიბისის" ინფორმაცით, აშშ-ს პრეზიდენტის პირადი დაცვა ბალიზე ჩასვლის წინააღმდეგიც კი იყო, თუმცა თეთრი სახლის ლიდერმა თავისი მაინც არ დაიშალა. ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში კი, პარალელურად ანტიამერიკული სტუდენტური დემონსტრაცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა აშშ-ს საელჩოს პომიდვრები დაუშინეს და ანტიამერიკულ ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ.

## სარეიტინგო სააგენტომ "დაიმლერ-კრაისლერი" ჩამოაქვეითა

ადამ მჭედლიძე

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავტომწარმოებლის "დაიმლერ-კრაისლერის" მოგებები მიმდინარე წლის კვარტალში 19 პროცენტით დაეცა. ეს მოვლენა საკმარისი გახდა იმისათვის, რათა "სტანდარდ ენდ პუერის" სარეიტინგო სააგენტოს ერთი საფეხურით ჩამოექვეითებინა კომპანია. "დაიმლერ-კრაისლერმა" "ბიბიბიპლუსიდან" "ბიბიბის" კატეგორიაში ამოჰყო თავი. კომპანიის ხელმძღვანელობამ ამას "იმედგამაცრუებელი" გადაწყვეტილება უწოდა. "დაიმლერ-კრაისლერის" თავკაცთა "იმედგაცრუება" ძირითადად იმან განაპირობა, რომ რეიტინგში ჩამოქვეითების მიზეზად იქცა ავტოგიგანტის ამერიკელი შტოს - "კრაისლერის" წარუმატებლობა და ჩრდილო ამერიკის ბაზარზე უკიდურესად გაზრდილი კონკურენცია, რომელსაც "დაიმლერ-კრაისლერი", პრაქტიკულად, ვერ უძლებს.

**"ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვართ დამოკიდებულნი ჩრდილო ამერიკის ბაზარზე, ვიდრე "ჯენერალ მოტორსი" და "ფორდი,"** - განაცხადა "დაიმლერ-კრაისლერის" მთავარმა ფინანსურმა ოფიცერმა მანფრედ გენცმა "სტანდარდ ენდ პუარზის" გადაწყვეტილების პასუხად. აქვე აღსანიშნავია, რომ სააგენტომ ეჭვქვეშ დააყენა "ფორდის" მომავალიც, თუმცა რეიტინგში ეს უკანასკნელი არ ჩამოუქვეითებია.

"სტანდარდ ენდ პუარზის" გადაწყვეტილება ბევრმა ანალიტიკოსმაც გააკრიტიკა. მათი თქმით, "დაიმლერ-კრაისლერის" აქტივები დივერსიფიცირებულია და, აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ რეგიონში კომპანიას სერიოზულ პრობლემებს ვერ შეუქმნის. თუმცა, უნდა ალინიშნოს, რომ ამგვარი რეგიონები არც ისე ცოტაა. ჩრდილო ამერიკა უკვე ვახსენეთ. ამას ემატება იაპონიაც, სადაც "დაიმლერ-კრაისლერს" ასევე არა აქვს კარგად საქმე მას შემდეგ, რაც "მიცუბიში მოტორსის" 37 პროცენტი შეისყიდა. საერთოდ, ზოგიერთი სპეციალისტი უკვე შეცდომად მიიჩნევს 1998 წელს "დაიმლერ-ბენცისა" და "კრაისლერის" შერწყმას. ჯერ კიდევ ორი წლის წინ "კრაისლერის" არნახულმა წაგებებმა ავტოგიგანტი ლამის გაყიდვის საშიშროების წინაშე დააყენა. ასახელებდნენ შესაძლო მყიდველსაც – იაპონურ "კრაისლერს."

ივლის-სექტემბრში "დაიმლერ-კრაისლერის" მოგებამ 1,25 მილიარდი ევრო შეადგინა. ერთი შეხედვით, ეს ცუდი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შარშანდელთან შედარებით 19 პროცენტით ნაკლებია.

გაყიდული ავტომანქანების რიცხვის მიხედვით "დაიმლერ-კრაისლერი" მეხუთე ადგილზე იმყოფება მსოფლიოში "ჯენერალ მოტორსის," "ფორდის," "ტოიოტასა" და "ფოლკსვაგენის" შემდეგ. თუმცა, იგი მეორეა მოგებათა მიხედვით.

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** საერთაშორისო ორგანიზაციამ "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" მსოფლიოს ქვეყნების ახალი რეიტინგული მაჩვენებლები გამოაქვეყნა, რომელიც "სიტყვის თავისუფლების ინდექსზეა" დაფუძნებული. დოკუმენტში ასახულია სიტყვის თავისუფლების მდგომარეობა 166 ქვეყანაში, სადაც რუსეთს 148-ე ადგილი უკავია. "რუსეთი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ადგილად ჟურნალისტებისათვის," - ნათქვამია გამოკვლევაში. დსთ-ს სახელმწიფოთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი საქართველოს აქვს. ჩვენი ქვეყანა 73-ე ადგილზე იმყოფება. სიტყვის თავისუფლების მიხედვით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს: ლატვია – მე-11, ესტონეთი – მე-12, ხოლო ლიტვა – მე-17 ადგილებზე იმყოფებიან.

■ ■ ■

**ისრაელი.** გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ ისრაელს უსაფრთხოების კედლის მშენებლობის შეჩერება მოსთხოვა. როგორც ცნობილია, ისრაელის ხელისუფლება პალესტინური ტერიტორიებისგან გამყოფი კედლის მშენებლობას აწარმოებს. გენერალური ასამბლეის რეზოლუციას ხმა მისცა 144 ქვეყანამ. წინააღმდეგი მხოლოდ ორი სახელმწიფო იყო, მათ შორის - აშშ და თავად ისრაელი. რეზოლუციის ტექსტში ნათქვამია, რომ პალესტინური ტერიტორიებისაგან გამყოფი კედლის მშენებლობა საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება.


აირჩიე და მოიგე!



RENAULT
SYMBOL

"რენო-სიმბოლი" 100 ცხენის ძალით, მოიხმარს 5-7 ლიტრ საწვავს, ლურჯი ფერის ალუმინის დისკებით, დამცავი ბალიშები, კონდიციონერი, სრული ელექტროპაკეტით, განბაჟებული.



2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ „დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებითა და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხი. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსციფრიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

ვიქტორინაში მონაწილეობა აბსოლუტურად უფასოა.
1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი.

მაგალითი

დასარეკი ტელეფონის ნომერი

| | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 0 | 5 | 3 | 2 | - | - | - | - | - | - |

სატელეფონო კომპანიის კოდი

თქვენს მიერ შერჩეული პასუხის ნომერი შესაბამის კითხვაზე

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა საღამოს „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლოტოტრონის საშუალებით. ლოტოტრონში მოთავსდება ყველა იმ ვიქტორინაში მონაწილის სატელეფონო ნომერი, რომლებმაც დარეკეს სწორ ვარიანტზე. ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. ტელევიზორი
2. მუსიკალური ცენტრი
3. სარეცხი მანქანა
4. მტვერსასრუტი
5. მაცივარი
6. ვიდეომაგნიტოფონი
7. პირის საპარსი აპარატი
8. მიქსერი
9. წვენსაწური აპარატი
10. ჩაიდანი



ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩამოთვლილ პრიზებთან ერთად გათამაშდება სუპერ-პრიზი — ავტომობილი „რენო-სიმბოლი".

ასე რომ, 41 ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი, საგანგებოდ მოგებული დარჩება. გახსოვდეთ, პრიზი გადაეცემა მხოლოდ მათ, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას — საარჩევნო დამღის წარმოდგენის პირობით.

კითხვები ვიქტორინისათვის მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნები".

ვიქტორინის მეორე ეტაპის გათამაშება შედგება 26 ოქტომბერს „რუსთავი 2"-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 26 ოქტომბრის 18.00 საათამდე.

სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და „მაგთის", „ჯეოსელისა" და „ლაი-ლაის" აბონენტებისაგან.

სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამართლიანი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).



ვიქტორინის მეორე ეტაპის შეკითხვები:

1. ვინ შეიძლება გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
1) ამომრჩეველი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა.
2) ამომრჩეველი, რომელიც იმყოფება წინასწარ პატიმრობაში
3) ამომრჩეველი, რომელიც იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.
4) ყველა მათგანი

2. ვის უნდა მიმართოთ იმისათვის, რომ ჩაგრიცხონ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში?
1) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
2) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.
4) ნებისმიერ მათგანს.

3. როდემდე შეიძლება განცხადების შეტანა გადასატან საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანად?
1) 27 ოქტომბრის ჩათვლით.
2) 1 ნოემბრის ჩათვლით.

4. რომელი ასაკიდან ეძლევა მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლება?
1) 16 წლიდან
2) 18 წლიდან
3) 17 წლიდან
4) 21 წლიდან

5. რომელი საბუთებით შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა?
1) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით ან პასპორტით (ძველი ტიპის სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტით)
2) სამხედრო ბილეთით.
3) დევნილის მოწმობით პირადობის მოწმობასთან ერთად.
4) ნებისმიერი მათგანით.

6. რომელი საბუთებით არ შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა?
1) პენსიონერის მოწმობით.
2) მართვის მოწმობით.
3) შრომის წიგნაკით.
4) არც ერთი მათგანით.




## აშშ: აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი შანსი გაუშვა ხელიდან

პირველი გვერდიდან

**არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიციის ძალადობას და ტენდენციურ საარჩევნო კომისიებს."** არჩევნების დღეს მომხდარ დარღვევებზე კი სახელმწიფო დეპარტამენტის კომენტარი ასეთია: **"არჩევნების დღეს დამკვირვებლები სერიოზული დარღვევების მოწმენი გახდნენ. მაგალითად, დარღვევებით შედგენილი ამომრჩეველთა სიები, რაც ამომრჩევლებს ხმის მიცემის საშუალებას არ აძლევდა, ხმის დარღვევებით მიცემა და საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების მასიურად ჩაყრა. დამკვირვებლები ასევე იუწყებიან სერიოზული დარღვევების შესახებ უკვე ხმების დათვლის პროცესში. ეს პრობლემები კი არჩევნების შედეგებს ეჭვის ქვეშ აყენებს."**

მიუხედავად ამისა, **"აშშ იმუშავებს არჩეულ პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან და მის მთავრობასთან, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა მნიშვნელოვანი შანსი, რომელიც სამართლიანი არჩევნების გზით დემოკრატიზაციის პროცესზე გადასვლას გულისხმობდა. შეერთებული შტატები აზერბაიჯანის მთავრობას მოუწოდებს, არჩევნებში ყველანაირი ძალადობის დასადგენად, დაუყოვნებლივ ჩატარდეს დამოუკიდებელი და გამჭვირვალე გამოძიება."**

და ბოლოს, **"ჩვენ ასევე ღრმად ვართ შეშფოთებულები არჩევნებისშემდგომი ძალადობის ფაქტების გამო, რაც პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებებით გამოვლინდა. ისინი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, უნდა გასამართლდნენ, განურჩევლად იმისა, სამოქალაქო პირები არიან თუ პოლიციელები. ჩვენ მოვუწოდებთ, რომ ჩატარდეს სამართლიანი და გამჭვირვალე გამოძიება. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს, რომ მშვიდობიანი მეთოდებით და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. ჩვენ მოვუწოდებთ აზერბაიჯანის მთავრობას, რათა შეასრულოს ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და დაიცვას თავისი მოქალაქეების უფლებები."**

მართალია, ეს განცხადება რამდენიმე დღის დაგვიანებით გაკეთდა, მაგრამ ვაშინგტონმა მაინც დააფიქსირა საკმაოდ მკვეთრი რეაქცია იმ ნეგატიურ და ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, რასაც აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ჰქონდა ადგილი. ამდენად, ბევრს გაუცრუვდა იმის იმედი, რომ შეერთებული შტატები აზერბაიჯანის არჩევნებში მომხდარ და დაფიქსირებულ უამრავ დარღვევას "გადაყლაპავდა" და მომხდარზე თვალს დახუჭავდა. ალბათ, ეს იმედი ბევრ ქართველ პოლიტიკოსსაც ჰქონდა. საქართველო კი აზერბაიჯანი არ არის. თუკი შეერთებული შტატები აზერბაიჯანის მთავრობასთან, მომხდარის მიუხედავად, მაინც იმუშავებს, ეს არა ალიევების ოჯახის, არამედ აზერბაიჯანის ნავთობის დამსახურებაა. საქართველოში კი ნავთობი არ არის. ჩვენი ქვეყნით ვაშინგტონის დაინტერესება ნავთობზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებით არის განპირობებული. ამდენად, თუკი ქართული 2 ნოემბერი აზერბაიჯანული 15 ოქტომბრის ანალოგიურად წარიმართება, ვაშინგტონის რეაქცია გაცილებით მკვეთრი, ნეგატიური და მყისიერი იქნება. თანაც, საქართველოში ჩამოსულ უცხოელ დამკვირვებელთა "დესანტი" გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნება, რის გამოც თავად პრეზიდენტმა შევარდნაძემაც კი ვერ დამალა შეშფოთება.

თუკი საქართველოს ხელისუფლებაც ხელიდან გაუშვებს დემოკრატიზაციის პროცესზე გადასვლის საბოლოო შანსს, მსოფლიო ჰეგემონის მხარდაჭერაც ასევე საბოლოო იქნება. სამაგიეროდ, საქართველოსთვის მზე ხანგრძლივი დროით ჩრდილოეთიდან ამობრწყინდება.

## კუჩმა: კარგი მეზობელი ასე არ იქცევა!

პირველი გვერდიდან

მოლაპარაკებებამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთმა დამბის მშენებლობა დაიწყო, რომელიც რუსეთის სახმელეთო ტერიტორიას უკრაინის კუთვნილ კუნძულ ტუზლასთან აერთებს. კიევმა მაშინვე ბრალი დასდო მოსკოვს მისი ტერიტორიის მითვისების მცდელობაში და მშენებლობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვა. კრემლმა ამ მოთხოვნას წაუყრუა. გუშინ რუსულმა დამბამ უკრაინის ტერიტორიამდე მიაღწია.

ამან მთელი უკრაინის აღშფოთება გამოიწვია. მოსკოვის ქმედება ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ერთხმად დაგმო. "კარგი მეზობლები ასე არ იქცევიან. ეს არამეგობრული ნაბიჯია," – განაცხადა პრეზიდენტმა კუჩმამ. "ტუზლა ორი ქვეყნის ურთიერთობებში ფუნდამენტური კრიზისის სიმბოლოა. ჩვენს შორის სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობები დღეს უფრო აქტიურად განიხილება, ვიდრე მაშინ, როდესაც შავი ზღვის ფლოტს ვიყოფდით," – განაცხადა ოპოზიციის ლიდერმა იუშჩენკომ.

უკრაინის მკვეთრი ბრალდებების საპასუხოდ, რუსეთმა ორჭოფული პოზიცია დაიკავა. კრემლმა განაცხადა, რომ "დამბის მშენებლობას კრასნოდარის რეგიონის ადმინისტრაცია ახორციელებს, ამ ზონაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით". საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა ყველას მოუწოდა, ვითარება არ დაძაბონ და დიპლომატებს მშვიდი მუშაობის საშუალება მისცენ. დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე როგოზინი იქამდეც მივიდა, რომ განაცხადა: კუნძული ტუზლა საერთოდ არ არსებობსო! არადა, ხვალ კუჩმა ამ "არარსებულ" კუნძულზე ჩასვლას აპირებს.

პარალელურად, ყირიმის რუსულმა თემმა დემონსტრაციების მოწყობა დაიწყო ყირიმის რუსეთისათვის გადაცემის მოთხოვნით.

ერთი სიტყვით, მთელი ის არსენალი, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოს ტერიტორიის მისათვისებლად იყენებს, რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ აამოქმედა.

თუმცა, ის, რაც საქართველოსთან ადვილად გასდის, უკრაინასთან კრემლს, ჯერჯერობით, ვერ გაუვიდა. კიევის მტკიცე პოზიციის გამო, გუშინ საღამოს პრემიერმა კასიანოვმა დამბის მშენებლობის შეჩერება მოითხოვა.

მიუხედავად ამისა, კრიზისი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცების პერსპექტივამ მაშინვე მოხიბლა რუსეთის მოსახლეობა. რადიო "ეხო მოსკვის" მერ ჩატარებული გამოკითხვით, მოსკოველთა 82-მა პროცენტმა განაცხადა, რომ მათთვის კუნძულის ხელში ჩაგდება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უკრაინასთან მეგობრული ურთიერთობა.

## შიმონ პერესი:
# „ჩვენ გვსურს მშვიდობა ყველა მეზობელთან"


შეხვედრა ქართულ მიწაზე: რივკა კოენი, ბადრი პატარკაციშვილი და შიმონ პერესი.

ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მოწვევით თბილისში მყოფი ისრაელის პოლიტიკური სცენის ვეტერანი შიმონ პერესი ისეთ მსოფლიოზე ოცნებობს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს მხოლოდ მოედნებზე, ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე გაეჯიბრებიან. ამგვარი განცხადება შიმონ პერესმა თბილისის აეროპორტში გამართულ სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

შიმონ პერესის - ისრაელის "მაპაის პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის ინიციატივით, 1994 წელს ისრაელმა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა "პალესტინის განთავისუფლების პარტიასთან", რითაც საფუძველი ჩაუყარა პალესტინელებთან და არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობების მოწესრიგებას. ისრაელმა თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ ხელშეკრულებები გააფორმა იორდანიასთან, სირიასთან და სხვა არაბულ ქვეყნებთან, რომლებმაც დასაბამი მისცეს ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების მოწესრიგების პროცესის დაწყებას. არაბულ სამყაროსთან ურთიერთობების მოწესრიგებისათვის გადადგმული ნაბიჯებისა და მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის შიმონ პერესი და იცხაკ რაბინი ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ.

დღეს შიმონ პერესის სახელობის მშვიდობის ცენტრსა და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდს შორის, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერება ხელი.

*ინტერ-პრესი*

# ყველაზე მთავარი გეგმაში

## „მზიურის" ტერიტორია აღარ უნდა გაიყიდოს

ნანა ქადაგიშვილი

*„მზიურის" ტერიტორიული მოწესრიგების გეგმის შემუშავებას ქალაქის არქიტექტურის სამსახური ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ აპირებდა, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო, ვერ მოუხერხებია. ინვესტორების წყალობით, სამსახურმა იდეის განხორციელება წელს შეძლო. გუშინ არქიტექტორმა ირაკლი მასხარაშვილმა კოლეგებსა და საზოგადოებას „მზიურის" ტერიტორიული მოწესრიგების გეგმა გააცნო.*

ყველაზე მთავარი ამ გეგმაში ის არის, რომ ამიერიდან „მზიურის" ტერიტორია აღარ უნდა გაიყიდოს. არქიტექტორები, პირიქით, უკანონოდ მითვისებული ტერიტორიების გათავისუფლებას აპირებენ. **„გასული საუკუნის 90-იან წლებში მზიურის ტერიტორიის არცთუ მცირე ნაწილი უკანონოდ მიითვისეს. სტიქიურად განაშენიანებულ ტერიტორიაზე 50 ბარაკის ტიპის სახლია აშენებული. ამ ადგილას თავის დროზე ლანდშაფტური პარკის გაშენება იყო გადაწყვეტილი. ამ იდეის განხორციელება ისევ გეგმაშია. ქაოსურად განლაგებულ დასახლებებს კი „მზიურის" ტერიტორიაზევე ერთ ადგილას მოვათავსებთ,"** – აცხადებს არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი.


„მზიური", ჭერჭერობით, მხოლოდ მაკეტშია მოწესრიგებული.

როგორც არქიტექტორები ამბობენ, „მზიურს" საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია, 2200 ჰექტარი („მზიური" მხოლოდ ნოდარ დუმბაძის სახელობის პარკი არ გახლავთ). ტერიტორიული მოწესრიგების გეგმა მხოლოდ 100 ჰექტარს, გმირთა მოედნიდან ვაკე-საბურთალოს გადაკვეთამდე ტერიტორიას მოიცავს. გეგმა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული პრობლემების მოგვარებასა და ვერის აუთვისებელი ფართის განაშენიანებას ითვალისწინებს. როგორც ირაკლი როსტომაშვილი აცხადებს, განაშენიანებაში მხოლოდ საპარკო განაშენიანება იგულისხმება. არქიტექტურის სამსახურის უფროსს იმედი აქვს, რომ ინვესტორებს, სახლებისა და სასტუმროების მშენებლობის გარდა, პარკებისა თუ ტენისის კორტების მშენებლობითაც დააინტერესებს.

გეგმის ავტორი ირაკლი მასხარაშვილი „მზიურის" ტერიტორიას რამდენიმე უბნად ყოფს. პირველ უბანს - ზოოპარკისა და ტყეპარკის ტერიტორიას ეკოლოგიური პრობლემის მოწესრიგება სჭირდება. კანალიზაცია პირდაპირ მდინარე ვერეში ჩაედინება და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. მეორე უბანი - ვერეს მარჯვენა სანაპირო არანაკლებად ცუდ მდგომარეობაშია. ეს მეწყერული ზონაა და ფერდობების გამაგრებას საჭიროებს.

„მზიურის" ტერიტორიული მოწესრიგების გეგმა აღნიშნულ ტერიტორიაზე ფეხმავალი და გამჭოლი ქუჩების გაკეთებასაც ითვალისწინებს. მაგალითად, ჭავჭავაძის გამზირიდან ზოოპარკამდე ჩასასვლელ დაჟანგულ რკინის ხიდს ქუჩა შეცვლის.

არქიტექტურის სამსახური აღნიშნულ გეგმას სამსახურის შენობაში გამოაკრავს, რათა დაინტერესებული საზოგადოებისთვის მისი ყოველი დეტალი ცნობილი იყოს.

*ფოსტა*

# ჩვენი პენსიები თქვენი ბრძანებულების საფუძველზე მიითვისეს

ბატონო პრეზიდენტო!

მოგმართავთ ყველაზე დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი, უფლებაშელახული, მორალურად და ზნეობრივად განადგურებული ის პენსიონერები, რომლებსაც გვეძლევა მობეზრებული პენსია – 14 ლარი. ჩვენ ის პენსიონერები ვართ, რომლებმაც საქართველოს მომავლისთვის, ხალხის საკეთილდღეოდ, ერის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ბრძოლასა და შრომას 40-45 წელზე მეტი შევალიეთ.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენი 1994 წლის 25 მარტის №85 ბრძანებულებით, საქართველოს სახელმწიფო შემნახველი ბენკი გამოცხადდა კერძო კომერციულ ბანკად, ხოლო 1995 წლის 21 მარტის №71 ბრძანებულებით, გაერთიანდა სამი ბანკი, რომელთა ბაზაზე შეიქმნა „გაერთიანებული ქართული ბანკი". გაერთიანება კარგია მაშინ, როცა სხვისი ინტერესები და უფლებები არ ილახება. ჩვენი უფლებები კი შეილახა.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია მსხვერპლად აღიარებს „პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგათ მატერიალური ზარალი ან სხვა სახის ზიანი, მორალური ზიანის ჩათვლით, ხელისუფლების მიზეზით." ისმება კითხვა: მოგვადგა თუ არა ჩვენ მატერიალური და მორალური ზიანი ხელისუფლების მხრიდან? ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, „არავის არ უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად." განა, არ ჩამოგვართვეს? არ მიითვისეს?

ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია, ჩვენ ბრძანებულება შევასრულეთო, - ამბობს ჩხარტიშვილი. ამით იგი თქვენ გდებთ ბრალს. თუ არა თქვენი ბრძანებულებები, ჩხარტიშვილი, ზ. სიორიძე და თ. მაღლაკელიძე ვერ მიითვისებდნენ უმწეო პენსიონერების თანხებს...

ბატონო პრეზიდენტო! თქვენი ბრძანებულებების საფუძველზე, ყველაფრის უფლება გადაეცა გ.ქ.ბ.-ს, ამით გ.ქ.ბ. გახდა სამი გაერთიანებული ბანკის სამართალმემკვიდრე. ამასვე ადასტურებს ეროვნული ბანკი, სახალხო დამცველის აპარატი, პროფესიული კავშირების გაერთიანება. ამას თავად გ.ქ.ბ. არ უარყოფს, მაგრამ... გავიარეთ სასამართლო პროცესები, რაიონულმა სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა, საოლქომ უარით გამოგვისტუმრა, უზენაესმა სასამართლომ განხილვაზე, ხარვეზების აღმოუფხვრელობისა და ბაჟის გადაუხდელობის გამო, გვითხრა უარი. განჩინებაში ნათქვამია: „14-ლარიან პენსიონერებს ბაჟის გადახდის საშუალება არა აქვთ და არც საკასაციო საჩივრის შესადგენად ადვოკატის ხარჯების გაღება შეუძლიათ." ეს ჭეშმარიტებაა.

ბატონო პრეზიდენტო! რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს მოქალაქეს იმ სახელმწიფოზე, მის პრეზიდენტზე, საკანონმდებლო ორგანოზე ან მთავრობაზე, რომელიც პენსიონერებს აძლევს საარსებო მინიმუმის მეათედს და მას, 14-ლარიან პენსიონერს, სასამართლო სთხოვს ბაჟის გადახდას. მაშინ, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი პარლამენტარების, მოსამართლეების, პროკურორებისა და სხვათა ხელფასების მომატებისა და მათთვის პენსიების ხელფასის 100 პროცენტით დანიშვნის შესახებ. რატომ, რა დამსახურებისთვის? რა სარგებლობა მოუტანეს ხალხს, ქვეყანას? განა, ისინი ღირსნი არიან ხელახლა მივიდნენ პარლამენტში?..

ბატონო პრეზიდენტო! საქართველოში პენსიონერები და მეანაბრეები, რომლებიც გაუგონარი სისასტიკით დაზარალდნენ, გაერთიანების შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებას შეძლებენ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს გასათვალისწინებელია...

ჩვენ, სანამ ცოცხლები ვიქნებით, არ მივატოვებთ ბრძოლას ჩვენი პენსიონერების დასაბრუნებლად. თქვენ საქართველოში ყველაფრის უფლება გაქვთ, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, 175 პენსიონერის სახელით, დაავალდებულოთ „გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს მესვეურები, დაგვიბრუნონ ჩვენი კუთვნილი პენსიები, რაც მათ მიერ, თქვენი ბრძანებულებების საფუძველზე, იქნა მითვისებული.

175 დაზარალებული პენსიონერის სახელით

*ამირან ნორაკიძე*

*აფხაზეთის ომში შვილდაღუპული მარტოხელა პენსიონერი*

*ზღვარზე*

# გაჭირვება საზღვარგარეთ თუ შიმშილი საკუთარ სამშობლოში

ეთერ მამულაშვილი

*დაახლოებით, ასეთი არჩევანის წინაშე დგას საქართველოდან წასული მოსახლეობის დიდი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ უკიდურესობას შორის არჩევანის გაკეთება, მართლაც, რთულია, საქართველოს მოქალაქეებს დიდხანს ფიქრი მაინც არ სჭირდებათ, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ისინი პირველის სასარგებლოდ დგამენ ნაბიჯს. ქვეყანაში, სადაც საარსებო მინიმუმი 117 ლარია, მინიმალური ხელფასი - 20 ლარი და ასეთი სამსახურიც, ხშირ შემთხვევაში, სანთლით საძებარია, ადამიანს ამ სახელმწიფოში დასატოვებელი, ფაქტობრივად, აღარაფერი რჩება. პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული ცარიელი კუჭით ბევრისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.*

შედეგად, სახელმწიფოს დღეს მილიონზე მეტი გარე მიგრანტი ჰყავს; ერთი ამდენიც სიამოვნებით დატოვებდა ქვეყანას და ცხრა მთის იქით გაიქცეოდა. სახელმწიფო მათ დასაბრუნებლად ბევრს ვერაფერს აკეთებს. ქვეყნიდან გასულები კი, საქართველოში დარჩენილი ახლობელ-ნათესავების გარდა, საკუთარ სახელმწიფოსაც ეხმარებიან. თუ დღეს ეროვნული ვალუტის კურსი მეტ-ნაკლებად სტაბილურია, ეს, გარკვეულწილად, ჩვენი თანამემამულეების დამსახურებაც ყოფილა. სხვადასხვა ექსპერტული მონაცემებით, საკუთარი ოჯახების დახმარების მიზნით, ქვეყანაში წელიწადში, საშუალოდ, 1-1.5 მილიარდი დოლარი შემოედინება.

### მცირე სტატისტიკა

გაერო-ს მონაცემებით, დღეს მსოფლიო მოსახლეობის, დაახლოებით, სამი პროცენტი – 175 მილიონი ადამიანი, არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა; აქედან მილიონზე ცოტა მეტი საქართველოს ყოფილი, ან ჯერ კიდევ, მოქალაქეა. თუკი გარემიგრანტების შესახებ გასული წლების ოფიციალური სტატისტიკა აშკარად თვალისამხვევ ციფრს მიუთითებდა, დღეს სტატისტიკის დეპარტამენტი საჯაროდ აღიარებს, რომ საქართველოს ყოველი მეხუთე ადამიანი ქვეყნიდან არის გასული.

ქვეყანაში მასობრივი მიგრაცია 1990-91 წლიდან დაიწყო. მაშინ გასულებს შორის, ძირითადად, ეთნიკური მიგრანტები ჭარბობდნენ და ეს ბუნებრივიც იყო - საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოდან საკუთარ ისტორიულ სამშობლოს, დაახლოებით, 400 ათასი ადამიანი დაუბრუნდა. გარე მიგრაცია შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა, დღეს კი უკვე კატასტროფულად იზრდება ეკონომიკური მიგრანტების რაოდენობა. დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დასაღწევად 1995-97 წლებში საქართველოდან წელიწადში, საშუალოდ, 150-200 ათასამდე მოქალაქე გარბოდა.

გასულ წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგად ირკვევა, რომ, არაკონტროლირებადი ტერიტორიების გამოკლებით, დღეს ქვეყანაში ოთხი მილიონ სამასი ათასზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს (მანამდე უკანასკნელი აღწერა ქვეყანაში 1989 წელს ჩატარდა; საქართველოს მაშინდელი მაჩვენებელი 5 მილიონ ოთხას ათასს აჭარბებდა). აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, ექსპერტების გაანგარიშებით, 230 ათას კაცზე მეტი არ უნდა ცხოვრობდეს. დამოუკიდებელი და სამთავრობო ექსპერტები უკვე აღარც იმაზე დავობენ, რომ გადასახლებულთა 80 პროცენტზე მეტი ეკონომიკური მიგრანტია. გაერო-ს ექსპერტთა შეფასებით, საქართველოდან წელიწადში, საშუალოდ, 30 ათასი ადამიანი გაედინება.

ექსპერტების დაკვირვებით, უკანასკნელი რამდენიმე წელია, საქართველოში მოსახლეობის აშკარა დაბერება შეიმჩნევა - ეს ბუნებრივიცაა, რადგან ემიგრირებულთა 80 პროცენტზე მეტი 20-45 წლის ასაკის ახალგაზრდაა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი საქართველოში, დევიდ ტერცი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის ეს საგანგაშო მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. **„ციფრები იმდენად საგანგაშო არ არის, რამდენადაც ამ ადამიანების ასაკი. საუბარია ყველაზე შრომისუნარიან თაობაზე. ეს კი, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ მალე ქვეყანას აღარ ეყოლება კვალიფიციური და შრომისუნარიანი კადრები,"** – აღნიშნა მან „24 საათთან" საუბრის დროს.

60 და უფროსი ასაკის პირები ქვეყნის მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტს შეადგენენ; მოსახლეობის, თითქმის, 15 პროცენტი 65 წელზე მეტისაა. არადა, გაერო-ს შკალით, საგანგაშოდ შვიდი-რვა პროცენტია მიჩნეული. საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რუსეთის, გერმანიისა და თურქეთის რესპუბლიკას ირჩევენ, ასევე, საბერძნეთს, ამერიკის შეერთებული შტატებს, ავსტრიასა და ისრაელს.

მსგავსი სტატისტიკური მონაცემები ნორმალური ქვეყნის ნორმალურ ხელისუფალს, წესით, მოსვენებას დააკარგვინებდა. შეშფოთების საფუძველს მათ ის პროგნოზი მაინც უნდა აძლევდეს, რასაც ექსპერტები 2020 წლისთვის ხატავენ. თუკი ქვეყნის მთავარ დემოგრაფებს დავუჯერებთ, ამ დროისთვის საქართველოს მოსახლეობა კიდევ ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანით შემცირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოესი ჩვიდმეტი წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ 3.7 მილიონი ადამიანი იცხოვრებს.

### რას იწვევს მიგრაცია?

ოფიცილური სტატისტიკა დღეს უკვე აღარც იმას მალავს, რომ ქვეყნიდან გასულების უმრავლესობა არალეგალური მიგრანტია, თუმცა მათ შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. უცხო სახელმწიფოში უკანონოდ ცხოვრება, მით უმეტეს - მუშაობა, ჩვენს თანამემამულეებს ხშირად ძალიან ძვირი უჯდებათ. თუკი ათი წლის წინათ სიტყვა „ტრეფიკინგის" გასაგებად უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოშველიება იყო საჭირო, დღეს იგი ძალიან ბევრმა საკუთარ თავზე გამოსცადა. ტრეფიკინგი განსაკუთრებით აქტუალური გასული საუკუნის ბოლოდან ხდება. ამ დანაშაულის მასშტაბები, თითქმის, ყველა განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. მიზეზი რამდენიმეა: დღემდე საქართველოს ხელისუფლებას არც ერთ სახელმწიფოსთან არ აქვს დადებული ხელშეკრულება შრომითი მიგრაციის შესახებ, უფრო მეტიც, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ქვეყანას ჯერ შრომითი მიგრაციის შესახებ კანონიც არ გააჩნია.

საზღვარგარეთ არაკანონიერი გზით გასული ან მოტყუებით გაყვანილი ქართველების დიდი უმრავლესობა მონური შრომისა და დანაშაულებრივი ბიზნესის მსხვერპლი ხდება. ტრეფიკინგის სხვადახვა მსხვერპლთა ისტორია ერთმანეთს ძალიან ჰგავს, რადგან მათ მოსატყუებლად, ძირითადად, ერთი სქემა მუშაობს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შარშან ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ტრეფიკინგის ზოგიერთი მსხვერპლი დღეს უკვე ცოცხალიც აღარ არის. მართალია, ამ მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობა უმნიშვნელოა, მაგრამ ეს სულაც არ აძლევს ჩვენს ხელისუფლებას არხეინად ყოფნის საფუძველს.

### რას აკეთებს სახელმწიფო?

2003 წლამდე ტრეფიკინგს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს, ქვეყნის კანონმდებლობა არ ცნობდა. მის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ხელისუფლებამ მხოლოდ ამ წლის დასაწყისში დაიწყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ მოჩვენებითი ბრძოლა. იანვარში, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. მალევე შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ დანაშაულთან ბრძოლის სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა; სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინიგი უმძიმეს დანაშაულად იქნა აღიარებული, რისთვისაც 5-20 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. თითქმის, ათი თვის გასვლის შემდეგ სამართალდამცავებმა ერთი დამნაშავის დაკავებაც კი ვერ მოახერხეს. ტრეფიკინგის მუხლით დღემდე მხოლოდ სამი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს.

ქვეყნის გარეთ ბედნიერებაში თუ უბედურებაში მყოფ ადმიანებს საკუთარი ხელისუფლების იმედი, უკეთეს შემთხვევაში, უახლოესი თხუთმეტი წელი არ უნდა ჰქონდეთ. სიღარიბის დაძლევის პროექტი, რითაც სახელმწიფო მინისტრი ხშირად ამაყობს, 15 წელზეა გათვლილი. ეს იმას ნიშნავს, რომ, დაახლოებით, 2020 წლისთვის საქართველოში ღარიბი ფენა აღარ უნდა იყოს. თუკი სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სოსო არჩვაძის ცოტა შორეულ პროგნოზს ვენდობით, არ არის გამორიცხული, საქართველო სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყანაც კი გახდეს. ბუნებრივია, თუკი იმ დროისთვის კიდევ ვინმე დარჩა ამ ქვეყანაში.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

*მოკლედ*

### მერის უკმაყოფილება

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გუშინ მონაწილეობა მიიღო მთაწმინდა-კრწანისის რაიონისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ცერემონიალში.

დღეს ორთაჭალის მცხოვრებლებს აღუდგებათ ბუნებრივი აირის მიწოდება და ამით დასრულდება თბილისში გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც დედაქალაქს ბოლო სამი თვის მანძილზე შეფერხებით მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი.

ვანო ზოდელავამ უკმაყოფილება გამოთქვა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ იმის გამო, რომ „ინჟმშენს", რომელიც დედაქალაქში გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა, ცენტრალური ბიუჯეტიდან დაპირებული 4 მილიონი ლარიდან არც ერთი თეთრი არ მიუღია. თბილისის მერი ვანო ზოდელავა ცენტრალური მთავრობით იმითაც არის უკმაყოფილო, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მიწისძვრით დაზარალებულთათვის გათვალისწინებული 4 მილიონი ლარი დღემდე დედაქალაქისთვის გადარიცხული არ არის. „ის, რაც დედაქალაქს სჭირდება, არ უნდა იყოს ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული. ამისთვის არსებობს ქალაქის მერია, მთავრობა და ჩვენ ჩვენი ბიუჯეტი გვაქვს", – აცხადებს ვანო ზოდელავა.

### 90 პროცენტი ტოქსიკომანია, 85 - მეძავი

თბილისში მიუსაფარ და ე.წ. ქუჩის ბავშვების რაოდენობა გაზაფხულის მაჩვენებელს გაუთანაბრდა. საქართველოს საკურორტო ადგილებიდან დაბრუნებული ასეთი კატეგორიის მოზარდები კვლავ ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალებზე, გზაჯვარედინებზე, ბაზრობებისა და რესტორნების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩნდნენ. როგორც თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ბელა სარიამ განაცხადა, განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ მოზარდთა შორის კვლავ პრობლემად რჩება ტოქსიკომანია და მეძავობა. ქუჩის ბავშვების 90 პროცენტი ტოქსიკომანია, ხოლო გოგონების 85 პროცენტი — მეძავი.

ბავშვთა უფლებებზე მომუშავე სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ამ პრობლემების დარეგულირება შესაძლებელია „ბავშვთა დახმარების ერთიანი ეროვნული სამოქმედო პროგრამის" ფარგლებში, რომელიც 2003-2007 წლებზეა გათვლილი და 500 მლნ. დოლარით დაფინანსდება. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისობის დღესასწაულისთვის დედაქალაქს "თბილწყალკანალის" ორი ახალი ობიექტი შეემატება, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობის წყალმომარაგებას გააუმჯობესებს. ღრმაღელის საფილტრე სადგურიდან მუხიანის დასახლების გადასასვლელამდე 1500-მეტრიანი ახალი წყალსადენის ქსელი აშენდა. იგი გლდანისა და მუხიანის მოსახლეობას წყლის პრობლემას მოუხსნის. ქსელის ასაშენებლად თბილისის ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოიყო. რაც შეეხება მეორე ობიექტს, იგი სამგორის წყალსადენის საფილტრე სადგურზე აშენდა. ნედლი წყლის 10000 კუბურმეტრიანი ახალი რეზერვუარი სამგორის მოსახლეობის წყალმომარაგებას გააუმჯობესებს. **ინტერ-პრესი**

*ორი სიტყვით*

**რუსთავი.** რუსთავში ჯილეხის ახალი შემთხვევა გამოვლინდა. გასულ კვირას რუსთავში დაავადდა ქალბატონი, რომელმაც ინფიცირებული ხორცი ახლობლის ქელეხში დაამუშავა. გუშინწინ, საავადმყოფოს კიდევ ერთმა პაციენტმა მიმართა, რომელიც ამავე ქელეხში ხორცის პროდუქტების გადატანაში იღებდა მონაწილეობას. ავადმყოფი მკურნალობას რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოში გადის. ეს უკვე წელს გამოვლენილი ჯილეხის დაავადების 24-ე შემთხვევაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სკოლებსა და ბაგა-ბაღებში გათბობის სეზონი, უკეთეს შემთხვევაში, 15 ნოემბრის შემდეგ დაიწყება. ზამთრის გათბობის პროგრამით საწვავის შესყიდვა-შემოტანაზე ტენდერი ორი კვირის წინათ გამოცხადდა, ხოლო გამარჯვებულები 10 ნოემბრისთვის გამოვლინდება. მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურში აგრეთვე ელოდებიან დედაქალაქის მთავრობის დადგენილებას, რომელიც განსაზღვრავს გათბობის სეზონის დაწყების ვადას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლილოს ნაგავსაყრელის გაუქმება და იაღლუჯაზე ახალი ნაგავსაყრელის გახსნას მხოლოდ არჩევნების შემდეგ უნდა ველოდოთ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცხადებენ, რომ, ჯერჯერობით, დედაქალაქის ბიუჯეტიდან არც ამ და არც სხვა სამუშაოებისთვის თანხები არ მიუღიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დღეებში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის და თბილისის 149-ე საშუალო სკოლის დირექციის ინიციატივით, ქართველი პედაგოგის, პუბლიცისტისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღისადმი (27 ოქტომბერი, 1840 წ.) მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში სამოქალაქო და სისხლის სამართალში რიგით მეორე ოლიმპიადა ჩატარდება. უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების განცხადებით, ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც იმიტირებულ სასამართლო პროცესებს ჩაატარებენ. ოლიმპიადის ორგანიზატორები არიან საქართველოს უზენაესი სასამართლო და იურისტ-სტუდენტთა ასოციაცია. ფინანსურ მხარდაჭერას ღონისძიებას აშშ-ის იურისტთა ასოციაცია უწევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გურამ შარაძემ უზენაეს სასამართლოს ბასილ მკალავიშვილის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა. შუამდგომლობას ხელს აწერს 30 პარლამენტარი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათობით პროფესორ-მასწავლებელი. ანალოგიური შუამდგომლობაა გაგზავნილი გენერალურ პროკურატურაშიც. შარაძის თქმით, ბასილ მკალავიშვილმა უკვე მიმართა განცხადებით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციას, სადაც მიუთითებს, რომ არ იმალება, იმყოფება გლდანის მშენებარე ეკლესიაში, ხოლო მანამდე, როგორც სასულიერო პირი, წმინდა ადგილების მოსალოცად იყო წასული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "შინაგანი ჯარების ჟანდარმერიის ტიპის სტრუქტურად გარდაქმნის დასრულება, რომელიც ევროპის რიგ ქვეყნებში მოქმედებს, 2004 წელს იგეგმება", - განაცხადა შინაგანი ჯარების სარდალმა, გენერალ-მაიორმა გიორგი შერვაშიძემ.

მისი თქმით, იანვარში საბოლოოდ მომზადდება შინაგანი ჯარების ახალი კონცეფცია, რომელზეც ქართველი და უცხოელი ექსპერტები მუშაობენ. შერვაშიძემ არ გამორიცხა, რომ შინაგან ჯარებს ჟანდარმერიას დაარქმევენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალება მორფინის უკანონო რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს 40 წლის ნათელა გუნავა.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცნობეს, გუნავას დაკავებისას აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 8 ამპულა მორფინი.

გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პოლიციის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს რუსთავის მეორე კოლონიიდან ათ სექტემბერს გაქცეული პატიმარი ნებაყოფლობით ჩაბარდა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, პოლიციას ჩაბარდა 43 წლის კახა პაპოშვილი, რომელიც მკვლელობის მცდელობისათვის იყო მსჯავრდებული. რუსთავის მეორე კოლონიიდან ათ სექტემბერს გაქცეული 129 პატიმრიდან ამჟამად 80-ზე მეტი მსჯავრდებულია დაკავებული, რომელთაგან ნებაყოფლობით მხოლოდ ათი ჩაბარდა პოლიციას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურში საფანტის სასროლი პისტოლეტებით შეიარაღებულმა ორმა ბოროტმოქმედმა დააყაჩაღა ფირმა "ომეგას" დასავლეთ საქართველოს ოფისის მძღოლი. მათ ავტომანქანა "ნივიდან" ფულადი თანხა და მობილური ტელეფონი გაიტაცეს. დაყაჩაღებისას ერთ-ერთ ბოროტმოქმედს გაუვარდა პისტოლეტი და მუცლის არეში დაჭრა მძღოლი ელგუჯა შუბლაძე, რომელიც წყალტუბოს საავადმყოფოშია მოთავსებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საკონსტიტუციო სასამართლო არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხს გადაწყვეტს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" კანონების მუხლებს ასაჩივრებს და 15-მდე ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას მოითხოვს. მოსარჩელეების აზრით, ხსენებული მუხლები აკანონებენ ცენზურას, ზღუდავენ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას, გაერთიანების თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩეჩენი პატიმრების - ხაჩუკაევისა და მაგამედოვის პროცესი გაიმართება. პროკურორმა უზენაეს სასამართლოში საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი გაასაჩივრა. ხაჩუკაევი და მაგამედოვი იმ 13 პირს შორის იყვნენ, რომლებიც ქართველმა მესაზღვრეებმა 2002 წლის 4 აგვისტოს დააკავეს. გირევის საგუშაგოზე **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** "რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის ნავთობკომპლექსს საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფება აკონტროლებს და ისინი აფინანსებენ ჩეჩნეთის კრიმინალურ ბანდებს," – ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ რუსეთის შს მინისტრმა ბორის გრიზლოვმა. მისი ინფორმაციით, კრიმინალური ჯგუფები სამხრეთ ოლქში მდებარე ნავთობკომპლექსებიდან ნავთობპროდუქტების უკანონო წარმოებითა და რეალიზაციით სოლიდურ ფინანსურ შემოსავლებს ღებულობენ.

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები დღეისთვის კრიმინალთა ხელშია და ტერორიზმის დამფინანსებელი ერთ-ერთი წყაროა. "ჩვენ ძალზე სერიოზული ანალიზი გავაკეთეთ და იმ ძალას, რომელიც ამ მნიშვნელოვან ობიექტს დაეპატრონა, უახლოეს მომავალში გამანადგურებელ დარტყმას მივაყენებთ," – განაცხადა ბორის გრიზლოვმა. **24 საათი**

# საქართველოში სიტყვის თავისუფლება წვრილმან ხულიგნობად შეფასდა

პირველი გვერდიდან

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციამ, რომელსაც გულუას სახელობის სპეცრაზმიც მიეშველა, დავალება პირნათლად შეასრულა - აქცია ძალის გამოყენებით დაარბია, ხოლო "კმარას" შვიდი აქტივისტი ცემა-ტყეპით რაიონის პოლიციის შენობაში გადაიყვანა.

რამდენიმე საათის განმავლობაში თავისუფლებააღკვეთილ სტუდენტებს მხსნელად ადვოკატის ორდერით შეიარაღებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი თინათინ ხიდაშელი მოევლინა. მართალია, პოლიციამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უკან დახევა სცადა და ყველაფერი მოსახლეობის სურვილს დააბრალა, მაგრამ, საბოლოოდ, სტუდენტების, რომელთა დაკავების შესახებ ოქმიც კი არ ჰქონდათ შედგენილი, ადმინისტრაციული წესით დასჯა მოინდომა და მათ წვრილმან ხულიგნობაში დასდო ბრალი.

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლო სწორედ ამ საქმეს განიხილავდა.

მოძრაობის წევრები მართლმსაჯულების წინაშე სრული შემადგენლობით გამოცხადნენ. სტუდენტებისგან განსხვავებით, სასამართლოში არც ერთი პოლიციელი არ მისულა.

**"სამართალდამცველებს აქციის დარბევასთან დაკავშირებით ბევრ კითხვაზე მოუწევდათ პასუხის გაცემა. ისინი სწორედ ამას მოერიდნენ და პროცესზე ამიტომაც არ მოვიდნენ,"** – აღნიშნა ჩვენთა საუბარში "კმარას" აქტივისტთა ადვოკატმა თინათინ ხიდაშელმა.



*"კმარა" ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას განაგრძობს.*

წვრილმან ხულიგნობაში ბრალდებული სტუდენტები რამდენიმე საათის განმავლობაში უხსნიდნენ რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა სონღულაშვილს, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ და მხოლოდ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს იყენებდნენ. მართალია, სასამართლოს თამვჯდომარეს "კმარას" აქტივისტებისთვის ადმინისტრაციული წესით გათვალისწინებული გადასახადი არ დაუკისრებია, მაგრამ წვრილმან ხულიგნობაში ისინი მაინც ცნო დამნაშავედ. მოსამართლემ სტუდენტებს სიტყვიერი დარიგებაც მისცა - მომავალში ამგვარი ქმედება აღარ გაიმეორროთო.

**"ჩვენ მიგვაჩნია, რომ "კმარას" აქტივისტებს კანონი არ დაურღვევიათ, ამიტომ რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში გავასაჩივრებთ".** – განაცხადა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ხიდაშელმა, თუმცა "კმარელების" და პოლიციელების დაპირისპირება ამით არ სრულდება. "კამარას" აქტივისტების დაპატიმრების დროს პოლიციის მხრიდან დაშვებულ კანონდარღვევებზე თინათინ ხიდაშელმა შინაგან საქმეთა ორგანოებს განცხადებით მიმართა, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიუღია.

**"იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია განცხადებაზე რეაგირებას არ მოახდენს, მაშინ პროკურატურას მივმართავთ. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საქართველოში ხალხს სიტყვის თავისუფლებისთვის ასამართლებდნენ,"** – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი.

# „ლმობიერი" სასამართლო გატაცებული ბავშვის ინტერესებს უგულებელყოფს

*წელიწადი და სამი თვე იწურება მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა 15 წლის მარიამ გოგინაშვილი გაიტაცეს. დღემდე მისი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერია ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინათ გოგინაშვილების ოჯახს შვილის დაბრუნების იმედი მიეცა, მაგრამ მხსნელად მოვლენილი ადამიანი ჩვეულებრივი თაღლითი აღმოჩნდა – გატაცებული ბავშვის ოჯახისთვის რამდენიმე ათასი დოლარის გამოძალვის შემდეგ იგი დააპატიმრეს, თუმცა...*

სოფიკო ჩხაიძე

დღესდღეობით 64 წლის ზაირა ფოცხვერიას მიმართ თაღლითობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს თბილისის პოლიციის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილება იძიებს, მაგრამ ბრალდებულის მოსაძებნად გამომძიებელს საკმაო დროის დახარჯვა სჭირდება. საბოლოო ჯამში, იგი მაინც იმაზეა დამოკიდებული, თავად ზაირა ფოცხვერია მოინდომებს თუ არა მასთან დაკავშირებას. ამგვარ უხერხულ სიტუაციაში კი პოლიცია სასამართლომ ჩააგდო, რომელმაც დაკავებულ ფოცხვერიას აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდა.

არადა, გამოძიება დღემდე არ გამორიცხავს, რომ ზაირა ფოცხვერიამ მართლა რაიმე იცოდეს მარიამ გოგინაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ რეალურად ეჭვების დადასტურების ან გაქარწყლების საშუალება სასამართლოს გადაწყვეტილებამ მოუსპო.

როგორც საგამოძიებო მასალებით ირკვევა, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გოგინაშვილების ოჯახს დაუკავშირდა ზაირა ფოცხვერია. ალბათ, მის მტკიცებას, რომ გატაცებული ბავშვის მოძებნა შეუძლია, არავინ დაიჯერებდა, შუამავალი პოლიციის მუშაკი რომ არ ყოფილიყო. ამ პოლიციელის ნდობა კი ფოცხვერიას რამდენიმე რეალური ინფორმაციის მიწოდებით მოუპოვებია. დღეს ეს პოლიციელი სამსახურიდან სწორედ ზაირა ფოცხვერიასათვის ნდობის გამოცხადების გამოა დათხოვნილი.

შესაძლოა, თაღლითობა არც იქნას მიჩნეული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად, მაგრამ ზაირა ფოცხვერიას მიერ ჩადენილი დანაშაული ყოველგვარი ამორალობის ფარგლებსაც კი სცილდება. იანვრის შემდეგ იგი რამდენჯერმე შეჰპირდა გოგინაშვილებს გატაცებული შვილის დაბრუნებას. რამდენჯერმე მიუთითა ადგილი, სადაც გატაცებული მარიამი იმყოფებოდა, ერთხელ კი პაემანიც კი დაუთქვა, სადაც გამტაცებელთა ხელიდან უკვე გამოხსნილი გოგონა უნდა მიეყვანა.

რას ნიშნავდა თითოეული ასეთი შეტყობინება გოგინაშვილების ოჯახისთვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იქიდან გამომდინარე, რომ მათ თვეების მანძილზე შვილის შესახებ არაფერი სმენიათ. ყოველი ასეთი შეტყობინების შემდეგ ზაირა ფოცხვერია თვეობით იკარგებოდა. კვლავ გამოჩენილი კი მორიგი "ოპერაციის" ჩასატარებლად ფულს ითხოვდა და ბავშვის სიცოცხლის გადარჩენით სპეკულირებდა. ბოლოს კი, რწმენადაკარგული ოჯახი საკუთარ სიმართლეში რომ დაერწმუნებინა, მან სატელეფონო ზარის იმიტაცია მოახდინა – სასოწარკვეთილებაში მყოფ ოჯახს ვითომ დაკარგული შვილი ალაპარაკა.

ზაირა ფოცხვერია 15 ოქტომბერს დააკავეს. მან იანვრიდან ოქტომბრამდე გოგინაშვილებს 5 ათასი დოლარი გამოსძალა.

17 ოქტომბერს იგი სასამართლო გადაწყვეტილების ძალით გათავისუფლდა - ყოველივე ზემოთ თქმული საკმარისი მიზეზი არ აღმოჩნდა ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსამართლის გივი გუგუნაშვილისთვის, რათა ზაირა ფოცხვერიას დაპატიმრების ბრძანება გაეცა. ცნობისთვის, გივი გუგუნაშვილი იმ ნანა გუგუნაშვილის ძმა გახლავთ, რომელმაც გიორგი სანაიას მკვლელობის საქმე განიხილა და თითქმის აბსურდული გადაწყვეტილება მიიღო. გუგუნაშვილი არ დაეთანხმა ბრალდების მხარის მოთხოვნას ბრალდებულისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ და საკუთარი გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა:

**"გამომძიებლის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: (ზაირა ფოცხვერია - რედ.) არის 64 წლის. მისი განმარტებით არის მძიმე ავადმყოფი, ქ.თბილისში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს არ შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. დასაბუთებულია ვარაუდი, რომ იგი ხელს არ შეუშლის და არ დაემალება გამოძიებას და სასამართლოს. ასევე, გათვალისწინებულია ისიც, რომ საქართველოს სსსკ-ის 159-ე მუხლის თანახმად აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, ხანდაზმული ქალისთვის 60 წლიდან"** (სტილი დაცულია).

ყურადღება მისაქცევია იმ ფაქტზე რომ მოსამართლის არგუმენტი ბრალდებულის მძიმე ავადმყოფობის შესახებ არავითარი სამედიცინო ცნობით არ არის გამყარებული. იგი მხოლოდ თაღლითობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევი ქალის სიტყვებს ეყრდნობა. რაც შეეხება მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ზაირა ფოცხვერიას მიერ მითითებულ მისამართზე მართლაც ცხოვრობს მისი შვილიშვილი, რომელიც გამომძიებელ ამირან ხინჯაკაძეს გამოუტყდა, რომ ბებიასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვს.

გამოძიება მიიჩნევს, რომ მარიამ გოგინაშვილის გატაცების ირგვლივ ზაირა ფოცხვერიამ ბევრი შეკითხვა დატოვა უპასუხოდ.

**"იგი ასახელებს კრიმინალთა გვარებს, რომელნიც, მისი თქმით, ინფორმირებულნი არიან გატაცებული ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ; მეტიც, თავადვე ასახელებს ბავშვის სავარაუდო ადგილსამყოფელს. ეს ყველაფერი დასაზუსტებელია. ჩვენ ხომ სასამართლოს სხდომამდე მხოლოდ რამდენიმე საათიანი დაკითხვის საშუალება მოგვეცა. იგი რომ სასამართლოს პატიმრობაში დაეტოვებინა, დარწმუნებული ვარ, ბევრ რამეს გავარკვევდით. მეტსაც გეტყვით, გამოძიებისა და გატაცებული ბავშვის ოჯახისთვის ისიც კი მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დადგინდეს, ამ ქალმა მართლაც იცის თუ არა რაიმე"**, - ამბობს ამირან ხინჯაკაძე.

ბრალდების მხარემ ვაკე-საბურთალოს მოსამართლის გადაწყვეტილება საოლქოში გაასაჩივრა. უახლოეს დღეებში პროცესი ჩატარდება და იქნებ საოლქო სასამართლომ, ყოველივე ზემოთ თქმულთთან ერთად, ის ფაქტიც გაითვალისწინოს, რომ გამოძიებასა და მარიამ გოგინაშვილის ოჯახის წევრებს ეჭვი აქვთ, რომ ზაირა ფოცხვერია გარკვეულ ინფორმაციას ფლობს ისეთი სერიოზული დანაშაულის თაობაზე, როგორიც 15 წლის გოგონას გატაცებაა (მან ეს გამომძიებელთან კერძო საუბრისას დაადასტურა). ამ ეჭვებს პასუხის გაცემა სჭირდება; რა თქმა უნდა, თუ ზაირა ფოცხვერია "ლმობირი" მოსამართლის დახმარებით თბილისიდან უკვე შორს არ არის წასული.

# მოსკოვის პროკურატურამ დუბროვკის ტერაქტის საქმის გამოძიება დაასრულა

დღეს ნორდ-ოსტის ტერაქტის წლისთავია. მოსკოვის პროკურატურამ ეს ტრაგიკული თარიღი იმით აღნიშნა, რომ ტერაქტის მთავარ ორგანიზატორებს საბოლოო ბრალდება წაუყენა. მოსკოველმა სამართალდამცველებმა შამილ ბასაევს, ახმედ ზაკაევს და გერიჰან დუდაევს დუბროვკის ტერაქტის ორგანიზატორის სტატუსი "უბოძა" და მათზე საერთაშორისო ძებნაც გამოაცხადა.

მოსკოვის პროკურატურის ბრალდებით, შამილ ბასაევმა და მისმა მეგობრებმა 2001-2002 წლებში ორგანიზება გაუკეთეს ტერორისტული აქტების სერიალს. "ტერორისტული საქმიანობისთვის ბასაევმა 40 ათასი დოლარი დახარჯა," – ნათქვამია პროკურატურის მიერ გაკეთებულ დასკვნაში.

გარდა ნორდ-ოსტის ტერაქტის ორგანიზატორებისთვის ბრალის წაყენებისა, მოსკოვის პროკურატურამ დაამთავრა ტერაქტის შემსრულებელთა საქმის გამოძიებაც. ცოცხლად დარჩენილ ხუთ ჩეჩენს, რომლებიც მოსკოვის მუსიკალური ცენტრის შენობაში ერთი წლის წინ დააკავეს, პროკურატურამ რამდენიმე მძიმე მუხლით წაუყენა ბრალდებები. რა თქმა უნდა, ისინი დადანაშაულებულნი არიან ტერორიზმსა და განზრახ მკვლელობაშიც.

გუშინ ნორდ-ოსტის ტერაქტისას დაზარალებულებმა – მძევლებმა და ადამიანის უფლებების დამცველებმა ჩაატარეს პრესკონფერენცია, სადაც რუსეთის პრეზიდენტი დაადანაშაულეს ინფორმაციის დამალვასა და მსოფლიო თანამეგობრობის მოტყუებაში. საუბარია, რუსეთის ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების მიერ ნორდ-ოსტში ჩატარებულ გასაიდუმლოებულ სპეცოპერაციაზე. ყოფილი მძევლები და ადამიანის უფლებების დამცველები კატეგორიულად მოითხოვენ, აღიძრას საქმე იმ მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ, რომელთა ბრძანებითაც დაიგეგმა და ჩატარდა სპეცოპერაცია, რის შედეგადაც დაზარალდნენ მძევლები. ყოფილი მძევლები და ადამიანის უფლებების დამცველები რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ევროსაბჭოს სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ.

# ცნობილი კრიმინალი ციხეში იარაღს უცდის

*ორთაჭალის მეხუთე საპყრობილეში მძიმე ბრალდებებით მყოფმა, ყველასთვის კარგად ცნობილმა გიგა ბალავაძემ, რომელიც ადამიანთა გატაცებებს ციხიდან ორგანიზატორობს, როგორც ჩანს, ახალ საქმიანობას მიჰყო ხელი. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გატაცებების სცენარის წერით დაკავებული ბალავაძე ორთაჭალის იზოლატორში სერიოზულ არეულობას, ეგრეთ წოდებული ბუნტის მოწყობას გეგმავდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი დღის წინ პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს ბვალავაძის ახლობელი ქალბატონი, რომელსაც ხილთან ერთად შეფუთული ხელყუმბარა და ნარკოტიკები ორთაჭალის მეხუთე საპყრობილეში მყოფი ცნობილი გამტაცებლისთვის უნდა შეეგზავნა.

"ეფ-1" ტიპის ხელყუმბარა და 9,2 გრამი მარიხუანა – ეს ის ნივთმტკიცებები გახლავთ, რომელთა საფუძველზე ბრალდება მარიამ გიორგაძეს სამართალდამცველებმა უკვე წაუყენეს. მისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების საკითხზე გუშინ სასამართლო მსჯელობდა.

**"ამ ამანათისთვის ხელის მოკიდება არ მინდოდა, მაგრამ გიგა ციხიდან დამემუქრა, თუ არ გააკეთებ იმას, რასაც გეუბნები, იცოდე, მოგკლავ და ოჯახსაც ამოგიწყვეტო"**, - ასეთი ჩვენება მისცა სამართალდამცველებს დაკავებულმა მარიამ გიორგაძემ. მისივე მტკიცებით, ხელყუმბარა გიგა ბალავაძის მეუღლემ ხონიდან გამოგზავნა ციხეში გადასაცემად.

**"ჩვენ გაგვაჩნდა ინფორმაცია, რომ სხვადასხვა გზებით ბალავაძესთან იარაღი უნდა შესულიყო. გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელყუმბარა ხონიდან უნდა გამოეგზავნათ. პატიმარი ბალავაძე ახლობლებს მისთვის გაწეული სამსახურისთვის 50-ს და 10 ათასს ჰპირდება, ზოგს ემუქრება და აიძულებს მისი მოთხოვნისა და ბრძანების შესრულებას. რისთვის უნდა უნდოდეს პატიმარს ციხეში იარაღი, თუ არა დესტაბილიზაციის მოწყობისთვის. ბალავაძის დაჯგუფებაზე სერიოზულად ვმუშაობთ. ეს არ არის უბრალო ხალხი. მართალია, დაჯგუფების რამდენიმე წევრი მძიმე ბრალდებებით უკვე დაკავებულია, მაგრამ ბალავაძეს, როგორც ჩანს, მრავლად ჰყავს თანამზრახველები და "საქმის შემსრულებლებიც". ვცდილობთ, მას ყველანაირი გზა მოვუჭრათ, რომ ციხიდან ველარ მართოს დანაშაული"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ დავით ენდელაძემ.

ერთი სიტყვით, სამართალდამცველებს იმედი აქვთ, რომ გიგა ბალავაძეს, რომელიც კარგა ხანია ციხიდან კურირებს გატაცებებს, შემდეგ გატაცებულთა ოჯახის წევრებს თავად უკავშირდება და მძევლის გამოსახსნელად საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვს, დანაშაულის ჩადენა უკვე გაუჭირდება.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ სამართალდამცველებმა ბალავაძის მარჯვენა ხელი - წარსულში მძიმე ბრალდებებით მრავალჯერ ნასამართლევი, ხონელი ზაზა წვერავა მუხიანის დასახლების ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში დააკავეს. იგი ორთაჭალის მეხუთე იზოლატორში შესახლებული გიგა ბალავაძის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით იტაცებდა ადამიანებს თბილისის ქუჩებიდან. წვერავას მიერ გატაცებული მძევლები პოლიციამ უსისხლოდ გაათავისუფლა.

რუხაძე (მეტსახელად "შუტკა", რომელსაც ბერბიჭაშვილისა და მაშველაშვილის მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა გატაცებული), კალანდაძე (ბალავაძის დავალებების აქტიური შემსრულებელი), კუკუჯანიშვილი, დამხუაშვილი –ეს ის პიროვნებები არიან, რომლებიც უკვე გიგა ბალავაძესთან ახლოს, მეხუთე საპყრობილეში იმყოფებიან. სხვათა შორის, იმერეთში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, როცა დაჯგუფების წევრებს აკავებდნენ, ორმხრივი სროლისას პოლიციამ ორი მათგანის ლიკვიდაცია მოახდინა. მოკლულთაგან ერთ-ერთი გიგა ბალავაძის ძმა აღმოჩნდა. ბალავაძის დაჯგუფებას ქალბატონიც "ამშვენებს" – ნინო საღარეიშვილზე სამართალდამცველებს ძებნა აქვთ გამოცხადებული.

## მოკლედ

### ადამიანის უფლებების დამცველი მეჩეთის გაჩხრეკვას პროვოკაციას უწოდებს

ადამიანის უფლებათა დაცვის ჩეჩნეთის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ასლანბეკ აბდურზაკოვი პანკისის ხეობის სოფელ დუისში უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლთა მიერ მეჩეთის გაჩხრეკის ფაქტს პროვოკაციას უწოდებს. მისი აზრით, ამგვარი შეურაცხმყოფელი ქმედება რეგიონში სიტუაციის გამწვავებისკენაა მიმართული.

მისი განცხადებით, ადგილობრივი მაცხოვრებლები და ლტოლვილები ამტკიცებენ, რომ მეჩეთის კარები შეამტვრიეს, ხოლო რელიგიური ლიტერატურა ამოღებულია. ასლანბეკ აბდურზაკოვის ინფორმაციით, ანალოგიურ ფაქტს იმავე დღისით ადგილი ჰქონდა მეჩეთთან ახლოს მდებარე შენობაში, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ და მაშინაც რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე შეამტვრიეს კარები და ჩხრეკა ჩაატარეს. **" შესაძლოა, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, თუმცა მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში დაუშვებელია წმინდა სახლის კარების შენგრევა",** - განაცხადა აბდურზაკოვმა. უშიშროების სამინისტროში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ უწყების თანამშრომელთა მოქმედებები კანონის ფარგლებს არ სცილდებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

### დაკავებულ ჩეჩენთა დეპორტაცია არ მომხდარა

**"პანკისის ხეობაში დაკავებული ჩეჩნები - ვახა ვოგიევი (ბუგიევი), ადამ მიქალოვი და მუსა ისლამოვი თელავის პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. მათი რუსეთში დეპორტაციის საკითხი არ გადაწყვეტილა",** — აცხადებს „კავკასიური სახლის" წევრი, საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი. ჩეჩენი პატიმრების დეპორტაციის შესახებ ინფორმაცია ორშაბათის (20 ოქტომბერი) ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ გააკეთა, თუმცა მას დეპორტირებულთა გვარები არ დაუკონკრეტებია. ვოგიევი, მიქალოვი და ისლამოვი საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის 11 ოქტომბერს დააკავეს. ხანგოშვილის ინფორმაციით, ორ მათგანს ლტოლვილის სტატუსი აქვს, ხოლო ერთს ეს სტატუსი შეეუწყდა.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, დასახელებული პირებიდან არც ერთის დეპორტაცია არ მომხდარა, თუმცა მიღებულია დადგენილება ჩეჩენი ვახა ბუგიევის დეპორტაციის შესახებ, რომელიც საქართველოში შემოვიდა წითელი ხიდის საკონტროლო გამშვები პუნქტიდან, 2000 წლის ოქტომბერში და 2002 წლის ივლისამდე ლტოლვილის სტატუსით სარგებლობდა. თავად ბუგიევი აცხადებს, რომ იგი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ომალოში მცხოვრებ ქისტ ქალთან და მათ შვილიც ჰყავთ. ბუგიევის განმარტებით, მან ლტოლვილის სტატუსი ვერ გაიგრძელა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იუსტიციის მინისტრის დადგენილება ვახა ბუგიევის გაძევების შესახებ შს სამინისტრომ უნდა აღასრულოს. არადა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს ვახა ვოგიევი (იგივე ვახა ბუგიევი), ადამ მიქალოვთან (მაგალოვთან) და მუსა ისლამოვთან ერთად, საქართველოდან გაძევებულია. **მედია-ნიუსი**

### რუსი დიპლომატი გარდაიცვალა

საქართველოში რუსეთის სამხედრო ატაშე, 50 წლის პოლკოვნიკი ვალერი ლისტოვსკი, რომელიც თბილისში, 20 ოქტომბერს ავტოავარიაში მოჰყვა, გუშინ, დილით, თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. რუს დიპლომატს სასწრაფოდ გაუკეთდა რთული ოპერაცია. მას დაზიანებული ჰქონდა შინაგანი ორგანოები, აღენიშნებოდა ძვლის მრავალრიცხოვანი მოტეხილობა, სისხლის დიდი დანაკარგი. ავარია მოხდა ორშაბათს, როცა რუსეთის დიპლომატიური მისიის "ჯიპი" საელჩოს ტერიტორიიდან გამოვიდა და შეეჯახა ავტომანქანა „მერსედესს". ავტოავარიის მიზეზს თბილისის საგზაო პოლიცია იძიებს. წინასწარი მონაცემებით, რუსეთის სამხედრო ატაშე მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. **მედია-ნიუსი**

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61




## დედამიწა მხოლოდ ერთია.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქმიანობა მეთილბრომიდის (ოზონდამშლელი ნივთიერების) ხმარებიდან ამოსაღებად

სტრატოსფერული ოზონის შრე დედამიწის ერთადერთი დამცავი ფენაა მზის მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან. მისი გაიშვიათება მთელი მსოფლიოს საერთო საზრუნავს წარმოადგენს. ადამიანის მიერ შექმნილ ქიმიკატებს, მათ შორის მეთილბრომიდს, უდიდესი მავნე ზეგავლენა აქვს ოზონის შრეზე. მეთილბრომიდი გამოიყენება ფუმიგანტად ნიადაგის დამუშავებისას სათბურებში, პროდუქტებისა და მათი შესანახი ნაგებობების ფუმიგაციისთვის, პროდუქტების საკარანტინო და ტრანსპორტირების წინ დამუშავების მიზნებისთვის და ა. შ. მონრეალის ოქმის "ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებათა შესახებ" ვალდებულებების შესაბამისად, მეთილბრომიდი ამოღებულ უნდა იქნას მოხმარებიდან და აუცილებელია მოხდეს ეფექტური და გარემოსათვის უსაფრთხო ალტერნატივების იდენტიფიცირება და მისი ჩანაცვლება ამ ალტერნატივებით.

მონრეალის ოქმის მიხედვით მეთილ ბრომიდის მოხმარებიდან ამოღების სქემა ასე გამოიყურება:

| წელი | განვითარებული ქვეყნები | განვითარებადი ქვეყნები | საქართველო |
|---|---|---|---|
| 1995 | მოხმარების გაყინვა | ------- | ------- |
| 1999 | 25% მოხმარების შემცირება | ------- | ------- |
| 2001 | 50% მოხმარების შემცირება | ------- | ------- |
| 2002 | | მოხმარების გაყინვა | მოხმარების გაყინვა |
| 2003 | 70% მოხმარების შემცირება | ------- | |
| 2005 | მოხმარებიდან მთლიანი ამოღება | 20% მოხმარების შემცირება | 2005-2006 მოხმარების (ნიადაგის ფუმიგაცია) შეწყვეტისას, რჩება მხოლოდ მოხმარება მოსავლის შემდგომი დამუშავების მიზნებისათვის |
| 2015 | ------- | მთლიანად ამოღება გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. | ------- |

აქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით დაგეგმილია მეთილბრომიდის ნაადრევად მოხმარებიდან ამოღება საქართველოში და ამ ქმედებით სამინისტრომ მხარი დაუჭირა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომელთაც აღებული აქვთ მეთილბრომიდის ხმარებიდან ნაადრევად ამოღების ვალდებულება (ევროკავშირში გაერთიანებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ვალდებულებაა).

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებულმა "ოზონის ჯგუფმა" საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიწყო მეთილბრომიდის მოხმარების მონაცემების შეგროვება. მოწვეულ იქნენ ექსპერტები: ბ-ნი ზურაბ ლოლაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე და ბ-ნი კობა ხუციშვილი, შპს "გარემო და ანალიტიკის" დირექტორი, რომლებიც პერიოდულად იმყოფებოდნენ მივლინებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი), რათა მეთილბრომიდის მოხმარებაზე მოხდეს ზუსტი მონაცემების შეგროვება და წარდგენა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისთვის. შეგროვებულ მონაცემთა საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში მეთილბრომიდი ფართოდ გამოიყენება ნიადაგის ფუმიგაციისას მებაღე_მესათბურე მეურნეობაში (პომიდორი, მარწყვი, ნესვი, კიტრი და ნიორაკი); მალფუჭებადი პროდუქციის დასამუშავებლად მარცვლეული, დეკორატიული მცენარეები, ბოლქვები და ა.შ., ასეთ პროდუქციის ექსპორტირებამდე უტარდება ფუმიგაცია მეთილბრომიდის გამოყენებით. მეთილბრომიდი გამოიყენება აგრეთვე წისქვილ კომბინატებში და პროდუქტის გადატვირთვამდე საკარანტინო დამუშავებისთვის.

"ოზონის ჯგუფის" მიერ მომზადებულ და ჩატარებულ იქნა სასწავლო სემინარი თემაზე: "მეთილბრომიდის ხმარებიდან ამოღების და ალტერნატიული ნივთიერებების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა საქართველოში". სასწავლო სემინარში მონაწილეობა მიიღო გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ექსპერტმა ბ-ნ ხოსე გონსალესმა. "ოზონის ჯგუფის" მიერ სემინარისათვის ითარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე 15 წუთიანი ვიდეო-კასეტა სახელწოდებით" მეთილბრომიდის ალტერნატიული ნივთიერებები" და აგრეთვე მომზადებულ იქნა სპეციალური სარეკლამო კლიპი, რომელიც შემდეგ გაშუქდა ტელევიზიით. აგრეთვე, "ოზონის ჯგუფის" სპეციალისტების მიერ ითარგმნა ქართულ ენაზე შემდეგი მასალები:

1. მეთილბრომიდის მოხმარება და ნიადაგის დეზინფექციის ტექნოლოგიის ალტერნატივები უნგრეთში - ქაბა ბელაი, ქსონგრადის მცენარეთა და ნიადაგის დაცვის სამსახური, ჰოდმეზოვასარჰელი, უნგრეთი;
2. UNEP-ის მოხსენება სადემონსტრაციო რეგიონალურ პროექტზე აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში საბაღე კულტურებში გამოყენებული მეთილბრომიდის გარემოსადმი მდგრადი ალტერნატივების განსაზღვრისა და შეფასების შესახებ;
3. როგორ ვიმოქმედოთ მეთილბრომიდის გარეშე. მეთილბრომიდის ალტერნატივები უსაფრთხო კულტურების მოყვანის მიზნით - ეკატერინე ლოგინოვა, ბოჟკო ბოევი, ბოსტნეულისა და საკვები პროდუქტების ინსტიტუტი და გიორგი ნეშევი, მელოდენ ნაყოფიერი, აგრარული უნივერსიტეტი, პლოვდივი, ბულგარეთი;
4. ნიადაგში არსებული მავნებლები და დაავადებები. ალტერნატიული კონტროლის პირობები და შესაძლებლობები უნგრეთის სასათბურე მეურნეობაში - ერსებეტ დორმანს-საიმონი, სონგრადის საგრაფოს მცენარეთა და ნიადაგის დაცვის სამსახური, ჰოდმეზოვასარჰელი, უნგრეთი;
5. მეთილბრომიდის ალტერნატივები სარეველების კონტროლისათვის სათბურებსა და ხელოვნურ კვლებში;
6. მეთილბრომიდის ალტერნატივები და პოტენციური ალტერნატივები გრძელვადიანი პროდუქტების დეზინსექციისთვის - რობერტ ჯ. ტეილორი;
7. პორტუგალიაში მეთილბრომიდით ნიადაგის ფუმიგაციის ალტერნატივების ანალიზი.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ზემოაღნიშნული მასალები მიიღონ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში. "ოზონის ჯგუფმა" და გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) მოამზადეს პროგრამა "ნიადაგის დამუშავების მიზნით მეთილბრომიდის გამოყენების შეზღუდვა და ეტაპობრივად მოხმარებიდან ამოღება", ეს პროგრამა დამტკიცებულ იქნა მრავალმხრივი ფონდის აღმასრულებელი კომიტეტის 37-ე სხდომაზე.

პროგრამის მიზანია მოახდინოს საბაღე კულტურებში გამოყენებული მეთილბრომიდის ქიმიური და არაქიმიური ალტერნატივების იდენტიფიცირება, რომლებიც შეესაბამება საქართველოს გეოგრაფიულ-კლიმატურ ზოლს.

საქართველოში პროგრამის განმახორციელებელი კომპანია შეარჩია გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO). არჩეულ იქნა შპს "გარემო და ანალიტიკა" და შესაბამისად პროგრამის განხორციელება დაიწყო 2003 წლის მაისში. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მიხეილ თუშიშვილი
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო
კობა ხუციშვილი
შპს "გარემო და ანალიტიკა",
დირექტორი

# პარტიები ერთმანეთს ანტიკორუფციულ ბიუროში უჩივიან

თამარ ხორბალაძე

*დღეს ანტიკორუფციულ ბიუროსთან არსებული საარჩევნო ფინანსების მონიტორინგის ჯგუფი, ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ მოვლენილ ექსპერტებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დეკლარაციებსა და მათ მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ წარმოდგენილ საჩივრებს განიხილავს. საჩივრებში "ლეიბორისტები" და "დემოკრატები" - სახელისუფლებო ბლოკს, სახელისუფლებო ბლოკი - "აღორძინებას", "აღორძინება" კი სახელისუფლებო ბლოკს წინასაარჩევნო კამპანიაში ადმინისტრაციული ბერკეტებისა და ფინანსების უკანონოდ გამოყენებაში სდებენ ბრალს.*


*მონიტორინგის ჯგუფი საჩივრებს ისმენს.*

კერძოდ, "ლეიბორისტული პარტიის" ინფორმაციით, 2003 წლის 8 ოქტომბერს ლაგოდეხში თბილისიდან ჩავიდნენ საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, უშიშროების საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი მალხაზ სალაყაია და დაესწრნენ ლაგოდეხის კინოთეატრის გახსნის ცერემონიალს, სადაც ლაგოდეხის მაჟორიტარ კანდიდატად ოფიციალურად იქნა წარდგენილი სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატი ლაშა ნაცვლიშვილი. ამ ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ შს მინისტრის მოადგილე დავით თოდუა, კახეთის გუბერნატორი, ლაგოდეხის რაიონის ხელმძღვანელობა. "ლეიბორისტებს" მოჰყავთ ვალერი ხაბურძანიას ფრაზა: **"... კოდექსი მიკრძალავს ვინმეს მხარდაჭერას და ამიტომ მე არ მოგიწოდებთ, ლაშა ნაცვლიშვილს დაუჭიროთ მხარი..."** "ლეიბორისტებს" მიაჩნიათ, რომ **"ბატონ ხაბურძანიას გამოსვლა, ისევე, როგორც მთელი ღონისძიება, ატარებდა ბატონ ლაშა ნაცვლიშვილის პიარ-კომპანიის ხასიათს",** რაც საარჩევნო კოდექსის და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევაა. "ლეიბორისტები" აღნიშნავენ, რომ ამგვარი ფაქტები სხვა რეგიონებშიც გამეორდა (შეგახსენებთ - კანონმდებლობა კრძალავს მთავრობის წევრების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას).

ანალოგიური შინაარსის გახლავთ "გაერთიანებული დემოკრატების" საჩივარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ "სახელმწიფო მინისტრმა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენაში, რაც იკრძალება საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5-ე პუნქტით.

ბლოკის "ახალი საქართველო" სუბიექტი "სოციალისტური პარტია" კი, თავის მხრივ, "აღორძინების" იგივე დარღვევაზე საუბრობს. პარტიის ინფორმაციით, **"ახმეტის რაიონის გამგებელი უხეშად არღვევს საარჩევნო კოდექსის 73 და 76 მუხლებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ "სისტემატური ხასიათი მიიღო მისი და "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შენგელი ფიცხელაურის საიდუმლო შეხვედრებმა",** რომლებიც იმართება რაიონის განათლების განყოფილების გამგის კაბინეტში, განათლების სფეროში დასაქმებულებზე საარჩევნო ზეწოლის მიზნით.

თავის მხრივ, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი"-ს საჩივარშიც ახმეტის რაიონზეა საუბარი. კერძოდ, ნათქვამია, რომ "ახმეტის რაიონის გამგეობის შენობაშია განთავსებული ამ რაიონში ბლოკ "ახალი საქართველოს" კანდიდატის პავლე ცირეკიძის და "მოქალაქეთა კავშირის" რეგიონული ორგანიზაციის შტაბი.

სისტემატური ხასიათი აქვს რაიონის გამგებლის (საუბარია იმავე გამგებელზე!) მიერ სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლო აგიტაციას და ა.შ.

ყველა ზემოთ მოხსენიებულ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მოთხოვნებით აპელირებენ. ეს მუხლი, სხვათა შორის, დარღვევების შემთხვევაში, შესაბამისი კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, პარტიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას გადამოწმება სჭირდება.

ერთის თქმა კი ახლავე შეიძლება - დღემდე ასეთი დარღვევები ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. დღეს მონიტორინგის ჯგუფს აქვს შანსი, ამ "ჩვეულების" აღმოფხვრას დაუდოს საფუძველი.

# მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

### ქვემო და შიდა ქართლი

სოფო ბუკია

## რუსთავი

■ სოსო ალავიძე, დამოუკიდებელი
■ ფრიდონ კენკებაშვილი, დამოუკიდებელი
■ გოგი სალაყაია, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"
■ თამაზ ძაგანია, "ლეიბორისტული პარტია", გაერთიანება "ანალიზ ხელსაწყო"–ს გენერალური დორექტორი, აკადემიკოსი
■ გიორგი ხევიაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა", სამართალმცოდნე, ზოოტექნიკოსი
■ ელგუჯა მახათაძე, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო", ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის "თანადგომის" ადვოკატი

1999 წელს რუსთავის მაჟორიტარი "მოქკავშირელი" **მერაბ ტყეშელაშვილი** გახდა. ტყეშელაშვილის დაწინაურებისა და რუსთავის მერად დანიშვნის შემდეგ, პარლამენტში რუსთაველთა ინტერესებს **როლანდ მგალობლიშვილი** იცავდა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საკმაოდ ხმაურიანი საარჩევნო კამპანია ჰქონდა დამოუკიდებელ კანდიდატს სს "მეტალურგიური ქარხნის" დირექტორს **გურამ ქაშაკაშვილს**. წელს იგი კანდიდატთა სიაში არ ფიგურირებს. "ნაციონალების" ღირსებას რუსთავში პარლამენტარი გიორგი ხევიაშვილი დაიცავს. ხევიაშვილი ორი მოწვევის პარლამენტარია და 1999 წელს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში "მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით მოხვდა. წლევანდელ არჩევნებზე სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატია სს "რუსთავცემენტის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **გოგი სალაყაია**. რუსთაველთა დახმარებით, პარლამენტში შესვლას შეეცდება თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი დამოუკიდებელი კანდიდატი **სოსო ალავიძე**. "ლეიბორისტების" ფავორიტი თამაზ ძაგანია ცნობილი "ლეიბორისტის", თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის კახა ძაგანიას მამა გახლავთ.

## გარდაბანი

■ სერგო გოჩირაშვილი, დამოუკიდებელი
■ ნუგზარ ფერიაშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", იურისტი
■ ვაჟა ბარბაქაძე, "ლეიბორისტული პარტია", ეკონომისტი
■ გელა ძიძიკაშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", შპს "სვობოდნაია გრუზიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, შპს "გეორგიას" დირექტორი
■ დავით მარტიაშვილი, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო", საარტილერიო შეიარაღების ინჟინერი

გარდაბნის ამჟამინდელი მაჟორიტარი **ლეონიდე ჯაფარიძე** კანდიდატთა წლევანდელ სიაში არ ირიცხება. 1999 წელს ჯაფარიძემ გამარჯვება "მოქალაქეთა კავშირის" თანადგომით მოიპოვა. წელს სახელისუფლებო ბლოკი გარდაბნის ფავორიტად **ნუგზარ ფერიაშვილს** ასახელებს. 1999 წელს გარდაბნის მაჟორიტარობას ცდილობდა დამოუკიდებელი კანდიდატი, რეჟისორი, ჯაბა იოსელიანის და **ლილი იოსელიანი**.

## მარნეული

■ ენზელ სულეიმანოვი, დამოუკიდებელი
■ ვაჟა ტაბატაძე, დამოუკიდებელი
■ ვარდან საიდიანი, დამოუკიდებელი
■ ადილ ჯაფაროვი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", იურისტი
■ ვაჟა ტაბატაძე, "ლეიბორისტული პარტია", ინჟინერი, სს"ხრამის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
■ ნიკოლოზ მუმლაძე, "აღორძინება", იურისტი

მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ენზელ სულეიმანოვი** 1999 წელს "მოქალაქეთა კავშირის" თანადგომით მოქმედებდა. წელს მან დამოუკიდებლობა არჩია. "ლეიბორისტების" რჩეული **ვაჟა ტაბატაძე** სს "ხარის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ. ტაბატაძე 1999 წელსაც მაჟორიტარობის კანდიდატი გახლდათ და მაშინაც ნათელაშვილის გუნდში ირიცხებოდა. "აღორძინების" წარმომადგენელი ნიკოლოზ მუმლაძე 1999 წელს დამოუკიდებელი კანდიდატი იყო.

## ბოლნისი

■ ლევან მამალაძე, ბლოკი ახალი საქართველოსთვის", ზოოინჟინერი, სამუშაო ადგილში მითითებული აქვს ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი, დოცენტი
■ დავით სიმონიშვილი, "ერთობა", მათემატიკოს-პროგრამისტი
■ კამალ მურადხანოვი, "ნაციონალური მოძრაობა"
■ კობა დვალიშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", პარლამენტის აპარატის წამყვანი მანდატური
■ თეიმურაზ სვანიძე, "აღორძინება"

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბოლნისში ქვები ერთმანეთისთვის არავის უსვრია. ბოლნისელებმა საკუთარ მაჟორიტარად მშვიდად აირჩიეს "მოქკავშირელი" **გურამ ავქოფაშვილი**, რომელიც წლევანდელ კანდიდატებს შორის არ ჩანს. ქვემო ქართლის მრავალწლიანი გუბერნატორობით "დაღლილი" ზოოინჟინერი ლევან მამალაძე უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში საპარლამენტო სავარძელში აპირებს "სულის მოთქმას". ამაში მას მშობლიური სახელისუფლებო ბლოკი შეეშველება. "ნაციონალების" ცნობილი ბოლნისელი სახე **კამალ მურადხანოვი** პარლამენტში მოხვედრას 1999 წელსაც ცდილობდა. ოთხი წლის წინ მურადხანოვი დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ. "ერთობის" კანდიდატი დავით სიმონიშვილი 1999 წელს "დიდგორის კანდიდატი იყო, თეიმურაზ სვანიძე კი პარტიულ ერთგულებას იცავს და "აღორძინებას" არ ღალატობს.

## დმანისი

■ აკაკი დაუთაშვილი, დამოუკიდებელი
■ კახა ოქრიაშვილი, დამოუკიდებელი
■ შოთა ციხელაშვილი, "ახალი საქართველოსთვის", სატყეო მეურნეობის ინჟინერი სოფ. სარკინეთი
■ ლერი გირგვლიანი, "აღორძინება", ფიზიკოსი

დმანისის ამჟამინდელი მაჟორიტარია **თეიმურაზ ციხელაშვილი**, 1999 წლის არჩევნებში იგი დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ.

## წალკა

■ ქეთევან ლაღიძე, დამოუკიდებელი
■ არმენ კარაპეტიანი, დამოუკიდებელი
■ ვან ბაიბურთი, დამოუკიდებელი
■ აგაზ გევორქიანი, დამოუკიდებელი
■ იურიკ ხჩოიანი, "ახალი საქართველოსთვის"
■ ვახტანგ გოგინავა, დამოუკიდებელი
■ გიორგი კვალიაშვილი, "ახალი მემარჯვენეები", ფილოლოგი
■ სვეტლანა კალაიჩევა, "ლეიბორისტული პარტია"
■ აიკ მელტონიანი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"

**იურიკ ხჩოიანმა** 1999 წელს დამოუკიდებლად გაიმარჯვა და წალკის მაჟორიტარი გახდა. წელს იგი სახელისუფლებო ბლოკმა "ჩაიგდო ხელში". "მრეწველთა" კანდიდატი **აიკ მელტონიანი** წალკის რაიონის სოფელ საკრებულოს თავმჯდომარეა.

## თეთრიწყარო

■ დავით ბეჟუაშვილი, დამოუკიდებელი
■ რომან დალაქიშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", პარლამენტარი, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე "საქგაზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს **დავით ბეჟუაშვილს** "მოქალაქეთა კავშირი" უჭერდა მხარს. წელს იგი დამოუკიდებლად მოქმედებს. საინტერესოა, რომ ყოველთვის ჟვანიას გუნდთან გაიგივებულ ბეჟუაშვილს "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" თეთრიწყაროში საკუთარი კანდიდატი დაუპირისპირეს. **რომან დალაქიშვილი** 1999 პარლამენტში "მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით მოხვდა. დალაქიშვილი ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრია და გადასახადებისა და შემოსავლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. "ნაციონალებს" თეთრიწყაროში საკუთარი კანდიდატურა არ დაუყენებიათ, თუმცა ბეჟუაშვილის კანდიდატურისადმი გულგრილნი არ არიან.

## კასპი

■ ლევან გზირიშვილი, "ახალი საქართველოსთვის"
■ ომარ იაძე, "ლეიბორისტული პარტია"
■ გუჯარ ყურაშვილი, "ერთობა"
■ ივანე ნუგზარიშვილი, "ნაციონალური მოძრაობა"

**ომარ იაძის** კასპის რაიონში გამარჯვების შემთხვევაში, "ლეიბორისტებს" პარლამენტში საკუთარი "დამცველი" ეყოლებათ. იაძე საქართველოს სამბოს ფედერაციის უფროსი მწვრთნელია და ამდენად აკმაყოფილებს საქართველოს პარლამენტში მოხვედრის მსურველთა ბოლო დროს მიღებულ კრიტერიუმებს. "ერთობის" ფავორიტია სახელმწიფო გადატრიალების მზადებისთვის და სამშობლოს ღალატისთვის გასამართლებული **გუჯარ ყურაშვილი**. კასპის ამჟამინდელი მაჟორიტარი **ზურაბ ქერუმიძეა**, 1999 წელს იგი "მოქალაქეთა კავშირის" კანდიდატი იყო.

## გორი

■ მზია გურგენიძე, დამოუკიდებელი
■ რევაზ ოქრუაშვილი, დამოუკიდებელი
■ ვახტანგ ყანჩაველი, "ახალი საქართველოსთვის"
■ რამაზ ბერიანიძე, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი,
■ იოსებ სოსიაშვილი, "ერთობა", გორის იურისტთა ასოციაცია "თემიდას" თავმჯდომარე
■ ირაკლი ოქრუაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა", იურისტი,
■ ვლადიმერ სუხიშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები"
■ ამირან ბიძინაშვილი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ინჟინერ-მეტალურგი, ინდივიდუალური საწარმო "რიცას" ხელმძღვანელი
■ გელა ჩხეიძე, "აღორძინება", ქართული ენის მასწავლებელი

პარლამენტის დატოვებას არ აპირებს ხელისუფლების უცვლელი გორელი ფავორიტი **ვახტანგ ყანჩაველი**. უფრო მეტიც, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში კანონებზე მუშაობას ყანჩაველი თავის სიძესთან მოკრივე **გიორგი კანდელაკთან** ერთად აპირებს, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის სიაში მეთერთმეტე ნომრად არის წარმოდგენილი. "ნაციონალების" ინტერესებს გორში თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე **ირაკლი ოქრუაშვილი** დაიცავს. "ბურჯანაძე-დემოკრატების" კანდიდატია შპს "გორის მრავალპროფილიანი მცირე აკადემიის" რექტორი, სწავლული აგრონომი **ვლადიმერ სუხიშვილი**. "აღორძინებას" გორში ქართული ენის მასწავლებლის გელა ჩხაიძის იმედი აქვს. ნათელაშვილის კანდიდატი "ლეიბორისტების" პოლიტკომიტეტის წევრი რამაზ ბერიანიძეა. 1999 წელს გორელთა გულის მოგებას "აღორძინების" სახელით **ვახტანგ რჩეულიშვილი** ცდილობდა. წელს, უწყლო აუზის გადაცურვის შემდეგ, რჩეულიშვილი სახელისუფლებო ბლოკის პარტიული სიის ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს და გორის მაჟორიტარობისთვის თავს არ იტკივებს. 1999 წელს გორში საკუთარი კანდიდატი ჰყავდა კომუნისტურ პარტიას - დიდი სტალინის შთამომავალს **ევგენი ჯუღაშვილს**, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადაეწურა პარლამენტში მოხვედრის სურვილი, წლევანდელ კანდიდატთა შორის მისი გვარი არ არის.

## ქარელი

■ ილია ბურჯანაძე, დამოუკიდებელი
■ ალბერტ ინდუაშვილი, "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი, ზოგადსამართლებრივ საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე
■ აკაკი ყიფიანი, "ახალი მემარჯვენეები",
■ მალხაზ ბერუაშვილი, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი
■ თამაზ თხელიძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები"
■ თეიმურაზ სანდოძე, "აღორძინება", ეკონომისტი, ქარელის საკრებულოს მდივანი

ქარელის ამჟამინდელი დეპუტატი ალბერტ ინდუაშვილი პარტიულ ერთგულებას იჩენს და კვლავ სახელისუფლებო ბლოკის დასაყრდენად რჩება ქარელში.

## ხაშური

■ სიმონ ნოზაძე, "ახალი საქართველოსთვის", ინჟინერ-ელექტრიკოსი
■ ბეგლარ გოგალაძე, "ლეიბორისტული პარტია", ფიზიკოსი, გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური მეცნიერების ეროვნული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი
■ ნოდარ ივანიშვილი, "ერთობა", ინჟინერ-მექანიკოსი
■ გოგა ხაჩიძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები"
■ ვალერი გელაშვილი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", პარლამენტარი, ნეოლიბერალური პარტიის წევრი

ლიტვაში მოღვაწე ბიზნესმენი, პარლამენტარი **ვალერი გელაშვილი** 1999 წელს პარლამენტში დამოუკიდებლად მოხვდა, წელს იგი "მრეწველების" სახელით ასპარეზობს. "აღორძინების" პარტიული სიის მეცხრე ნომერმა დათო ხუჯაძემ პარლამენტში ეულად რომ არ "იმღეროს", "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" მისი სცენური პარტნიორი ჯგუფ "სახეს" ყოფილი წევრი **გოგა ხაჩიძე** ხაშურის მაჟორიტარად წარადგინეს. "სახის" გულშემატკივარი თინეიჯერების სიხარულს საზღვარი არ ექნება, თუ რომელიმე პარტია კეთილ ნებას გამოიჩენს და უყურადღებოდ დარჩენილ "სახის" მესამე წევრს დათო ფორჩხიძეს ძმაკაცებს არ ჩამოაშორებს.

## ლიახვი

■ ნუგზარ ბაბუციძე
■ მურმან ომანიძე, დამოუკიდებელი
■ გელა ჭულუხაძე, დამოუკიდებელი
■ გურამ ვახტანგიშვილი, "ახალი საქართველოსთვის" პარლამენტარი
■ აკაკი ქრისტესიაშვილი, "ახალი მემარჯვენეები", ექიმი, ტყვიავის საავადმყოფოს დირექტორი
■ როინ ელბაქიძე, "ლეიბორისტული პარტია", ზოოინჟინერი
■ ქრისტო კახნიაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
■ კახა გოჩაშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები"
■ სალომე ზვიადაძე,"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" , ფილოლოგი
■ ბეჟან მაისურაძე, "აღორძინება", მშენებელ-ინჟინერი

1999 წელს ლიახვის მაჟორიტარი დამოუკიდებელი კანდიდატი გურამ ვახტანგიშვილი გახდა. სახელისუფლებო ბლოკის სახელით მოასპარეზე ვახტანგიშვილს წელს ყველაზე რეალურ კონკურენციას "ბურჯანაძე-დემოკრატების" კანდიდატი კახა გოშაშვილი გაუწევს.

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# საქართველო ევროპისკენ არ მიდის, ის იქ ბრუნდება

პირველი გვერდიდან

*ემიგრირებულთა სულებზე ზრუნვისთვის უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ეპარქია შექმნა, რომლის რეზიდენციასაც, წესით, ბრიუსელში უნდა დაედო ბინა. ამ ხარჯებისთვის საჭირო ყოველთვიური 6000 ევრო კი ჯერ ვერც საპატრიარქომ გამოძებნა და ვერც სახელმწიფომ, რომლის "ლოცვა-კურთხევითაც" შეექმნა გაუსაძლისი პირობები საკუთარი სამშობლოდან სარჩოს საძებნელად გახიზნულ მილიონამდე ქართველს...*

**- რა ისტორიული ეტაპები აქვს გასავლელი ახლადშექმნილ დასავლეთ ევროპის ეპარქიას?**

- ჩვენი მთავარი ფუნქცია, რა თქმა უნდა, რელიგიური ხასიათის არის - ადამიანები მიიყვანოს ეკლესიის წიაღში და მარადიული ჭეშმარიტებების თანაზიარი გახადოს. ამას სხვა ფუნქციაც ემატება - ჩვენს თანამემამულეებს ეროვნული ტრადიციების და საქართველოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებაში დავეხმაროთ. როგორც მისმა უწმინდესობამ თქვა, საბოლოო მიზანი ის არის, რომ ეს ადამიანები საქართველოში დავაბრუნოთ. რა თქმა უნდა, ყველა ვერ დაბრუნდება, მაგრამ ისინი ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის შვილებად უნდა დარჩნენ. ეს მათ მიმართ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ქართველები ისტორიულად საქართველოში ცხოვრობდნენ (გადასახლებებს თუ არ ჩავთვლით). ამიტომ, ჩვენს ეკლესიას ქვეყნიდან წასულ ხალხზე სულიერი მზრუნველობის გაწევის ტრადიცია არ აქვს. ბევრი რამის სწავლა გვიწევს იმ ეკლესიებში, რომელთაც ეს გამოცდილება უკვე შეიძინეს. ფაქტობრივად, სახელმწიფოებრივი ფუნქციაც გვაკისრია. აუცილებელია სხვა სამრევლოები და სათვისტომოები ხედავდნენ იმ პრობლემებს, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და ამ პრობლემების გადაწყვეტაში თავისი წვლილი შეიტანონ. შეიძლება, ეს იყოს სიტყვა, თანადგომა და სხვა.

**- თქვენი მრევლია მრავალფეროვანი, გაბნეული, ზოგჯერ მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფი, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი მართლმადიდებლები. როგორ ახერხებენ ეკლესიურად ცხოვრებას, ისინი ბევრს შრომობენ, წირვა-ლოცვა კი გარკვეულ დროს მოითხოვს...**

- ჩვენს სამრევლოებსა და სათვისტომოებში ორი კატეგორიის ხალხია გაერთიანებული - სარჩოს საძებნელად წასული ადამიანები და სტუდენტი-ახალგაზრდობა. მათ ემატება წინა თაობის ემიგრანტები.

უკანასკნელ ათწლეულში წასულ ადამიანებს სერიოზული პრობლემები აქვთ. მთელ თავის დროს ახმარენ იმას, რომ უცხო სამყაროში დამკვიდრდნენ, გზა გაიკვლიონ და ოჯახებს დაეხმარონ. სურვილი იმისა, რომ ჰყავდეთ მოძღვარი, ჰქონდეთ ეკლესია, ნამდვილად აქვთ. განსაკუთრებით, სასწავლებლად წასული ახალგაზრდები გამოთქვამენ ასეთ სურვილს. მათ მართლა სურთ საქართველოში დაბრუნება და შეძენილი ცოდნის სამშობლოში გამოყენებას აპირებენ. ამ სირთულეებისა და დაძაბული რიტმის მიუხედავად, უცხოეთში მცხოვრები ქართველები მაინც პოულობენ დროს, იფიქრონ თავისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

დასავლეთის ქვეყნებში, დაახლოებით, 20 ისეთი სამრევლო არსებობს, სადაც სასულიერო პირის დანიშვნა ძალზე აქტუალურია. რა თქმა უნდა, დაძაბული ცხოვრების მიუხედავად, ბევრი ვერ მოახერხებს ყოველ შაბათ-კვირას ღვთისმსახურებაზე დასწრებას, მაგრამ გარკვეული პერიოდულობით აუცილებლად ივლიან. ყველგან არიან ადამიანები, რომელთაც ძალიან უნდათ ამის გაკეთება. სწორედ ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ დასავლეთ ევროპაში სამრევლო ოჯახი ჩამოყალიბდება. ეკლესია ისეთი ადგილია, სადაც ყველას შეუძლია თავისი სიხარულითა და ტკივილით მოსვლა. ჯერჯერობით, სულიერი მეურვეობის ეს ფუნქცია აკისრია იმ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, რომელიც უკვე არსებობს - ბერძნულს, სერბულს, რუსულს.

უმთავრესი პრობლემა არალეგალურად და პატიმრობაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების თანადგომა იქნება. სულიერი და მატერიალური პრობლემების გარდა, ამ ადამიანებს სამართლებრივი პრობლემებიც აქვთ. ეს ადამიანები განიცდიან თავის მდგომარეობას, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველომ ისინი არ უნდა დაკარგოს.

**- ცოტა ხნის წინ მართლმადიდებლური ეკლესიის სასარგებლოდ დასრულდა დაპირისპირება კათოლიკებთან, რომელთაც საქართველოში საკუთარი ეპარქიის შექმნა სურდათ. ამ გართულებული ურთიერთობების ფონზე როგორ ცხოვრობს დასავლეთ ევროპის ეპარქია, ატარებს თუ არა ის საპატრიარქოს პოლიტიკას და როგორ ახერხებს ამას კონფლიქტების გარეშე?**

- მიუნჰენში, რეგენსბურგში სამლოცველოს მიღება სწორედ კათოლიკების მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სხვა კონტაქტებიც გვაქვს კათოლიკურ ეკლესიასთან. იმ მოვლენებამდე ერთი კვირით ადრე ბრიუსელის საეპარქიო ტაძრის გახსნის პრობლემების გამო ვატიკანში შეხვედრა მქონდა კარდინალ ვალტერ კასპერთან. იგი ამ პრობლემის გადაჭრასა და ყოველმხრივ დახმარებას დაგვპირდა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ჩვენი შეხვედრები ბრიუსელში ევროკავშირის ქვეყნების ეპისკოპოსთა კონფერენციის წარმომადგენლებთან. მიმოწერა მქონდა ამ კონფერენციის გენერალურ მდივანთან. ისინი მზად არიან დახმარების გასაწევად. ასე რომ, ამ ეტაპზე კათოლიკებთან ნორმალური ურთიერთობები გვაქვს.

**- ბრძანეთ, რომ ეს შეხვედრები თბილისის მოვლენებამდე ერთი კვირით ადრე გქონდათ...**

- დიახ. საქართველოს და ვატიკანის სახელმწიფოებს შორის თბილისის შეთანხმების დებულებები საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებია. იმის გაკეთება, რაზეც ამ შეთანხმებაში იყო საუბარი, კათოლიკურ ეკლესიას ხელშეკრულების გარეშეც შეუძლია. ეს ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და მის ძირითად კანონებს, ხოლო, სინდისის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მთელი მსოფლიოსთვის (მათ შორის, საქართველოსთვისაც) საყოველთაოა.

აქედან გამომდინარე, თბილისში განვითარებულ მოვლენებს ცოტა სხვაგვარად ვუყურებ. ტექსტში არ იყო საუბარი ეპარქიის გახსნაზე (თუმცა, ზოგირთ დებულებაში ეს შეიძლება ვიგულისხმოთ).

კონფლიქტი არარსებულ სიმწვავეს გამოხატავს. პირადად ჩემთვის, ძალიან რთულია კათოლიკეში, ანგლიკანში, ან ვინმე სხვა კონფესიის წარმომადგენელში მტერი დავინახო. ისინი თავს ქრისტიანებად თვლიან. მათი ცხოვრების წესიდან და ჩვენდამი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მათ მტრებს ვერ დავარქმევ. ამიტომ ურთიერთობა სხვა სიბრტყეში უნდა გადავიდეს. არ იყო ისეთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გზით არ შეიძლებოდა.

**- ეს ხელისუფლებისადმი უნდობლობით იყო გამოწვეული?**

- შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ თავიდან, არა მგონია. საპროტესტო აქციებით (რომელთა მიმართ საქართველოს ეკლესიამ დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა), ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში აღმოჩნდით ჩარეული, რაც ეკლესიის ფუნქციებში ნაკლებად შედის.

ბუნებრივია, საქართველოს ეკლესია საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში ცდილობს აზრის გამოთქმას იმისთვის, რომ ქვეყნისა და ეკლესიის საზიანო გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული.

ჩემი აზრით, უფრო გაუგებრობას და კათოლიკების მიმართ უნდობლობას ჰქონდა ადგილი. საქმე ის არის, რომ ამ ხელშეკრულების თაობაზე ადრეც იყო საუბარი. სახელმწიფოსა და ქართულ ეკლესიას შორის ხელშეკრულების დადების დროს კათოლიკურმა ეკლესიამ დააფიქსირა, რომ ისიც ფიქრობს მსგავს ხელშეკრულებაზე. (ბუნებრივია, საუბარი არ იყო კონსტიტუციურ ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოს ეკლესიამ დადო სახელმწიფოსთან).

რაც შეეხება ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ამ ხელშეკრულებას - ეს იყო ნოტების გაცვლის შედეგად შეთამხმებული ტექსტი, რომელიც საქართველოში მათ იურიდიულ სტატუსს განსაზღვრავდა. არა მგონია, რომ ეს ფაქტი ძალიან მოულოდნელი ყოფილიყო. შეიძლება, იმ დღეს რაღაცამ ხელი შეუწყო ვითარების დაძაბვას. ისე კი, საკითხი იდგა და კათოლიკეთა პოზიცია ცნობილი იყო. როცა ამბობდნენ, რომ ეს ეკლესიისგან საიდუმლოდ მოხდა - ალბათ, ამასაც ემოციური ფონი ახლდა.

არა მგონია, რომ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის დაპირისპირებამ შეიძლება იარსებოს. საქართველო ძალზე სპეციფიკური ქვეყანაა და ქართველებს საკუთარი დამოკიდებულება აქვთ როგორც ჩვენი ეკლესიისადმი, ასევე სხვა კონფესიებისადმი. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, ასეთი ექსტრემალური მოვლენები ჩვენთან არასდროს ყოფილა. ხშირად, ძალზე რთულ ვითარებაში, საქართველოში მცხოვრები მუსულმანები ჩვენს გვერდით იდგნენ და მუსულმანურ ქვეყანას ებრძოდნენ - თავის სამშობლოს იცავდნენ. საქართველოში ეროვნული თუ რელიგიური ნიშნით დაყოფა არ ხდებოდა, სახელმწიფო ერთიანი იყო. ვერ ვიტყვი, დავით აღმაშენებელი მეჩეთში რომ შედიოდა, ლოცულობდა თუ არა, მაგრამ ის ყოველთვის გრძნობდა პასუხისმგებლობას ამ ადამიანების წინაშე. ისინი ამ ქვეყნის შვილები იყვნენ და მას, როგორც მეფეს, ესეც ევალებოდა.

**- შეთანხმების ჩაშლის შემდეგ თუ შეხვდით კათოლიკე მღვდელმთავრებს და თუ იცნობთ მათ პოზიციას?**

- შევხვდი საქართველოში ეპისკოპოსს მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოს. მომხდართან დაკავშირებით ისინი გარკვეულ გულისტკივილს გამოთქვამენ და, საბედნიეროდ, მომხდარს მათ საწინააღმდეგო კამპანიად არ აღიქვამენ. მათ მიაჩნიათ, რომ აქვთ ერთი გზა - ანგარიში გაუწიონ საქართველოს ეკლესიას და არავითარი კონფლიქტი არ დაუშვან.

ჩემი შეხვედრები არაფორმალურია, მრავალი წლის განმავლობაში ვიცნობთ ერთმანეთს და ხანდახან, გულახდილად საუბრის შესაძლებლობა გვაქვს.

**- რადგან შემწყნარებლობაზე ვსაუბრობთ, იქნებ გვითხრათ, სხვა კონფესიებისადმი აგრესია არის თუ არა სისუსტის ნიშანი? ეკლესიას გააჩნია თავისი დამოკიდებულების გამოხატვის სხვა ფორმები?**

- საქართველოს ეკლესია ყოველთვის გმობდა და გმობს ნებისმიერ ძალადობას. ერთადერთი საშუალება, რომლითაც ეკლესიას მისთვის მიუღებელი მოძღვრების მქადაგებელი რელიგიური ჯგუფების შეჩერება შეუძლია - არის მხილება, ეს არის დიალოგი ცივილური ფორმების გამოყენებით - ამისთვის თანაცხოვრების საკმაო გამოცდილება გვაქვს.

ზოგჯერ, აგრესიას ეკლესიის სახელით სჩადიან ხოლმე, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანების მიმართ ამგვარი შეუწყნარებლობა არ არის. ქართული ეკლესია საქართველოში მცხოვრებ ყოველ ადამიანზე გრძნობს პასუხისმგებლობას.

ეკლესიის გარდა, რელიგიურ საკითხებში თავისი ფუნქცია სახელმწიფოსაც აკისრია. სახელმწიფო ვალდებულია, ჩვენი შეხსენების გარეშე უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც არავის მისცემს საშუალებას, ზიანი მიაყენოს საქართველოს ეროვნულ, გნებავთ, სარწმუნოებრივ ინტერესებს.



მეუფე აბრაამი "24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თუ სახელმწიფო ჩათვლის, რომ ესა თუ ის რელიგიური ჯგუფი საფრთხეს უქმნის მის სახელმწიფოებრიობას, მან შესაბამისი კანონები უნდა მიიღოს. ეკლესიამ ქადაგებით, მისიონერული ფუნქციით უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია.

ამ ეტაპზე ხელშეკრულებასთან მიბრუნება ისევ კონფლიქტს გამოიწვევს.

**- საქართველოს სახელმწიფო ევროპასთან ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის. რა ეკვივალენტურ ნაბიჯებს დგამს ჩვენი ეპარქია ევროპაში, რომელსაც გარკვეულწილად დიპლომატიური მისიაც აკისრია?**

- ჩვენი ეპარქიის ერთ-ერთი ფუნქცია იმ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობაა, რომელშიც ჩვენი ქვეყანაა ჩართული. თუმცა, ხანდახან აქ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება გაუგებრობას იწვევს და სულ სხვა ორიენტაციის მაჩვენებელ ნაბიჯებს ვდგამთ.

საბოლოო ჯამში, საქართველო კი არ მიდის, არამედ ბრუნდება ევროპაში და, ბუნებრივია, ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

ძალიან გვინდა, ბრიუსელში გადასვლა მოვახერხოთ, რათა მერე იმ სკითხების მოგვარება დავიწყოთ, რაც დაახლოების პროცესს უფრო ინტენსიურს გახდის.

**- მართლმადიდებლური ეკლესია ეჭვის თვალით უყურებს გლობალიზაციის პროცესს. თქვენი აზრით, რა საფრთხე მოაქვს ამას?**

- მგონია, რომ საქართველოს ეკლესია ამაში საშიშროებას არ ხედავს. შეიძლება, არსებობს ცალკეული პირების გამონათქვამები, მაგრამ სინამდვილეში, გლობალიზაციის პროცესი თავის თავში საშიშროებას არ ატარებს. თუ ჩვენ ვიცით, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ - არანაირი საშიშროება არც არსებობს. საშიში მაშინ შეიძლება გახდეს, თუ ჩვენს ისტორიას, კულტურასა და ტრადიციას დავივიწყებთ. ასეთ შემთხვევაში, იგივე მარკირებაშიც შეიძლება ანტიქრისტე დავინახოთ... როდესაც ადამიანი ამბობს, "მე დროშაზე ჯვარი არ მინდა", გლობალიზაციის პირობებში ყველაფერს დაივიწყებს...

**- საქართველოს ეკლესიაში დაპირისპირებული დაჯგუფებები გამოიკვეთა. ამ ზაფხულს ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ჩვენი გაზეთის საშუალებით მიმართა პატრიარქს. როგორ ფიქრობთ, უნდა ჩაერიოს თუ არა საზოგადოება საპატრიარქოს პრობლემების გადაწყვეტაში?**

- საკითხავია, რამდენად არის მისაღები იმ წერილის ფორმა. რა თქმა უნდა, ამ წერილში მიმდინარე პროცესებისადმი გარკვეული წუხილი იგრძნობა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები მჭიდროდ არ არიან დაკავშირებული ეკლესიასთან და ეს კითხვები ამიტომ უჩნდებათ. თუ მოხერხდება და ეკლესიის პოზიცია დაფიქსირდება, მსგავსი წერილები აღარ გაჩნდება.

ვერ გავიზიარებ წერილში გამოთქმულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ დაპირისპირებული დაჯგუფებებია (ალბათ, იგულისხმება წმინდა სინოდი, მღვდელმთავრები და შემდგომ, სხვანი). შეიძლება, იყოს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც დაპირისპირებას არ ნიშნავს. გაზეთის მეშვეობით კითხვის დასმა და ამავე გზით პასუხის მიღება სწორად არ მიმაჩნია. თუმცა, შესაძლებელი და აუცილებელია, ეკლესიამ უფრო სრულად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება იმ პროცესების მიმართ, რაც საზოგადოებაში ხდება.

**- მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან საქართველოს ეკლესიის გამოსვლის შემდეგ შეიცვალა თუ არა დამოკიდებულება ჩვენს მიმართ ევროპის საეკლესიო წრეებში?**

- ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან, ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან და საერთოდ ეკუმენური მოძრაობიდან საქართველოს გამოსვლამ, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა მოახდინა ჩვენი ეკლესიის იმიჯზე. ვცდილობდით იმ საკითხებზე მათი ყურადღების მიპყრობას, რაც ჩვენთვის მტკივნეული იყო. მიტოვება და წამოსვლა - უკიდურესი ნაბიჯია. ეს ნაბიჯი მას შემდეგ გადავდგით, როცა სხვა შესაძლებლობები ამოწურული იყო.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, სინოდმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მის უწმინდესობას ყველამ დაუჭირა მხარი და მათ შორის მეც ვიყავი, თუმცა ამას ნეგატიური გავლენის მოხდენაც შეეძლო და ეს გვაღელვებდა.

ეკუმენურმა მოძრაობამ ძალზე ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა შეენარჩუნებინა. საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლია, რომელიც ყველა ოჯახშია, მათ მიერ შემოწირულ ქაღალდზეა დაბეჭდილი... ტოტალიტარული დევნის პირობებში, დასავლეთში ჩვენი პოზიციის დაფიქსირებით, საკუთარ არსებობას ვადასტურებდით. როცა დღეს ამბობენ, რომ იქ მარტო მოღალატეები ისხდნენ და ღალატზე ფიქრობდნენ - ასე არ იყო. იქ სერიოზულად, კონსტრუქციულად ვმუშაობდით.

საბჭო ჩვენთან ერთად ბულგარეთის ეკლესიამაც დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობაში ვიყავით, ამან დიდი გავლენა მოახდინა თავად ორგანიზაციის მუშაობაზეც. 60 კაციანმა პარიტეტულმა კომისიამ განიხილა ჩვენი გამოსვლის საკითხი და ჩვენთვის ძალზე საგულისხმო გადაწყვეტილებები მიიღო - ახლა მართლმადიდებელ ეკლესიებს თანამშრომლობის უფრო მეტი საშუალება ეძლევათ (კათოლიკური ეკლესია ამ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით არის და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს).

მიმაჩნია, რომ გამოსვლის თაობაზე საქართველოს მაშინდელი გადაწყვეტილება არ იყო არასწორი. საქართველოში მაშინ არსებული მდგომარეობაც გასათვალისწინებელია.

ძალიან ადვილია სხვა ადამიანების შესახებ მსჯელობა. პატრიარქის პასუხისმგებლობა რომ სრულად გაიგო - პატრიარქი უნდა იყო. სწორედ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

**- შეიცვლება თუ არა რაიმე უახლოეს მომავალში?**

- ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. თუმცა, პატრიარქი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს მუშაობაში საქართველოს ეკლესიის რაიმე ფორმით მონაწილეობის შესახებ...

**- გვერდს ვერ ავუვლით არჩევნების თემას, რომლითაც მთელი საზოგადოებაა მოცული. ამ საზოგადოების დიდი ნაწილი ეკლესიის მრევლია...**

- საქართველოში პერმანენტული არჩევნებია და საზოგადოების დაპირისპირება ზედმეტი პოლიტიზირებით არის გამოწვეული. ეს კი დანგრეული ეკონომიკის ბრალია. ამ საკითხებში ექსპერტად არ გამოვდგები, მაგრამ, როგორც ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, მიმაჩნია, რომ ერთი სერიოზული ნაკლია გამოსასწორებელი - ჩვენ ძალიან ადვილად ვერთიანდებით ვიღაცის წინააღმდეგ. მაგრამ, კეთილი საქმისთვის, აღმშენებლობისთვის გაერთიანება ძალზე ჭირს.

პარტიების საარჩევნო პროგრამები რომ წაიკითხოთ, ნახავთ, რომ ეკონომიკურ, სოციალურ თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ყველა ერთნაირად ფიქრობს. თუმცა, ვერ ერთიანდებიან. ეს სამწუხარო ფაქტია.

ეკლესია წუხს იმის გამო, რომ საქართველოში არანაირი შრომა არ ფასდება და ადამიანებსაც შეეცვალათ დამოკიდებულება შრომისადმი. დაპირისპირება სიყვარულის ნაკლებობით არის გამოწვეული... ხანდახან საჭიროა იმ დიდი ამოცანის შესრულება, რასაც მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს დამკვიდრება ჰქვია, რათა ჟირინოვსკებმა და მისნაირებმა არ ილაპარაკონ, რომ საქართველო აღარ იარსებებს. საქართველო, პირველ რიგში, იმიტომ იქნება, რომ ღვთისმშობლის წილხვედრია. ჩვენმა ქვეყანამ ბევრი იმპერია გაისტუმრა და მათ იმაზე ბევრად დიდი ამბიციები ჰქონდათ, ვიდრე ბატონ ჟირინოვსკის, მაგრამ ეს აღარ უნდა იყოს სალაპარაკო. საქართველომ მსოფლიოს საკუთარი ღირსება უნდა დაანახოს.

**- სახელმწიფოსა და ეკლესიას ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფუნქციები აქვთ, მაგრამ ერთი რამ საერთოა - ხალხი. რა ბერკეტები გააჩნია ეკლესიას იმისთვის, რომ სახელმწიფოს თავისი ფუნქციების შესრულება მოსთხოვოს - რათა ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცეს...**

- ეკლესიის მთავარი იარაღი ქვეყნის კეთილდღეობაზე ლოცვაა.

პირდაპირი გაგებით ხელისუფლებაზე გავლენის ბერკეტები არ გვაქვს. დღეს საქართველოს ეკლესიას მხოლოდ იმის იმედი აქვს, რომ ამა თუ იმ თანამდებობებზე მყოფ მის წევრებს ბოლომდე ქვეყნის ერთგულება და ქრისტიანული წესით ცხოვრება მოსთხოვოს..

წმინდა წერილითაც არის ნათქვამი, რომ კეთილი საქმისთვის არც ერთი ხელისუფლება არ არის ცუდი.

სვეტი



# პირადი ბიბლიოთეკა

## იოზეფ როტი, "რადეცკის მარში" (1932)

მალხაზ ხარბედია

1859 წლის 24 ივნისს, იტალიის პატარა ქალაქ სოლფერინოში შვეიცარელი ანრი დიუნანი ჩავიდა ნაპოლეონ III-ის სანახავად. ახალგაზრდა ბიზნესმენს ალჟირში მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარების პრობლემები უნდა განეხილა იმპერატორთან, ნაპოლეონი კი ამ დროს იტალიელ მოკავშირეებთან ერთად ავსტრიის არმიის შემოტევისთვის ემზადებოდა. სწორედ 24 ივნისს მოხდა ის საზარელი შეტაკება, რომლის მოწმე ანრი დიუნანიც გახდა და რომელსაც ისტორიაში სოლფერინოს ბრძოლა უწოდეს. ბრძოლის დროს, სულ რამდენიმე საათში 40 000 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ამ "სანახაობამ" მთლიანად შეცვალა ყმაწვილი ანრის ცხოვრება. 1862 წელს მან მოგონებები გამოაქვეყნა სოლფერინოს ბრძოლის შესახებ და წიგნის ბოლოს, საზოგადოებას საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნაც შესთავაზა ომის მსხვერპლთა დასახმარებლად. ეს გეგმა მალე აიტაცეს ევროპელებმა და ასე შეიქმნა საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია, 1901 წელს კი, უკვე მხცოვანი ანრი დიუნანი მშვიდობის ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა.

თუმცა, სოლფერინოს ბრძოლასთან დაკავშირებული ამბები ამით არ დასრულებულა. 1932 წელს გამოიცა იოზეფ როტის რომანი, "რადეცკის მარში", რომლის მთელი სიუჟეტიც ამ ისტორიული ბატალიის გარშემო იყო აგებული.

■ ■ ■

გახსოვთ, ალბათ, დემნა შენგელაიას "სანავარდოს" შესახებ აღვნიშნე ორი კვირის წინ, "ეს რომანი სისხლდამჟავებული ძველი თაობისა და ახალ, წვივმაგარ ადამიანთა მოლოდინის შესახებაა"-მეთქი. "რადეცკის მარშის" გმირებიც თავადები არიან, ოღონდ სანავარდოელი ჭილაძეებისგან განსხვავებით, ისინი შედარებით "ახალგაზრდა გვარის" ხალხია. თუმცა, ამის მიუხედავად, მთავარ გმირს, ყმაწვილ კარლ იოზეფ ტროტას, და მთელ მის მოდგმას, მაინც ვერაფერი იხსნის ისტორიული განსაცდელისგან და ისინიც, ჭილაძეებივით, ეპოქას გადაჰყვებიან - ამ შემთხვევაში ჰაბსბურგების იმპერიას, რადგანაც რომანს პირველი მსოფლიო ომის მოვლენები ასრულებს.

წიგნში ტროტას გვარის სამი თაობის ისტორიაა მოთხრობილი და ნაწარმოებში მოქმედება სწორედ 1859 წელს იწყება, როცა კარლ იოზეფის ბაბუას, იოზეფს, განსაკუთრებული დამსახურების გამო ბარონის წოდება და მარია-ტერეზიას ორდენი მიენიჭა. საქმე ის გახლავთ, რომ 1859 წელს, სოლფერინოს ბრძოლისას იოზეფმა იმპერატორი გადაარჩინა სიკვდილს, შემდეგ ეს გმირობა სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებშიც შევიდა და რომანის პირველივე თავში, ერთ-ერთი პერსონაჟი ამ მოვლენას ასე განსაზღვრავს: "ყველა ისტორიული ხდომილება სკოლის სახელმძღვანელოში სხვაგვარად აღიწერება. ბავშვებს სჭირდებათ მაგალითები, რომლებსაც გაიგებენ და დაიხსომებენ. სიმართლეს კი ისინი მოგვიანებით ჩაწვდებიან".

აი, ასეთი გახლავთ "შესავალი" და რომანის მთელი დანარჩენი ნაწილი ამ სიმართლის წვდომასა და გარკვევას ეძღვნება.

პირველი სიმართლე, პირველ სიყვარულთან ერთად მოდის კარლ იოზეფ ტროტასთან, სახელგანთქმული ბაბუის შვილიშვილთან, რადგან სულ მალე ამ სიყვარულს მიწას მიაბარებენ და ყმაწვილის ცხოვრებაშიც ეს პირველი სიმართლე სიკვდილის სახით შემოაღწევს. მისი საყვარელი, ვახმისტრის ცოლი ფრაუ სლამა, მშობიარობას გადაჰყვება და კარლ იოზეფსაც აღარაფერი დარჩება ამ ქალის სურნელის გარდა.

ადრე, საღამოობით, როცა ფრაუ სლამასგან ბრუნდებოდა (ამ დროს ვახმისტრი პატრულში იდგა), ქალისგან წამოყოლილი არომატი ზაფხულის მშრალ საღამოებს ერწყმოდა და მუდამ თან სდევდა ხოლმე კარლ იოზეფს, ისე რომ, მამასთან მიახლოებასაც ვერ ბედავდა. თუმცა, ერთხელ მაინც მოახერხა მოხუცმა ფრანც ფონ ტროტამ შვილის ხელებზე შერჩენილი ამ "სურნელის განზოგადება" და თქვა, "შემოდგომის სუნი დადგაო", რადგან ფრაუ სლამა რეზედას სუნამოს იპკურებდა ხოლმე.

ამ ამბის შემდეგ, ყველა დანარჩენი სიმართლე სიკვდილს უკავშირდება. კვდება კარლ იოზეფის საუკეთესო მეგობარი, პოლკის ექიმი მაქს დემანტი, რომელიც დუელში დაიღუპება თავის მოწინააღმდეგესთან ერთად. დუელის ეს სცენა უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია რომანში და იგი ერთ-ერთი საუკეთესო დუელია, რომლის შესახებაც აქამდე წამიკითხავს. საქმე ისაა, რომ მაქს დემანტი ახლომხედველია, სქელი ლინზებიდან იყურება, მაგრამ დუელის დღეს, აღმოაჩენს, რომ ყველაფერს ისე ცხადად ხედავს, როგორც არასდროს. იგი უმიზნებს მოწინააღმდეგეს და ფიქრობს, "აღარ დამჭირდება სათვალე", გონებაშიც ვიღაც ცნობილი ოფთალმოლოგის გვარი ამოუტივტივდება და ამ დროს ლამის ერთდროულად გაისმება პლაც-პარადზე გამოსული პოლკის საყვირების ხმაცა და გასროლაც. ერთი სიტყვით, ყველაფერი მთავრდება.

რომანშიც, ყველაფერს დამთავრებისკენ, დასასრულისკენ მიერეკება ავტორი, ანუ იგი ოდესღაც განცდილ, რეალურ დასასრულს იმეორებს: დასასრულს ავსტრო-უნგრეთის იმპერიისას, იმპერატორ ფრანც-იოზეფისას და რაც მთავარია, **სამშობლოს** დასასრულს თუ აღსასრულს, და პერსონაჟებიც ამ აღსასრულს გადაჰყვებიან.

რომანში სამჯერ ხდება ტროტებისა და იმპერატორის შეხვედრა. პირველად მაშინ, როცა იოზეფ ტროტა სიკვდილს აარიდებს 29 წლის ფრანც-იოზეფს. მეორედ, უკვე სოლფერინოს გმირის შვილიშვილი შეხვდება ფრანც-იოზეფს და ასაკოვანი, ხანგრძლივი ცხოვრებით გადაღლილი იმპერატორი თავისი მხსნელის შვილად მიიღებს კარლ იოზეფ ტროტას. როცა სიმართლეს გაიგებს, იმპერატორი შედრკება, დათრგუნავს მასსა და ახალგაზრდა ყმაწვილს შორის უეცრად გაჩენილი დროის უზარმაზარი მონაკვეთი და შეშინებული ჩაუვლის ჯარისკაცთა რიგებს, შეშინებული ასაკით, იმდენად დამფრთხალი, რომ საკუთარ ცხვირზე ჩამოკიდებულ გამჭვირვალე წვეთსაც ვერ შენიშნავს. და ბოლოს, იმპერატორს ფრანც ფონ ტროტა ხვდება, კარლ იოზეფის მამა, სოლფერინოს გმირის შვილი, და ფრანც-იოზეფს უკვე აღარაფერი ახსოვს გარდა სასკოლო წიგნში მოთხრობილი ამბისა, ამბისა, რომელიც თავად მის გადარჩენას ეხება, და სამივე ტროტასაც იგი უკვე ერთმანეთში ურევს. შუათანა ტროტას შემხედვარეს კი ეჩვენება, თითქოს საკუთარ ანარეკლს უყურებდეს სარკეში.

რომანში ყველა პერსონაჟი ასე აირეკლავს ერთმანეთს: თუკი 50 წლის წინ, წინაპარი იმპერატორისთვის გამიზნულ ტყვიას ელობებოდა, 1916 წელს, შვილიშვილი წყლით სავსე სათლებით ხელში კვდება. ბაბუა იმპერატორს იხსნის, შთამომავალი კი იმპერატორის სურათს იპარავს ბორდელიდან, ანუ "ღორებისგან" იხსნის მას და ბოლოს, ყველა ეს გმირობა ერთი პატარა იადონის გალობად და ღმერთისადმი მადლიერებად მიიქცევა.

■ ■ ■

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ შესანიშნავი რომანის გამო კიდევ მრავალი რამ დამრჩა მოსათხრობი და იმედია, ამ "სიმრავლეს" თქვენვე მიაგნებთ (ან უკვე მიაგენით და მონიშნეთ კიდეც). უბრალოდ დავძენ, რომ 1994 წელს ფრანგებმა სატელევიზიო ფილმიც გადაიღეს მის მიხედვით, მაქს ფონ სიუდოვითა და შარლოტა რემპლინგით მთავარ როლებში, და კიდევ, კრიტიკოსებმა თუ ლიტერატურათმცოდნეებმა უკვე არაერთხელ აღნიშნეს რომანის სათაურისა და მასში მოთხრობილი ამბის შეუსაბამობა. რა აერთიანებთ შტრაუსის ჭკუამხიარულ მარშსა და იმ პირქუშ ისტორიას, წიგნში რომაა გადმოცემული? თანაც რადეცკის მარშს, ნაწარმოებში ბრძოლის ველზეც გაიგონებთ, ბორდელშიც და იგივე მელოდია გაისმება გმირის ბავშვობის მოგონებებიდანაც.

და მართლაც, რა არის მათში საერთო?

წაიკითხეთ და ნახავთ.

# გივი ძნელაძის უკვდავსაყოფად

ნანა ბასილაშვილი



"მე ის მზე უფრო მიყვარს, რომელიც ჩემი სიკვდილის მეორე დღეს ამობრწყინდება", - ეს სიტყვები პოეტ გივი ძნელაძეს ეკუთვნის. პოეტის შემოქმედების შესახებ, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გუშინ კოლეგები და მეგობრები საუბრობდნენ. გივი ძნელაძის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მწერალთა კავშირში მისი ხსოვნის საღამო გაიმართა. 75 წლის იუბილემ ცრემლებითა და სევდიანი მოგონებებით ჩაიარა. მწერალთა კავშირში გუშინ პოეტის ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ.

"მიხარია, რომ დღევანდელი დღე არსებობს, დღე ჭირისუფლისა, დღე წარსული რაინდებისა", - საღამო პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა გახსნა. ჩვენ უნდა გამოვუტყდეთ საკუთარ თავს, რომ ხშირად ადამიანებს სიკვდილის შემდეგ ვაფასებთ", - ჩვენში ეს საკმაოდ "პოპულარული" ფრაზა გუშინ გივი ძნელაძის მისამართითაც გაისმა. ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისა და მისი პოპულარიზაციისთვის გივი ძნელაძისთვის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული ღირსების ორდენი გუშინ მისი ოჯახის წევრებს გადაეცათ. გუშინვე კანდელაკის №65 სახლში, სადაც 1972-1995 წლებში გივი ძნელაძე ცხოვრობდა, მერიის კულტურის სამმართველოს ინიციატივით, პოეტის მემორიალური დაფა გაიხსნა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ წივიწივაძე და კავშირის სხვა წევრები - მაყვალა გონაშვილი, ზაალ ბოტკოველი, მარი აბრამიშვილი, სილოვან ნარიმანიძე და ყველა, ვინც კარგად იცნობდა და უყვარდა გივი ძნელაძე და მისი პოეზია, თავიანთ მოგონებებში ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გივი ძნელაძე, გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი პოეტი იყო, იყო საოცარი, გამორჩეული ადამიანი, რომელსაც მტერი არ ჰყავდა. ამ კაცს სიძულვილი საერთოდ არ შეეძლო, ყველა უყვარდა და თავადაც ყველასთვის საყვარელი გახლდათ - მზესავით ნათელი პიროვნება. ასეთივე ნათელია მისი პოეზიაც – მრავალფეროვანი რითმიკით, ოღონდ უცვლელად ერთი სულით – სიყვარულით გაჯერებული - ნაღვლიანი და ოპტიმისტური; ხალისიანი და ღრმა – მუდამ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული.

პოეტის ლექსებს, თითქმის, ყველა გამომსვლელი სიამოვნებით კითხულობდა; სიამოვნებით ვისმენდით ჩვენც და თავიდან ვრწმუნდებოდით, რომ სიცოცხლეში თავმდაბალი, უხმაურო კაცის ეს ლექსები სამუდამოდ იხმიანებს მკითხველის გულში, რადგან ნათელია, ნაღდი, გულწრფელი და ამიტომაც – ყავლგაუსვლელი.

# იმედი უიმედობით არ უნდა შეიცვალოს

ინგა ფორჩხუა



ამირან შალიკაშვილი და მისი დასი.

ამირან შალიკაშვილი - საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული პროფესიული პანტომიმის ჟანრისა და სახელმწიფო თეატრის დამაარსებელი, მისი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი; ჰყავს მეუღლე, კირა მებუკე, ოთხი შვილი და ორი შვილიშვილი...

გრან-პრით დაჯილდოებული პანტომიმის თეატრი ახლახან დაბრუნდა ესპანეთიდან.

**- ბატონო ამირან, გთხოვთ გაგვიზიაროთ ესპანური შთაბეჭდილებები.**

- ესპანეთში ჩემს თეატრთან ერთად გახლდით. წავიღეთ გახმაურებული სპექტაკლი "კრიმანჭული". მინდა გითხრათ, ეს სპექტაკლი ძველ კოლექტივთანაც წარმატებით სარგებლობდა... ძალიან მიხარია, რომ გრან-პრით დავბრუნდით... ევროპის გზა ჩემმა მოწაფეებმა გადამიკეტეს, და ათი წელი ვერ შევდიოდით...

**- რას გულისხმობთ?**

- ადრე, 1992 წელს გერმანიაში მიგვიწვიეს გასტროლებზე; პანტომიმის თეატრის ყველა მსახიობი იქ დარჩა. მაშინ ეგონათ, რომ მათ იქ ძეგლს აუგებდნენ. ძეგლისა რა მოგახსენოთ... ისინი დღესაც იქ ცხოვრობენ, ზოგი წამოვიდა; ნაწილი საარბრიუკენშია და თეატრი აქვთ. დღევანდელი მსახიობები მაშინ 15, 16 წლისანი იყვნენ. სანამ ესენი გაიზარდნენ, დრო გავიდა. ამ კოლექტივს 12 წელიწადი ველოდებოდი.

ამბობდნენ, - შალიკაშვილი "მოკვდაო" და ა.შ. ჩემთვის მთავარია, რომ 4 გრან-პრი გვაქვს... ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც იყო. მე ჩემი რაც მაქვს, ვერავინ წამართმევს. ჩემს მოწაფეებს არ ესმოდათ, რა გააკეთეს. ჩემი ხალხი ჩემს ხელოვნებას ვერ იგებს, გერმანელები იგებენ. შალიაპინმა აქ იმღერა პირველად, გორკიმ აქ დაწერა პირველი ნაწარმოები - ჩემზე რა დაემართათ, ვერ გეტყვით...

ესპანეთში გასტროლებზე ყოფნისას სპექტაკლს ესწრებოდა კულტურის მინისტრი (იქ მინისტრი ჰქვია მაგალითად კულტურის განყოფილების გამგეს და ა.შ.). შემდეგ ვახშამზე მიგვიწვიეს და ბატონმა ალეკანტემ მთხოვა, - დიდი სურვილი მაქვს, თქვენი სკოლა აქ გახსნათო... მე არ დავთანხმდი, რადგან აქ დავიბადე და საქართველოს ვეკუთვნი.

ყოველთვის მეუბნებოდნენ, - პანტომიმა ევროპული ხელოვნებაა, ჩვენ აზიატები ვართ და ამას ვერ გავიგებთო! რუსეთში ყოფნისას მეუბნებოდნენ ხოლმე, - Вы же азиаты, а это - европейское искуство, - მაგრამ, როცა ესწრებოდნენ ჩვენს სპექტაკლებს, აღფრთოვანებულები რჩებოდნენ.

ოთარ ეგაძემ ერთხელ თქვა, - ქალამნიანი კაცი ჩამოვიდა და ევროპულ კულტურაზე გველაპარაკებაო. მე კი ვთვლი, რომ პლასტიკა საჭიროა - ქართულ თეატრს პლასტიკა სჭირდება. ჩვენ გვყავს შესანიშნავი მსახიობები, მეტყველების საოცარი ოსტატები... ცეკვა სხვა არის, ბალეტი სხვაა, უხმო პლასტიკა კი საფუძვლად დაედო ჩემს თეატრს. მე ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ, - მე მხოლოდ ხუფი ავხადე იმ განძს, რომელიც დახურული იყო. დარწმუნებული ვარ, მომავალში ჩემზე უკეთესად ამას სხვა გააკეთებს.

ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის. ამჟამად ინსტიტუტში 65 სტუდენტია. მაქვს ჩემი თეატრი. რუსთავის ფესტივალზე პანტომიმის თეატრმა სასწაული მოახდინა. ბორჯომის ფესტივალზე დავდგით "დონ ჟუანი", რომელიც ადრე არ დადგმულა. მე ვიცი, რაც გასაკეთებელია, ის უნდა ვაკეთო და ხელი არ უნდა შემიშალონ. ახლა მე თქვენ აგიყვანთ ჩვენი თეატრის სცენაზე და ნახავთ, როგორ მტვერში უწევთ არტისტებს მუშაობა.

**- ვის მიმართეთ პრობლემის მოსაგვარებლად?**

- რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტს მივმართე. ბრწყინვალე რეზოლუცია მაქვს. მესმის, ყველა სფეროში გვიჭირს, მაგრამ ამ უნიკალურ თეატრს უნდა დავეხმაროთ. ოთხი რეზოლუცია დევს. წუნს ვერ მოუძებნი ამ დოკუმენტს. პრეზიდენტმა დაავალა თავის თანაშემწეს, თანაშემწემ ვილაცას და ამასობაში საქმე არ დაძრულა.

თეატრის რესტავრაცია არც ისე რთული და შეუძლებელია. ჯერჯერობით ყველაფერი ქაღალდზე დარჩა. მე დაველაპარაკე გარკვეულ ინსტანციებს. შეიძლება ისევ მომიწიოს პრეზიდენტის აპარატში მისვლა.

**- რა მიზნით?**

- მინდა, განცხადება გავაკეთო. სხვათა შორის, პანტომიმის თეატრის მესვეურთ დიდი ბრძოლა დასჭირდათ კუთვნილი ფართის დასაბრუნებლად – იყიდებოდა; ნაწილი დავიბრუნეთ, ნაწილი - ვერა.

**- ვინ ყიდის?**

- კულტურის სამინისტრო. ჩვენ 122 კვადრატულ მეტრზე გვაქვს პრეტენზია და ეს ფართი აუცილებლად უნდა ჩაბარდეს პანტომიმის თეატრს და მის კუთვნილ მეპატრონეს. უნდა დაიწყოს რეკონსტრუქცია, შემოიღობოს ტერიტორია; ბოლოს და ბოლოს ამ ყველაფერს სამარეში ხომ არ წავიღებ. ჩემი ნიჭი ჩემს სამშობლოს ეკუთვნის და რატომ უნდა გავუშვა ჩემი ხელოვნება უცხოეთში. იცით რა თანხები ესაჭიროება ჩვენს დანგრეულ თეატრს? პარლამენტარის ერთკვირიანი დასვენება ანტალიაში. დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.

**P.S.** დღეს პანტომიმის თეატრში საღამოს 6 საათზე შედგება "დონ ჟუანის" პრემიერა.

# ქალები ობიექტივში და მის უკან

## სუსტი სქესი "ქარვასლაში"

ვერა ნეფარიძე

*მგონი, საქართველოში ქალები უფრო კარგ ფოტოებს იღებენ, ვიდრე მამაკაცები. თუკი ამაზე, ჩემსავით, აქამდე არ გიფიქრიათ, ჯობს "ქარვასლას" მიაკითხოთ, სადაც პირველად მოეწყო პროფესიონალ ქალ ფოტოგრაფთა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა. ექსპოზიციის დახურვამდე სულ რაღაც ერთი დღე დარჩა.*



ფოტოხელოვანი ქალბატონები ქარვასლაში.

ბოლო დროს, თითქმის, ყოველთვის იმედგაცრუებული ვბრუნდები ხოლმე სხვადასხვა გამოფენიდან. მით უმეტეს, როდესაც რაიმე ახალ პროექტებზეა საუბარი. იმის მიუხედავად, რომ წინასწარი ინფორმაციის უქონლობის გამო, "ქარვასლასკენ" უიმედოდ გავეშურე, გუშინდელი შემთხვევა სასიამოვნო გამონაკლისი აღმოჩნდა. ჯერ ვიფიქრე, - ფოტოგრაფების სქესის მიხედვით დაჯგუფება რაღა უბედურებაა-მეთქი. მაგრამ, საქმე სხვა რამეში ყოფილა. "ქალთა საინფორმაციო ცენტრს" (რომელსაც აქამდე, თუ არ ვცდები, არ უნდა ეკუთვნოდეს რაიმე კულტურული ღონისძიების ორგანიზება), ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნულ კომიტეტთან ერთად გადაუწყვეტია თემის, "ქალი და მშვიდობა," ირგვლივ ფოტოგამოფენის მოწყობა. ამისათვის ორგანიზატორებმა რამდენიმე პროფესიონალ ფოტოგრაფ მანდილოსანს მიმართეს.

"ამ ფოტოგრაფების ნამუშევრები გავაერთიანეთ ერთი თემის ირგვლივ. გამოფენის მზადებისას აღმოვაჩინე, რომ ჩვენთან არც ისე ცოტა პროფესიონალი მანდილოსანია ამ სფეროში. ორი დღეა, მირეკავენ და მთხოვენ მონაწილეობას, მაგრამ ამ დროისათვის მეტის წარმოდგენა ვერ შევძელით", - გვითხრა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ელენე რუსეცკიმ. მათ საიმედოდ, ვინც ამ გამოფენაში ვერ მიიღო მონაწილეობა, უნდა ითქვას, რომ "ქალთა საინფორმაციო ცენტრი" მომავალ წელს გაზრდის მონაწილეთა რაოდენობას (დაგეგმილია ამიერკავკასიელი და შუა აზიელი ფოტოგრაფი ქალების მოწვევა).

ამჯერად კი გამოფენაში მონაწილეთა უმრავლესობას ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით კი, ბეჭდური გამოცემების ერთგულნი კარგად იცნობენ. გამოფენაზე წარმოდგენილია: ირინა აბჟანდაძის ფოტოსერია, რომელიც ავტორმა შუა საუკუნეების იაპონური ნაწარმოების "ნიძიოს" ილუსტრაციების სახით შექმნა (სერია გამოფენაზე დაუსრულებელი სახით არის წარმოდგენილი); ნათელა გრიგალაშვილის არაჩვეულებრივი კადრები სოფლის ცხოვრებიდან; ირინა კურმაევას გადაღებული დიზაინერ გიორგი ამირეჯიბის მოდელები; ლიზა ოსეფაშვილი-ნემცოვას, მაია დეისიძისა და ზეინაბ ბარნოვის იოლად შესამჩნევი და აუცილებლად დასამახსოვრებელი ფოტოები.

გამოფენა უჩვეულო იმითაც იყო, რომ დარბაზში ახალგაზრდა მუსიკოსების ჯგუფი "სტრინგი" ცოცხალ აკომპანიმენტს ქმნიდა. ბრიტ-პოპი ამ შემთხვევაში გამოფენისთვის არაჩვეულებრივი ფონი გამოდგა. მართალია, ხვალიდან დამთვალიერებლებს ამ ფოტოების ნახვა მუსიკის გარეშე მოუწევთ, მაგრამ მისვლა მაინც ნამდვილად ღირს.

# ქართული კულტურის ზეიმი ამერიკაში



შოთა ვაშაკიძე და ვანო ჩხიკვაძე.

ვასილ ბულეური

*საქართველოში უკვე კარგად არის ცნობილი საერთაშორისო ასოციაცია "კვალის" საქმიანობა. 18 ოქტომბერს კი, "კვალის" ინიციატივით, ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატში, რათგერსის უნივერსიტეტში ქართული კულტურის დღე გაიმართა.*

ეს დღე ნამდვილ ზეიმად იქცა არა მარტო ამერიკაში მცხოვრები ქართველებისათვის, არამედ იმ ამერიკელებისათვისაც, ვინც ქართულ კულტურას პირველად ეზიარა.

სტუმრებს მიესალმნენ დღესასწაულის ინიციატორი, ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტი შოთა ვაშაკიძე, საქართველოს ელჩი ამერიკაში ლევან მიქელაძე, საქართველოდან სტუმრად მიწვეული მწერალი ვანო ჩხიკვაძე და ამერიკის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში ჯეკ მეტლოკი.

"რასაც დღეს ეკრანზე თუ სცენაზე ვიხილავთ და მოვისმენთ, ვიცი, გულწრფელ გრძნობებს აღგვიძრავს, მაგრამ მინდა, რომ ეს გრძნობები ამ დარბაზში არ დავტოვოთ, თან გაგვყვეს და უფრო სერიოზულად დაგვაფიქროს ჩვენი ქვეყნის მომავალზე. ამერიკასავით მრავალეთნიკურმა საქართველომ იცის, რომ ჩვენი უპირველესი გადამრჩენი ერთობაა, რომლის დეფიციტიც, სამწუხაროდ, ამ დაბნეულ და დაუნდობელ დროში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა. ვიცი, სამშობლოდან გადახვეწილ ბედისმაძიებელთა გზა იოლი არ არის - ნოსტალგია, თვითდამკვიდრების პრობლემები მათ სულში მძიმე კვალს ტოვებს. სწორედ ამიტომაც მოვალენი ვართ, ყველაფერი ვიღონოთ, რათა ჩვენმა მომავალმა თაობებმა, წინამორბედების მსგავსად, სირთულისა და განსაცდელის გზით აღარ იარონ," – აღნიშნა ვანო ჩხიკვაძემ.

კულტურის დღე სხვადასხვა ღონისძიებისგან შედგებოდა. ქართული სიმღერები და ცეკვები მაყურებელს წარუდგინეს ხალხური სიმღერის ჯგუფმა ("ბოსტონი" გლენ ნიკერბოკერის ხელმძღვანელობით), მოცეკვავეთა გუნდმა ("თბილისი"), სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ("დენსინგ ქრეინზი" – "მოცეკვავე წეროები") და სხვებმა.

რათგერსის უნივერსიტეტის სტუდენტური ცენტრის ფოიეში ქართული ეროვნული კერძებით გაწყობილ სუფრასთან სხვადასხვა შტატიდან ჩამოსული ქართველი ემიგრანტები და საქართველოს ამერიკელი თაყვანისმცემლები ერთმანეთს ეცნობოდნენ.

აქვე გაიმართა ოცზე მეტი ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. მათ შორის იყო ნიკო ჩოჩელი, რომელიც მერვე წელია, ამერიკაში ცხოვრობს. მხატვარს თბილისის სამხატვრო აკადემიამ საპატიო პროფესორის წოდება, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ საპატიო დოქტორობა მიანიჭა.

საღამოს კი მსახიობმა ჯემალ მონიავამ ვანო ჩხიკვაძის პიესა-მონოლოგი "ორი მდინარის შესართავთან" წარმოადგინა (შეგახსენებთ, ამ პიესამ შარშან "კვალის" ლიტერატურულ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა).

"ქალბატონებო და ბატონებო, მაპატიეთ, მომაკვდავის სარეცელთან თავი რომ მოგიყარეთ და ამ საუკუნის ბოლო საღამო წაგართვით, მაგრამ ამდენი ყბედობით ჯიგარი რომ ავიდუღე, იცით კი, რა არის ნამდვილი ცრემლი?" – ჯემალ მონიავას გმირის ეს სიტყვები დარბაზში მყოფთ ნამდვილად არ ეხებოდა, რადგან ყველა გულწრფელი ცრემლით ტიროდა.

როგორც შოთა ვაშაკიძემ "24 საათთან" სატელეფონო საუბარში განაცხადა, ქართული კულტურის დღეს ამერიკაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და უკვე არის რამდენიმე შემოთავაზება სამომავლო პროექტების განსახორციელებლად. "ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თვითმყოფადი ქართული კულტურა გავიდეს საზღვარგარეთ, დაიმკვიდროს თავისი ადგილი ამერიკის კულტურაში. ასეთი ზეიმი პირველად გაიმართა და ძალზე მნიშვნელოვანია სამომავლოდაც მხარდაჭერა. გვინდა, ქართველი ბიზნესმენები დავაინტერესოთ. იმედია, ეს დღე ტრადიციად იქცევა ამერიკაში."

მოკლედ

## აზერბაიჯანის დელეგაცია

24 ოქტომბერს თბილისს აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი ფოლად ბიულბიულ-ოღლი აზერბაიჯანის ესტრადის ვარსკვლავებთან ერთად ეწვევა. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ზურაბ ოიკაშვილის თქმით, აზერბაიჯანელი კულტურის მინისტრი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება. პრეზიდენტი სტუმარს ღირსების ორდენით დააჯილდოებს.

ფოლად ბიულბიულ-ოღლისთან ერთად თბილისში აზერბაიჯანიდან 38-კაციანი დელეგაცია ჩამოდის. მის შემადგენლობაში არიან კულტურის ცნობილი მოღვაწეები, მათ შორის: ბრილიანტ ნატაშევა, ფაიკ აგაევი, აზერბაიჯანის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და ჩვენი თანამემამულე მანანა ჯაფარიძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია ბაქოში მოღვაწეობს. დელეგაციის წევრები თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავენ. 25 ოქტომბერს აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი მარნეულს ესტუმრება და ადგილობრივ აზერბაიჯანელებს შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის დაგეგმილია კონცერტი.

ფოლად ბიულბიულ-ოღლი საქართველოში მაისში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ავადმყოფობის გამო მისი ვიზიტი აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე გადაიდო. *ინტერ-პრესი*

## მოქანდაკეთა პლენერი ქუთაისში

გუშინ ქუთაისში საზეიმოდ დაიხურა მოქანდაკეთა მეორე საერთაშორისო პლენერი, სადაც 16 ქვეყნის მოქანდაკემ მიიღო მონაწილეობა. მოქანდაკეთა ნამუშევრები ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ბაღში განთავსდა. ყველა ქანდაკება პლენერის მონაწილეებმა საჩუქრად გადასცეს ქალაქს. აღნიშნული პროექტი ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილეს ფარგლებში განხორციელდა. *ინტერ-პრესი*

## კინოფესტივალის დიპლომანტები

საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრები ფესტივალის დიპლომებით დაჯილდოვდნენ. სტუდენტის, მაია კიკაბიძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი "წყურვილი" კიევის საერთაშორისო კინოფესტივალის – "ხავერდოვანი სეზონის" დიპლომანტი გახდა. დიპლომი მოიპოვა თამარ სულემანიძის მოკლემეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა – "პარად ამური", რომელიც წარმოდგენილი იყო "ვგიკის" 23-ე საერთაშორისო სტუდენტურ კინოფესტივალზე. კინოფაკულტეტის კიდევ ერთი სტუდენტის, ლაშა პირველის დოკუმენტური ფილმი – "იდექ მტკიცედ და ძლიერად" საბერძნეთში მიმდინარე დოკუმენტური ფილმების ფესტივალში მონაწილეობს. ფესტივალის საბოლოო შედეგები, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. ლაშა პირველის ფილმი რელიგიურ თემაზეა და საქართველოში გადაღებული დოკუმენტური მასალაა გამოყენებული. *მედია-ნიუსი*

## ევროსაბჭო კავკასიის შესახებ

სტრასბურგში გაიმართა ევროსაბჭოს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის ყოველწლიური სხდომა, რომელსაც საქართველოს დელეგაციაც ესწრებოდა. სხდომაზე შემუშავდა ერთწლიანი სამოქმედო პროგრამა, რომლის ძირითადი პრიორიტეტია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის კონვენციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და კონფლიქტის ზონებში ტექნიკური დახმარების გაწევა; ასევე, პოსტ-იუგოსლავიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

როგორც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა ტრაპაიძემ გვითხრა, ევროსაბჭო მზად არის, თბილისის ისტორიული ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები დააფინანსოს. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს დაინტერესება, რაც დიდი ინვესტიციების ჩადების მიზნით, დონორი ქვეყნების მოზიდვის წინაპირობა იქნება. *მედია-ნიუსი*

# ფოტოგრაფი ნაკლის ძიებაში


*კეტრინ ზეტა ჯონსი.*

თამარ ბაბუაძე

კეიტ მოსი ხომ ობიექტურად ლამაზი ქალია? ასევე, ობიექტურად სიმპათიური ბიჭია რობი ვილიამსი. მაგრამ, უკვე წლებია, მარიო ტესტინო მაინც მათ გალამაზებაზე ზრუნავს.

ტესტინო მოდის ყველაზე ცნობილი თანამედროვე ფოტოგრაფია. ის ლიმადან ლონდონში 1976 წელს ჩავიდა, ტრაფალგართან ახლოს, ერთ მიტოვებულ საავადმყოფოში დასახლდა და 25 ფუნტ სტერლინგად დაიწყო ახალბედა მოდელების გადაღება. შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპრებშია – ტესტინო შენიშნეს და აღაზევეს. მართალია, მან დღემდე ვერ მოიშალა პერუული აქცენტი, მაგრამ აქცენტს ვინ დაეძებს – მას ხომ მთელი შოუბიზნესი აბარია. მხოლოდ მის ფოტოკამერას ენდობა თვალდახუჭულად მადონა, კეიტ მოსი, ნაომი კემპბელი, ჯეიდ ჯაგერი, ჯონ გალიანო... მეტიც, სწორედ ტესტინომ გადაიღო მადონას პირველი ფოტო ქალიშვილ ლურდესთან ერთად...

ერთი სიტყვით, მარიო ტესტინოს იოლი საქმე აკისრია – ისინი, ვინც გარეგნული მშვენებით ბუნებამ დააჯილდოვა, კიდევ უფრო უნდა გაამშვენიეროს. მაგალითად, წაიყვანოს საგულდაგულოდ გამოპრანჭული გვინეტ პელტროუ გადასაღებ მოედანზე და ის კიდევ უფრო გამოპრანჭული წარუდგინოს მაყურებელს; გააშიშვლოს კეტრინ ზეტა-ჯონსი ობიექტივის წინ და ყველას ათქმევინოს, რომ მასზე ლამაზი ქალი არ არსებობს. ამ ყველაფრისთვის კი თვითონ ათასი მადლობა დაიმსახუროს, მოირგოს საუკეთესო ფოტოგარფის ტიტული და ისეთსავე ფუფუნებაში იცხოვროს, როგორც - მისი ფოტოების ბრჭყვიალა პერსონაჟებმა.

მაგრამ, გავიდა ხანი, მარიო ტესტინომ 50 წელს მიუკაკუნა, ბევრი ლამაზი ვარსკვლავი დაიმეგობრა, ბევრის შვილიც მონათლა და უცებ მიხვდა, რომ სილამაზე მოყირჭდა; რომ სრულყოფილება ქრონიკული დოზით აუტანელია; რომ იქნებ, ფოტოგრაფიას სულ სხვა დანიშნულება ჰქონდეს, ვიდრე პერფექციონიზმია; და ტესტინოც ნაკლის საძებნელად წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, ბევრი ათვალიერა თუ არა სამყარო, გადაწყვიტა, ფოტოზე გადაეტანა ის, რაც შეუმჩნეველია, სევდიანია, ან ტრაგიკულია. ბოლოს და ბოლოს, ის უფრო დიდი ხელოვნება არ არის, წარმოაჩინო, რაც მშვენებას მოკლებულია; ადამიანებს შთამბეჭდავად მოაჩვენო ან სულაც შეაყვარო ის, რაც, ალბათ, საზოგადოების ყურადღებას ვერასდროს ელირსებოდა? ჯერჯერობით, მარიო ტესტინო ამ ფოტოებს არავის ანახებს. თუმცა, ამ კვირაში აქვეყნებს თავის ახალ წიგნს, რომელიც, მართალია, შორს არის ნაკლოვანებებისგან, მაგრამ, ასევე, შორს არის მოდის ფოტოგრაფიისგანაც – კრებული "ბავშვები" ეძღვნება ბავშვებს - ანუ ეძღვნება სიცოცხლეს და არა ხელოვნურ, მოდურობისთვის შექმნილ სილამაზეს. თუმცა, მოდით, თავად ხელოვანს მოვუსმინოთ. ის "დეილი ტელეგრაფთან" ინტერვიუში ამბობს:

"სექტემბერში ამერიკული "ვოგისთვის" გვინეტ პელტროუ გადავიღე. იმავე ნომერში სხვა ფოტოგრაფის ფოტოესეს წავაწყდი და სწორედ მაშინ გავიფიქრე: "ღმერთო, ეს ნამუშევრები ისე ლამაზია, ჩემი კი როგორი ძველმოდურია. მე, მართალია, ვცდილობ, ფოტოებზე ადამიანებს ბუნებრიობა შევუნარჩუნო, მაგრამ ვიცი, რომ ხანდახან ჯობს, უფრო სევდიან და ჩვეულებრივ საგნებზე გავამახვილო ყურადღება"

ტესტინოს აზრით, ვარსკვლავების კაშკაშა ცხოვრება ბევრ პრობლემასაც ქმნის. "როდესაც ცხოვრების ეს სტილი ფოტოზე გადაგაქვს, ძალაუნებურად, ადამიანებს ოცნებისკენ უბიძგებ. ამ ფოტოებით ტანსაცმელს ჰყიდი იმიტომ, რომ გოგოები ფიქრობენ: "ვაიმე, მეც მინდა ასეთი ცხოვრება მქონდეს!".

ახლა ხელოვანი აკრიტიკებს სწორედ ამგვარ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას. და ამის დასამტკიცებლად ახალ წიგნს ქმნის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის.


*კრისტი ტარლინგტონი.*


*რობი ვილიამსი.*

ცხადია, წიგნი კარგად გაიყიდება – მისი ავტორი ხომ დიდი ფოტოხელოვანია. თანაც, კრებულს არც კომერციულობის ელემენტები აკლია. ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან ტესტინოს ლამაზი მეგობრების ლამაზი და ჯანსაღი შვილები – სტინგის, კეიტ მოსის, ჟასმინ გინესის, ჯუდ ლოუს ბავშვები.

თუმცა, ტესტინოსთვის სიხარული არც ამ ჯანმრთელი ბავშვების კრებულს მოაქვს. მას ახსენდება პროექტის მიზანი – სიმსივნით დაავადებული პატარების დახმარება და მაშინვე იმ ცხოვრებისეულ ნაკლსა და ტრაგიზმზე იწყებს ფიქრს, რომელიც 17 წლისამ აღმოაჩინა, მაგრამ ხმამაღლა ამაზე ახლახან ალაპარაკდა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს კრებული მას უკან, მშობლიურ პერუში აბრუნებს, სადაც 17 წლის იყო, როდესაც 10 წლის ძმა გარდაეცვალა. "საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიკვდილი ყოფილა. ჩემი საუკეთესო მეგობრებიდან ერთი შიდსით გარდაიცვალა, მეორე – ჰეროინით, მესამე ავტოკატასტროფაში დაიღუპა..."

"რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო ხშირად ფიქრობ იმ უმნიშვნელო როლზე, რასაც ცხოვრებაში თამაშობ. მე მთელი შეგნებული ცხოვრება გავატარე ისე, რომ გარშემო ყველა მაქებდა, მაგრამ როგორი კომიკურია, არა? – ერთხელაც აღარ გადაიღებ შესანიშნავ ფოტოს და ხალხიც შეწყვეტს შენს ქებას. აი, სწორედ ამ ზედაპირულმა ცხოვრებამ დამღალა. ამიტომ გადავწყვიტე, სიმსივნით დაავადებულებს დავხმარებოდი და უფრო მნიშვნელოვანი რამ მეკეთებინა, ვიდრე ფირზე სილამაზის აღბეჭდვაა".

მეტიც, მარიო ტესტინოს ეცინება, როდესაც მის ფოტოებს ხელოვნების რანგში განიხილავენ. "მე ძალიან თვითკრიტიკული ვარ. როგორც ფოტოგრაფი, თავს უბრალო მუშას თუ შევადარებდი, ანდა დიდი ჰერცოგის კარზე – რიგით ლაქიას". ეს შედარება შემთხვევითი სულაც არ არის. ტესტინოსა და ბრიტანეთის სამეფო ოჯახს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ. 1997 წელს სწორედ მარიომ გადაიღო პრინცესა დაიანას ფოტო ჟურნალისთვის Vanity Fair, რომელიც დაიანას უკანასკნელი ფოტო აღმოჩნდა... ახლახან მან ბუკინგემის სასახლის კიდევ ერთ შეკვეთაზე იმუშავა – დაამზადა საშობაო მისალოცი ბარათები პრინცისთვის, რომელზეც ჩარლზი, თავის ვაჟებთან ერთად, ოჯახურ გარემოშია აღბეჭდილი...

თუმცა, როგორც ფოტოგრაფი ამბობს, - კაშკაშა ამაოების ხანა დასრულდა. ახლა მარიო ტესტინო ფესვებს უბრუნდება – დიდი ხნის წინ მიტოვებულ პერუს მოგონებებს და გულში საიდუმლოდ შენახულ სიხარულსა და ტკივილს – ანუ ნამდვილ ცხოვრებას.




# 24-წლიანი ლოდინის შემდეგ

### თამაზ კვაჭანტირაძე: "უფალმა ინება, რეზოში შექსპირის სული ჩასახლებულიყო"

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილ ლიტერატორებსა და ლიტერატურის მოყვარულებს საზეიმო განწყობა მთელი საღამოს განმავლობაში არ განელებიათ. ბიბლიოთეკის საპრეზენტაციო დარბაზში ქართულ ენაზე შექსპირის სონეტების რიგით მეორე, ამჯერად რეზო თაბუკაშვილისეული თარგმანების გამოცემას აღნიშნავდა ყველა, "ვისთვისაც ქართულ სიტყვას ყავლი არ გასვლია" (იზა ორჯონიკიძის ფრაზის მოშველიება აქ ყველაზე დროულია, ალბათ). საზეიმო განწყობამ ერთიორად იმატა, როდესაც გამომცემელმა ბონდო მაცაბერიძემ საზოგადოებას სასიხარულო ცნობა მიაწოდა: ახლად გამოცემული წიგნი ბულგარეთში 146-დან ათი საუკეთესო წიგნის ნუსხაში მოხვდა.*

შეიძლება ითქვას, ქართულად გამოცემული "სონეტებისთვის" ასეთი აღიარებები უკვე ტრადიციულია. "სონეტების" პირველი წიგნი 1979 წელს ხომ ევროპის წიგნის ბაზარზე პირველი ადგილის მფლობელი გახდა. სწორედ ამიტომაც უჭირდა თარგმანების ავტორის რეზო თაბუკაშვილის ოჯახს, მიეღო გადაწყვეტილება წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით. "გვინდოდა, გამოგვეცა ისეთი წიგნი, რომელიც წინა გამოცემაზე ნაკლები არ იქნებოდა. აქ პირველადგილობიაზე და ოქროს მედლობიაზე კი არ არის ლაპარაკი, ან იმაზე, რომ ბურჟუაზიული შემოტევა მაქვს წიგნთან დაკავშირებით. უბრალოდ, მგონია, რომ წიგნს რაც ეკადრება, ისეთი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, ვიდრე არ მივიღე ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, მანამდე ველოდებოდი", - გვითხრა მწერალმა ლაშა თაბუკაშვილმა.


*შექსპირის სონეტები მუდმივი ბესტსელერია.*

ასეთი ოპტიმალური ვარიანტი კი თაბუკაშვილების ოჯახმა "ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობისგან" მიიღო და, თუ რატომ მიიჩნიეს შეთავაზება ოპტიმალურად, ამას ყველა მიხვდება, ვინც კი ამ წიგნს გადაშლის. თარგმანებსა და ორიგინალურ ტექსტს დართული აქვს თამაზ ჩხენკელის წინასიტყვაობა; რედაქტირება რევაზ თაბუკაშვილი უფროსის "შვილობილს" ზაზა სიამაშვილს ეკუთვნის. ერთი სიტყვით, გამოცემა სრულყოფილი გამოვიდა (გუშინ მისი შეძენა ოც ლარად შეიძლებოდა) - იმ ლიტერატურული მოვლენის საკადრისი, რასაც შექსპირის ქართული თარგმანი იმსახურებს.

რაც შეეხება წიგნის მხატვრულ ღირებულებას, ის კარგა ხანია, შეფასებულია ლიტერატურის მცოდნეების მიერ (ავტორმა თარგმანები 24 წლის წინათ შეასრულა). თუმცა, რამდენიმე სიტყვა მის შესახებ გუშინდელ პრეზენტაციაზეც ითქვა. "უფალმა ინება, რეზოში შექსპირის სული ჩასახლებულიყო", - თქვა თამაზ კვაჭანტირაძემ; ჯანსუღ ჩარკვიანმა ჩვენი ყურადღება გაამახვილა თარგმანის მაღალი დონის პოეტურობაზე: "თარგმანის წაკითხვით დარწმუნდებით, როგორი პოეტური შესაძლებლობები ჰქონდა რეზო თაბუკაშვილს"; ყველაზე მოკლედ კი წიგნის შესახებ იზა ორჯონიკიძემ ბრძანა: "ამ წიგნზე საუბარი აღარ შეიძლება, ის აღიარებული კლასიკაა". პრეზენტაციაზე ოფიციალური სიტყვის წარმოთქმისგან ბევრმა შეიკავა თავი, მათ შორის - გამომცემელმაც, რომლის მიმართ, სრულიად სამართლიანად, ყველაზე მეტი გულწრფელი კომპლიმენტი ისმოდა. "ჩვენ, უბრალოდ, გვინდოდა, დაგვემტკიცებინა, რომ შეგვეძლო ამ წიგნის გამოცემა", - თქვა გამომცემელმა ბონდო მაცაბერიძემ. ვფიქრობ, გამომცემლობამ ეს უკვე დაამტკიცა საქმით. პრეზენტაციის არაოფიციალური ნაწილი კი "ქვემოთ" გაგრძელდა, სადაც შინაურულ წრეში გაცილებით ბევრი ისაუბრეს შექსპირზე, თაბუკაშვილებზე და, ზოგადად, ლიტერატურაზე.

# ჟორდანიას ახალი პროექტი: მსაჯთა აკადემია



მომავალ მსაჯთა ლეგიონი.

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში შედგა ახლახან დაარსებული მსაჯთა აკადემიის პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფედერაციის ხელმძღვანელებმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა და თავად მსაჯებმა.

მსაჯთა აკადემიის დაფუძნებისთვის ნიადაგის შემზადებას სფფ-მ დიდი დრო დაუთმო. ფეხბურთის დონის ამაღლებისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი სწორედ მსაჯების კვალიფიკაცია და მომზადების დონეა. მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი რეფერის მომზადება კი ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით, ამ საქმის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ფედერაციის ხელმძღვანელობა დანახარჯებს არ მოერიდა და პროექტი ჯერ ფიფას და უეფას წარუდგინა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა პროექტი მოიწონეს და მის ნაწილობრივ დაფინანსებასაც სიამოვნებით დათანხმდნენ. ეს კიდევ უფრო ხაზს უსვამს პროექტის მნიშვნელობას, რადგან აკადემიის კურსდამთავრებულები მხოლოდ სფფ-ს წინაშე არ იქნებიან ანგარიშვალდებულნი. აკადემიაში სწავლების სრული კურსი ორი აკადემიური წელია. კურსდამთავრებულები საბოლოო გამოცდას ჩააბარებენ ფიფადან და უეფადან მოწვეულ სპეციალისტებს, რომლებიც გასცემენ მსაჯობის საერთაშორისო ლიცენზიას კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის სახით, რომელშიც აღნიშნული იქნება მსაჯის კატეგორია.

აკადემიის კურსანტები მხოლოდ მსაჯობის თეორიას და პრაქტიკას არ შეისწავლიან. ქართული და უცხო ენები, ისტორია, ეთიკა, ფსიქოლოგია ის დისციპლინებია, რომელთა ცოდნა 21-ე საუკუნის პროფესიონალი ქართველი მსაჯისთვის აუცილებელი იქნება. ლექციებს წაიკითხავენ საქართველოში მაღალი ავტორიტეტისა და კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები. აკადემიის გახსნის ინიციატორთა თქმით, მსაჯმა მარტო სასტვენის ხმარება არ უნდა იცოდეს. უცხოეთში წასვლისას (ეს შანსი კი წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ხშირად მიეცემათ) ქართველი მსაჯი თავისი ქვეყნის ელჩი უნდა იყოს და საქართველო ღირსეულად წარმოაჩინოს.

მსაჯთა აკადემიის პირველი, 20-კაციანი ნაკადი საქართველოს უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგების მომსახურე მსაჯებისგან კონკურსის წესით შეირჩა. სწავლება წარიმართება სპორტის აკადემიის აუდიტორიებში. პოსტსაბჭოურ სივრცეში ამ აკადემიას ანალოგი არ მოეძებნება.

მერაბ ჟორდანია: "მსაჯთა აკადემიის გახსნა, მართლაც, ისტორიული მოვლენაა ქართული ფეხბურთისთვის. ეს იდეა ჯერ კიდევ ნოდარ ახალკაცს გაუჩნდა, მაგრამ მისი განხორციელება არ დასცალდა. მსაჯობის დონის ამაღლება პირდაპირ კავშირშია ფეხბურთის განვითარებასთან და მიმაჩნია, რომ ამ კუთხით ერთი უზარმაზარი ნაბიჯი გადაიდგა. ფიფა და უეფა მხარს გვიჭერენ ამ იდეის განხორციელებაში. სიძვირის მიუხედავად, ფედერაცია მზად არის, ეს პროექტი მუდმივად დააფინანსოს."

## TV სპორტი

**ხუთშაბათი. 23 ოქტომბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "გლაზგო რეინჯერსი" – მანჩესტერ იუნაიტედი"
14:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "აიაქსი" – "სელტა"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლუმინენსე" – "კორინთიანსი"
18:00 ჩემპიონთა ლიგა. "მარსელი" – "პორტუ"
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:20 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:50 ჩემპიონთა ლიგის დღიური
22:50 "FUTBOL MUNDIAL"
23:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლუმინენსე" – "კორინთიანსი"
01:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:00 02:00-დან 13:00-მდე შესვენება
04:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფლუმინენსე" – "კორინთიანსი"

**НТВ + СПОРТ**

07:30 07:30-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 15:45, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" - "TORONTO MAPLE LEAFS"
14:15 ათენის გზაზე
15:15 "Power week - NHL-ის კვირა"
16:00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (17:30) "NHL – პლუს"
19:00 "ჩქაროსნული სამყარო"
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "St.Petersburg Open". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 "კიდევ ერთი კვირა გავიდა"
23:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
00:15 "სპორტის აკვატორია"
00:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური აშშ-ში
01:15 ახალი ამბები
01:30 წრიული ავტორბოლები
02:30 ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი. "Tournoi de Paris 2003"
03:30 "ჩქაროსნული სამყარო"
04:00 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE AMERICA". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
12:30 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი ფინეთში
13:30 ATP ტურნირი შვეიცარიაში
15:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
17:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში
20:00 ATP ტურნირი შვეიცარიაში
21:00 ATP ტურნირი შვეიცარიაში
22:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრიაში
23:00 ATP ტურნირი შვეიცარიაში
00:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:45 ავტოსპორტის სიახლენი
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
03:00 ფეხბურთი. უეფა
04:45 ავტოსპორტის სიახლენი.

ფეხბურთი

# ეს ჩემპიონთა ლიგაა

გუშინ "აიბროქსზე" ნამდვილი სპექტაკლი მოეწყო. შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის მონაწილეობით გლაზგოელ კათოლიკეთა სიამაყე "რეინჯერსი", პირველად თავისი ხანგრძლივი არსებობის ისტორიაში, "მანჩესტერ იუნაიტედს" დაუპირისპირდა. ოღონდ ეგ არის, ამ სპექტაკლში ქართველმა ფეხბურთელებმა მთავარი როლი ვერ შეასრულეს. ეს ფუნქცია ფორტუნამ მანჩესტერელ ფილ ნევილს არგუნა, რომელიც სამართლიანად გახდა სერ ალექს ფერგიუსონის გაჭირვების ტალკვესი.

ფილ ნევილმა მატჩის დებიუტში ვან ნისტელროოისთან გაათამაშა ბურთი, ჩამოიცილა მცველები და მოულოდნელი დარტყმით ერთადერთი, სერ ალექსისთვის ნუგეშისმყოფელი, გოლი გაიტანა. შოტლანდიელებმა თავი არ დაზოგეს. შოთა არველაძეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა. ვანოლი და ლოვენკრანდსიც სახიფათოდ ურტყამდნენ, მაგრამ ის დღე "მანჩესტერ იუნაიტედის" იყო. ფორტუნამ ასე განსაჯა და რამდენს არ ეცადნენ გლაზგოელები, ჰოვარდის კარს ვერაფერი დააკლეს.

მატჩის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონი კმაყოფილი ჩანდა. "ჩემთვის მთავარი სამი ქულა იყო. მიზანს მივაღწიეთ და თამაშის ხარისხს არ ვჩივი" - განაცხადა მანჩესტერელთა თავკაცმა. "რეინჯერსს" კი ცუდად აქვს საქმე. "შტუტგარტმა" საკუთარ მინდორზე შანსი არ დაუტოვა საბერძნეთის "პანათინაიკოსს" და ინგლისელებთან ერთად 6 ქულით სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს.

არ გამართლდა ქართველი გულშემატკივრების მოლოდინი, რომლებიც შოტლანდიელთა შეუპოვრობაზე დებდნენ ფსონს და ინგლისელთა გამარჯვებაც სათუოდ ეჩვენებოდათ. ბრიტანული დაპირისპირება კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო იმ მოსაზრების, რომ თანამედროვე ფეხბურთში მარტო შეუპოვრობა ვერაფერი ნუგეშია ეგრეთ წოდებული "მეორე ეშელონის" გუნდებისთვის.

"მანჩესტერ იუნაიტედმა" წასაგები უკვე წააგო. ასეთი დონის გუნდი კი თავს უფლებას არ მისცემს, ერთიდაიგივე შეცდომა ორჯერ გაიმეოროს. სწორედ ეს მოხდა "აიბროქსზე" და კლასით აღმატებულმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" "გლაზგო რეინჯერსი" დაამარცხა. ამ შემთხვევაში საფეხბურთო ლოგიკამ თავისი გაიტანა, მაგრამ მილანში აბსოლუტურად საპირისპირო სურათი ვიხილეთ.

კარლო ანჩელოტის, ალბათ, კარგა ხანს ემახსოვრება 33-ე წუთზე გატანილი მენდოზას გოლი. ამ გოლმა "მილანის" უძლეველობის მითი გაացამტვერა. ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი ბელგიის "ბრიუგემ" დაამარცხა. "ეს ნამდვილი კოშმარი იყო" – ამბობს ანჩელოტი - "მაგრამ, არ შეიძლება, მარცხი ტრაგედიად აღვიქვათ. იმედი მაქვს, ბელგიელებმა ჭკუა გვასწავლეს". "მილანი" სამი ტურის შემდეგ, მოულოდნელად მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა და თუ ბელგიაშიც უსუსურად ითამაშებს, დაკარგულის ანაზღაურება ძალიან გაუჭირდება.

მეორე ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მარსელის "ველოდრომზე" მარსელის "ოლიმპიკმა" იგემა. "პორტუელებმა" - მანიშემ, დერლეიმ და ალენიჩევმა სამი გოლი გაუტანეს ფრანგებს და სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზე გადაინაცვლეს. ეს მატჩი უაღრესად უხეში გამოდგა. მსაჯი იძულებული გახდა, ფეხბურთელთათვის რვა ყვითელი ბარათი ეჩვენებინა. რაც შეეხება ჯგუფის ფავორიტ მადრიდის "რეალს", სამეფო კლუბმა რაულის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა ბელგრადის "პარტიზანი" და, ფაქტობრივად, გაინაღდა მერვედფინალის საგზური.

მესამე ტურის ერთ-ერთი საინტერესო მატჩი ლონდონში გაიმართა. "ჩელსი" თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში აგებდა რომის "ლაციოსთან" შეხვედრას, მაგრამ ფრენკ ლამპარდისა და რუმინელი ადრიან მუტუს გოლებით მაინც მოიგო. ამ ჯგუფის კიდევ ერთ შეხვედრაში ჩეხეთის "სპარტამ" თურქეთის "ბეშიქთაში" დაამარცხა და მეორე ადგილზე აინაცვლა. სატურნირო ცხრილს კი 6 ქულით "ჩელსი" ლიდერობს.



შოთა არველაძემ ბევრი იბრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა.

REUTERS

| E ჯგუფი | | |
|---|---|---|
| რეინჯერსი | 0-1 | მანჩესტერი |
| შტუტგარტი | 2-0 | პანათინაიკოსი |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| 2 | მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| 3 | რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 4 | პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

| F ჯგუფი | | |
|---|---|---|
| რეალი | 1-0 | პარტიზანი |
| მარსელი | 2-3 | პორტო |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| 2 | პორტო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| 3 | მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| 4 | პარტიზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

| G ჯგუფი | | |
|---|---|---|
| ჩელსი | 2-1 | ლაციო |
| სპარტა | 2-1 | ბეშიქთაში |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| 2 | სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 3 | ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 4 | ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

| H ჯგუფი | | |
|---|---|---|
| აიაქსი | 1-0 | სელტა |
| მილანი | 0-1 | ბრიუგე |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| 2 | ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 3 | მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| 4 | სელტა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |

# რაული: „ფეხბურთს 60 წლამდე ვითამაშებ"

აკა ტონია

*ბელგრადის "პარტიზანთან" გუშინდელი მატჩის წინ მადრიდის "რეალის" კაპიტანმა რაულმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ჩემპიონთა ლიგაში სამეფო კლუბის შანსებსა და თავის კონტრაქტზეც ისაუბრა.*

**- რომელი გუნდები მიგაჩნია ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად?**

- ესპანეთი და იტალია ჩემპიონთა ლიგაში უძლიერესი გუნდებით არიან წარმოდგენილი. არ უნდა დავივიწყოთ "ბაიერნი" და "მანჩესტერი". აი, ეს გუნდები არიან ფინალში გასვლის კანდიდატები. ასე რომ, ყურადღების მოდუნების უფლება არ გვაქვს.

**- მადრიდის "რეალს" ახლა საუკეთესო პერიოდი უდგას?**

- "ვალენსიასთან" განცდილი მარცხის გამო ჩვენი მისამართით კრიტიკა გაისმა, თუმცა, მას შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, ისევე როგორც უკანასკნელი შეხვედრა "სელტასთან". ახლა ჩვენ გრძელი გზის დასაწყისში ვართ. მომავალს დიდი იმედით ვუყურებთ.

**- სალგადო, რობერტო კარლოსი... გუნდისთვის აჯობებდა, რომ ამ ფეხბურთელების კონტრაქტებთან დაკავშირებული საკითხები უკვე მოგვარებული ყოფილიყო.**

- ეს კარგი იქნებოდა გუნდში სიმშვიდის შეტანის თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და ასეთ სიტუაციებს უნდა შევეგუოთ. მიმდინარე სეზონში მსგავს მდგომარეობაში ორისამი ჩვენი თანაგუნდელია, მომავალ წელს მათ ადგილას სხვები იქნებიან. თითოეული ფეხბურთელი ცდილობს, საკუთარი მომავალი გარკვეული ჰქონდეს. გუნდის სიმშვიდისთვის კარგი იქნება, ყველაფერი მალე გადაწყდეს, რათა ჩვენ მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქროთ.

**- პირადად შენ გაუგრძელებდი კონტრაქტს სალგადოს?**

- ის მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. მასთან დაკავშირებით არასოდეს ყოფილა ორი აზრი, ორივე გუნდში ის შეუცვლელია. ჩემს გუნდში სალგადოს აუცილებლად ვიყოლიებდი. შექმნილ სიტუაციაში მოლაპარაკებაა საჭირო. მხარეები უნდა შეთანხმდნენ. იმედია, სალგადო ჩვენთან დარჩება.

**- ცოტა ხნის წინათ ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ სიამოვნებით დაუდებდა სამუდამო კონტრაქტს რაულს. შენ როგორ მოგწონს ეს იდეა?**

- ახლა არ ვიცი, თუმცა, გავა დრო და ამ თემაზეც მოგვიწევს საუბარი. სიმშვიდე რომ შევინარჩუნოთ, კონტრაქტის საკითხს მალე მოვაგვარებთ. არ მინდა, ამ თემაზე თვეების განმავლობაში ისაუბრონ. ვალდანოს იდეა ძალიან მომწონს. ასე რომ მოხდეს, ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან გამოვა, რომ კარიერას "რეალში" დავასრულებ. ამაზე კი მას შემდეგ ვოცნებობ, რაც აქ მოვედი, უკვე ცხრა წელიწადია.

**- უკანასკნელ ხანს მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებს სხვადასხვა კლუბის პრეზიდენტები თავისკენ ექაჩებიან. ხომ არ შიშობ, რომ შემადგენლობა დაიშლება?**

- ამის საშიშროება ჯერ არ გვემუქრება. პირადად მე ზუსტად ვიცი, თუ რა მინდა მომავალში. ის, რომ კლუბებს საუკეთესო ფეხბურთელების შეძენა სურთ, სავსებით ნორმალურია. ჩვენი გუნდიდან შეიძლება არჩევა, რადგან აქ ბევრი უდიდესი ფეხბურთელი თამაშობს.

**- ოდესმე თუ გაგჩენია სხვა ქვეყნის ჩემპიონატში თამაშის სურვილი?**

- ასეთი რამ აზრად არ მომსვლია. ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა ის, რომ "რეალში" 14-15 წლის მანძილზე შევძლო თამაში. კლუბის მოთხოვნები დღითიდღე იზრდება. აქ არავინ არაფერს გაჩუქებს. თუ აქ თამაშობ, ესე იგი, იმსახურებ. ხოლო თუ შენს საქმეს ცუდად აკეთებ, კრიტიკის ქარცეცხლში ექცევი. ამიტომაც ვფიქრობ, შესანიშნავი იქნება, თუ კარიერას "რეალში" დავამთავრებ. მაგრამ ეს საკითხი ჯერ არ წამომიწევია. მინდა, დღევანდელი დღით ვიცხოვრო. "რეალში" გატარებული ცხრა წლით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- რობერტო კარლოსი ამბობს, რომ 39 წლამდე სურს ფეხბურთის თამაში. შენ როდემდე აპირებ თამაშს?**

- 60 წლამდე. წარმომიდგენია, რა დაემართებათ ჩემს მეგობრებს *(იცინის)*. როდესაც პროფესიონალურ დონეზე თამაშობ, უამრავი ფაქტორი უნდა გაითვალისწინო, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ კიდევ 5-6 წლის განმავლობაში მაღალ დონეზე შევძლებ თამაშს. მერე ვნახავ, როგორ წავა საქმეები...

**- უკანასკნელ ხანს საუბრობდნენ, რომ "ოქროს ბურთის" მთავარი პრეტენდენტი პაოლო მალდინია. შენც ასე ფიქრობ?**

- მისი ბრწყინვალე კარიერიდან გამომდინარე, ფავორიტი ჩემთვისაც მალდინია. გასულ წელს მან ჩემპიონთა თასიც მოიგო. ვფიქრობ, მისი კანდიდატურა საუკეთესოა. ის არის ფეხბურთელი, რომლითაც ბავშვობიდან აღფრთოვანებული ვარ. ყოველთვის ვცდილობდი, საკუთარი თავი მალდინისთვის შემედარებინა. ის მუდამ ერთი და იგივე გუნდში თამაშობს. დროა, ეს დააფასონ.

*გუშინვე ცნობილი გახდა, რომ რაულმა სამეფო კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა - 2010 წლამდე...*



რაული არ ბერდება.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** რუსული საინფორმაციო სააგენტოები ისევ ავრცელებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ მოსკოვის "დინამოსა" და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელის დიმიტრი ბულიკინის შეძენა რამდენიმე იტალიურ კლუბს სურს. ჩვენი რუსი კოლეგები ფეხბურთელის მსურველთა შორის უმთავრესად "მილანს" ასახელებდნენ, თუმცა, ახლა ბულიკინით დაინტერესებულთა სიაში მილანის "ინტერსაც" მოიხსენიებენ. ამბობენ, რომ "ინტერის" წარმომადგენლები უკვე იყვნენ "დინამოს" ოფისში. კლუბის ხელმძღვანელობა თანახმაა, ბულიკინის სანაცვლოდ ორი მილიონი ევრო გაიღოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლოკომოტივისა" და "ინტერის" მატჩის შემდეგ მოსკოველმა სამართალდამცავებმა "ლოკომოტივის" 90 გულშემატკივარი დააპატიმრეს. მილიციის ხელმძღვანელობის განცხადებით, ისინი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. აღინიშნა, რომ რუს და იტალიელ გულშემატკივრებს შორის არავითარი შეხლა-შემოხლა არ მომხდარა. მოსკოვში 200 მილანელი გულშემატკივარი იყო ჩასული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "მილანი" კვლავინდებურად დაინტერესებულია ამსტერდამის "აიაქსის" მცველის, ჰატემ ტრაბელსის შეძენით. ამ ფეხბურთელის კონტრაქტი მომავალ წელს იწურება, თუმცა, ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ამსტერდამელებს 2006 წლამდე შუძლიათ მისი გაგრძელება. "მილანი" უკვე კარგა ხანია, მცველის ძიებაშია, თუმცა, ტრაბელსის მიმართ იტალიელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ, დილით, მილანის "ინტერმა" თავისი ახალი მწვრთნელი წარადგინა. კლუბის კუთვნილ "აპიანო ჯენტილეს" საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტებს ალბერტო ძაკერონი შეხვდა. "არ მინდა იმაზე ფიქრი, თუ რა ხდებოდა დღევანდელ დღემდე. კარგად ვიცი, რომ ჩემპიონატის ლიდერს შვიდი ქულით ჩამოვრჩებით და ამის გამოსასწორებლად ბევრი მუშაობა მოგვიწევს", - განაცხადა ძაკერონიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია ისევ ვერ იღებს გადაწყვეტილებას, დასაჯოს თუ არა რიო ფერდინანდი. "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა იმ მიზეზით, რომ, უბრალოდ, დაავიწყდა. ფედერაციის ხელმძღვანელობა ახლა მისი მობილური ტელეფონის ზარების გადამოწმებას აპირებს. ჩინოვნიკებს სურთ, გაიგონ, მართლა გამორთული იყო თუ არა ფერდინანდის ტელეფონი მაშინ, როცა მას "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა ეძებდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელი მეჰმეტ შოლი უკმაყოფილოა, რომ სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. "ორწელიწადნახევარია, ტრავმებს ვებრძვი. ძალიან დავიღალე. ახლა ჩემს შანსს ველი. როცა ძირითადი შემადგენლობის რომელიმე ფეხბურთელი დაშავდება, ალბათ, მეც მომეცემა თამაშის საშუალება. ადრე პირიქით იყო: სხვები ელოდებოდნენ შემადგენლობიდან ჩემს ამოვარდნას. ეს ყველაფერი ძალიან ძნელია", - განაცხადა შოლმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პატრიკ კლუივერტმა განაცხადა, რომ "ბარსელონადან" წასვლა არ უნდა. უკანასკნელ ხანს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჰოლანდიელი თავდამსხმელის შეძენას "ნიუკასლი" აპირებდა. "ახლა არ მინდა, "ბარსელონადან" წავიდე. მაგრამ გულშემატკივარი მისტვენს. თუ ასე გაგრძელდა, ჩემს აქ დარჩენას აზრი აღარ ექნება. გადამწყვეტ როლს სწორედ გულშემატკივრები შეასრულებენ. თუ მაგრძნობინებენ, რომ ჩემი წასვლა უნდათ, მაშინ "ბარსას" მივატოვებ", - განაცხადა კლუივერტმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა რონალდომ საჯაროდ განაცხადა, რომ ბედნიერია მილანის "ინტერიდან" კუპერის გაძევების გამო. "ძალიან მიხარია, რომ კუპერი გაათავისუფლეს. მისი აქ ყოფნით "ინტერმა" ისედაც ბევრი დაკარგა, განსაკუთრებით შეტევაში", - განაცხადა რონალდომ. ზოგი მიიჩნევს, რომ კუპერის გადადგომის გამო "ინტერში" რონალდოს დაბრუნებაც არ არის გამორიცხული, თუმცა, თავად ფეხბურთელმა ეს მოსაზრება უარყო: "მადრიდში თავს ბედნიერად ვგრძნობ და "რეალში" დიდი გეგმები მაქვს". რონალდო 2002 წლის ზაფხულში "ინტერიდან" "რეალში" გადავიდა და მას შემდეგ განუწყვეტლივ აკრიტიკებდა ექტორ კუპერს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "ბლექბერნ როვერსის" მწვრთნელმა, გრემ სუნესმა განაცხადა, რომ კლუბის ტრინიდადელმა ფორვარდმა დუაიტ იორკმა, შესაძლოა, "ბლექბერნი" მიატოვოს. საქმე ის არის, რომ 32 წლის თავდამსხმელს სუნესი უკვე შემცვლელადაც აღარ უშვებს მოედანზე. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ ვარსკვლავს კი, ცხადია, სათადარიგოთა შორის ყოფნა არ ხიბლავს.

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** "გოლდენ სტეიტის" შემტევი მცველი ნიკ ვან ექსელი სამ მატჩს გამოტოვებს. სწორედ ეს დრო დასჭირდება მას ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისთვის (კალათბურთელს მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს). ვან ექსელმა 13 ოქტომბერს, სეზონის პირველ ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** სპრინტში ევროპის ჩემპიონმა, ინგლისელმა დუეინ ჩემბერსმა დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა. ანალიზებმა სპრინტერის ორგანიზმში აღმოაჩინეს ტეტროჰიდროგესტრინონი (ამ ნივთიერების აღმოჩენა ახლო წარსულში შეუძლებელი იყო). შეგახსენებთ, რომ სამშაბათს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) გადაწყვიტა, განმეორებით აიღონ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე მძლეოსანთა შარდის ანალიზი, რადგან ექიმებმა ტეტროჰიდროგესტრინონის აღმოჩენის საშუალება ახლახან იპოვეს. დიდი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის ოფიციალური რეაქცია ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**კრივი.** ხვალ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართება ბრძოლა სუპერსაშუალო წონით კატეგორიაში. რინგზე გამოვლენ WBC-ის ვერსიით ინტერნაციონალური ჩემპიონი, დანიელი მიკელ კესლერი (31-0) და კოსტარიკელი ჰენრი პორასი (25-1). მეტოქეები გაითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის ოფიციალურ უფლებას მსოფლიო ჩემპიონთან, გერმანელ მარკუს ბაიერთან შესახვედრად.

■ ■ ■

**კრივი.** მომავალი წლის თებერვალში, შესაძლოა, დამაინტრიგებელი ჩხუბის მოწმენი გავხდეთ. ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან WBC-ის ვერსიით სუპერქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი ხესუს ჩავესი და იმავე ვერსიით ქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი ერიკ მორალესი. მანამდე კი, 21 ნოემბერს, ჩავესი კიდევ ერთ ბრძოლას გამართავს. ახლახან გაირკვა მისი მეტოქე – 30 წლის უგანდელი ჯასტინ ჯუკო. ჩავესი პირველად დაიცავს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, რომელიც მან 15 აგვისტოს მოიპოვა (ქულებით დაამარცხა ტაილანდელი სირიმონგკოლ სინგმანასუკი).

■ ■ ■

**ფორმულა 1.** იაპონურმა კომპანია "ბრიჯსტოუნმა" გადაწყვიტა, გააგრძელოს თავისი მოღვაწეობა ფორმულა 1-ში. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის სეზონის შუაგულში კომპანია კრიზისში ჩავარდა. ყველა ფრონტზე დამარცხდა კონკურენტ "მიშელინთან" პაექრობაში და სამეფო რბოლებიდან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 54-ე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე "ბრიჯსტოუნმა", "ფერარისთან" ერთად, არა მარტო ჩემპიონის ტიტული, არამედ კონსტრუქტორთა თასიც მოიგო, კონცერნის ხელმძღვანელობამ დაუფიქრებლად გადაწყვიტა, ფორმულა 1-ში დარჩეს. ოღონდ, რამდენი ხნით, ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "კალგარის" მეკარე რომან ტურეკი ორ-ოთხ კვირას გამოტოვებს. შაბათს, "ბუფალოსთან" მატჩში, ჩეხმა მეკარემ ტრავმა მიიღო. მას შემდეგ, რაც კოტალიკის დარტყმისას საკუთარი გუნდის გადარჩენას შეეცადა, ის ყინულზე უხერხულად დაეცა. უახლოეს პერიოდში "კალგარი ფლეიმზის" კარს ჯეიმი მაკლენანი დაიცავს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ტორონტოს" ხელმძღვანელობამ გაყიდა "მეიპლ ლიფზ გარდენზის" სტადიონი, რომელზეც კლუბმა 1931 წელს პირველი მატჩი გამართა. ამიერიდან არენის მფლობელია კანადური კომპანია Loblaw-ი, რომელიც ყოფილი სპორტის სასახლის ადგილზე პროდუქტების დიდი მაღაზიის გახსნას აპირებს. ახალმა მფლობელებმა პირობა დადეს, რომ ისტორიულ შენობას პატივისცემით მოეპყრობიან.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** 2004 წლის მაისში საბერძნეთის ჰერას ტაძარში ოლიმპიური ჩირაღდანი აინთება. სამი თვის განმავლობაში ესტაფეტა 24 ქვეყნის 30 ქალაქს შემოივლის, იმ ქალაქებს, რომლებშიც ოდესმე ოლიმპიური თამაშები გამართულა. ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშების გახსნისთვის კი საბერძნეთში დაბრუნდება.

■ ■ ■

**ფიგურული სრიალი.** 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა მარგარიტა დრობიაზკომ და პოვილას ვანაგასმა გადაწყვიტეს, სამოყვარულო სპორტში დაბრუნდნენ და 2006 წელს თავისთვის მე-5, ტურინის ოლიმპიურ თამაშებში მიიღონ მონაწილეობა. კვალიფიკაციის გასავლელად ფიგურისტებს ჯერ 2005 წელს მოსკოვის ყინულზე მოუწევთ გამოსვლა. ერთ-ერთ ინტერვიუში ლიტველმა ფიგურისტებმა აღიარეს, რომ მათ ქვეყანაში არ მოიძებნება ბევრი სპორტსმენი, რომელიც ზამთრის სახეობებში წარმატებით გამოდის, ამიტომ სურვილს, ყინულზე კვლავ იხილონ სახელოვანი წყვილი, სავსებით შესაძლებელია, სახალხო ვუწოდოთ.

## ოლიმპიზმი

# მარიო პესკანტეს თავი ზღაპარში ჰგონია

გიგა გურასაშვილი

12-22 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობითა და ოლიმპიური ფონდის შემწეობით საქართველო ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობდა. ფესტივალის მიზანი იყო, ახალგაზრდა თაობებისთვის შეეხსენებინა ადრეული წარმატებები.

ოლიმპიური ფესტივალის პროგრამა დატვირთული იყონაირგვარი სემინარებით, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებითა და გამოფენებით. ყველაფერ ამას სტარტი მიეცა ოლიმპიურ ჩემპიონთა ლაშქრობით ხდის ხეობაში (ამის შესახებ ჩვენ თავის დროზე ვიუწყებოდით). ყაზბეგში, ხდის ხეობის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი "საქართველოს ოლიმპიელის" სახელით უნდა მონათლულიყო. ექსპედიციამ საპატიო მისია შეასრულა. დღეის იქით კავკასიონის სხვა მწვერვალებს შორის "საქართველოს ოლიმპიელიც" იარსებებს.

გუშინ, ფესტივალის დასკვნით დღეს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ყველა თაობის ოლიმპიელები შეიკრიბნენ. საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის დაფუძნებასა და განმტკიცებაში, ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა საერთაშორისო ასპარეზობებში მიღწეული წარმატებებისთვის ოლიმპიური ორდენებით დააჯილდოეს ჩვენი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი, რამდენიმე



*ნანა ალექსანდრია მარიო პესკანტეს ოლიმპიელ ქალთა სტენდს ათვალიერებინებს.*

ოლიმპიურ ჩემპიონს კი ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი გადაეცა. ამ ორდენით (გარდაცვალების შემდეგ) დაჯილდოვდნენ: ნუგზარ ასათიანი, გივი კარტოზია, ვიქტორ კრატასიუკი, ავთანდილ ქორიძე, მირიან ცალქალამანიძე.

დახურვის ცერემონიალს პატივი დასდო საქართველოს პრეზიდენტმაც. ბადრი პარტარკაციშვილის მოწვევით აქვე იყო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი. ბუნებრივია, სტუმართა შორის მრავლად იყვნენ სპორტში მოღვაწე ცნობილი პიროვნებებიც. ოლიმპიურ ფესტივალს ესწრებოდნენ ევროპის ოლიმპიურ ასოციაციათა პრეზიდენტი, იტალიის სახელმწიფო მდივნის მოადგილე სპორტის დარგში მარიო პესკანტე, ამავე ასოციაციის გენერალური მდივანი და ირლანდიის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი, ყალმუხეთის რესპუბლიკისა და, იმავდროულად, ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი, სომხეთის ეოკ-ის პრეზიდენტი და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იშხან ზახარიანი. აზერბაიჯანიდან კი გვეწვია ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ჩინგიზ ჰუსეინზადე. აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენები რომ არა, ალბათ, პრეზიდენტიც მიიღებდა მოწვევას. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანის ეოკ-ის პრეზიდენტი ამჟამად უკვე საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ილხამ ალიევია.

გუშინდელ ღონისძიებას უნდა დასწრებოდნენ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები, ამჟამად ავსტრალიაში მცხოვრები ვიქტორ სანეევი და საბერძნეთის სახელით მოასპარეზე კახი კახიაშვილი. სანეევი ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა, ხოლო კახიაშვილს შემოუთვლია, მეოთხე ოლიმპიური ოქროსთვის ვემზადებიო.

"კარგად ვიცნობ ვიქტორ სანეევს, - გვეუბნება მარიო პესკანტე. – აღფრთოვანებული ვარ მისი მიღწევებით. იგი მარტო ქართული სპორტის ისტორიის ნაწილი კი არ არის, მსოფლიო სპორტის სიმბოლოცაა. რაც შეეხება ჩვენს ვიზიტს, მინდა გითხრათ, რომ ძალიან გვინდოდა, ქართული სპორტისთვის დაგვედო პატივი. ამასთან, გვსურს, ოლიმპიურ მოძრაობაში მიღებული გამოცდილებები გავუზიაროთ ერთმანეთს. ამჟამად ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ევროპაში ოლიმპიური ღირსებები აღვადგინოთ. იმედი გვაქვს, ამ თვალსაზრისით თქვენგანაც ბევრ რამეს ვისწავლით, რადგან საქართველოს მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს. ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ გვინდა, მჭიდრო კავშირი დამყარდეს საქართველოსა და დანარჩენ ევროპას შორის. მით უმეტეს, რომ თქვენი ქვეყანა ევროპის უკიდურესი საზღვარია. ამ ვიზიტის შემდეგ საქართველო ევროპის ცენტრში მოექცევა. პირველი შთაბეჭდილებით კი თავი ზღაპარში მგონია".

ერთი სიტყვით, გუშინ, საღამოს, ფესტივალი დაიხურა. მანამდე კი სტუმრებს შეხვედრები ჰქონდათ სეოკ-ში. მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეშიც დაესწრნენ სემინარს "ქალები და სპორტი საქართველოში გუშინ, დღეს, ხვალ".

სემინარს დაესწრნენ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი.

მოგვიანებით უცხოელი სტუმრები კანცელარიაში ედუარდ შევარდნაძესაც შეხვდნენ.

ახლა კი იმაზე, თუ რას მოიცავდა ფესტივალი. პროგრამა, როგორც უკვე ვთქვით, მრავალფეროვანი გამოდგა.

გუშინვე ჩატარდა სემინარი "მასმედია და ოლიმპიური მოძრაობა". შეხვედრას მასპინძლობდნენ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და "ლელოს" რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე. მათ სინანულით აღნიშნეს ის, რომ დღეს სპორტში მოღვაწე ჟურნალისტებს, უფრო სწორად, გაზეთებს არა აქვთ იმის საშუალება, რომ საკუთარი კორესპონდენტი მიავლინონ ამა თუ იმ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებაზე, ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიურ თამაშებზე. "კარგი იქნება, თუ ამ მხრივ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება", – აღნიშნეს სემინარის მასპინძლებმა.

## ჩოგბურთი

# სეზონი მთავრდება, მზადება იწყება



სანდრო ნავერიანი

მართალია, დიდი სლემის და მასტერსის ტურნირები წლეულს აღარ იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჩოგბურთო სამყარომ სუნთქვა შეწყვიტა. სწორედ ახლა, როდესაც სეზონი დასასრულს უახლოვდება, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ფული გააკეთოს და ფორმა შეინარჩუნოს მომავალი სეზონისთვის, რათა მასტერსის და დიდი სლემის ტურნირებზე წარმატებით გამოვიდნენ. სწორედ ამ ტურნირებზე, რომლებიც ბაზელში, სტოკჰოლმსა და პეტერბურგში ტარდება, კარგად ჩანს, თუ ვინ რა ძალის პატრონია. ზოგიერთი ჩოგბურთელი ვერ არის სათანადოდ მომზადებული იმისთვის, რომ მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატაროს, ზოგი კი საერთოდ ვერ უძლებს ამხელა დატვირთვას და, როდესაც გგონია, ესა თუ ის ჩოგბურთელი ამა თუ იმ ტურნირის ფავორიტია, თურმე ვცდებით, იმიტომ რომ ჩვენც სათანადოდ ვერ ვაფასებთ მათ ფიზიკურ მომზადებას. მაგალითად, სტოკჰოლმის ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა სიენგ შალკენმა, რომელიც მსოფლიო რეიტინგით ოცეულში იცვლის ადგილებს, შეხვედრა დათმო ამერიკელ ტეილორ დენტთან, რომელიც 50 საუკეთესოშიც კი არ შედის. ასევე, ამ ტურნირს გამოეთიშა არგენტინელი მარიანო ზაბალეტა, რომელიც მეექვსე ნომრად იყო განთესილი.

რა თქმა უნდა, ყველა ასე არ არის. მათ შორის, არც როჟე ფედერერი, რომელიც აღარაფერს ერიდება და დაამარცხა თავისივე ნაკრების კაპიტანი მარკ როსეტი, რომელთან ერთადაც დევისის თასის გათამაშებაზე გამოდის. ტურნირზე, რომელზეც ფედერერი გამოდის და რომელიც ბაზელში ტარდება, პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელები შეიყარნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირი ფედერერის სამშობლოში მიმდინარეობს, უპირველეს ფავორიტად მაინც ენდი როდიკი ითვლება, შემდეგ მოდიან შვეიცარიელი და ორი არგენტინელი - გილიერმო კორია და დევიდ ნალბანდიანი. დანარჩენებიც საკმაოდ ძლიერები არიან, მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ პირველობისათვის ეს ოთხი გრანდი იბრძოლებს.

პეტერბურგის ტურნირს გამოეთხოვა მარატ საფინი, რომელმაც წყვილთა თანრიგში შარშანდელი პარტნიორი, ქართველი ირაკლი ლაბაძე აირჩია. შარშან ეს წყვილი ფინალში დამარცხდა. იმედია, წლეულს შედეგის გაუმჯობესებას შეეცდებიან. თუ ეს გამოუვიდათ, ირაკლი ლაბაძე პეტერბურგის ტურნირის ერთ-ერთი ტრიუმფატორი გახდება, რაც ჩვენთვის დიდად სასიხარულოა. ამ ტურნირის ფავორიტმა და შარშანდელმა გამარჯვებულმა, ფრანგმა სებასტიან გროსჟანმა ავსტრალიელი სტეფან კუბეკი დაამარცხა. როგორც ჩანს, პირველ ადგილს ფრანგი გროსჟანი და გერმანელი შუტლერი შეეცილებიან ერთმანეთს, რადგან ამ ჩოგბურთელების დამარცხება სხვას არავის შეუძლია.

ქალთა ტურნირი მიმდინარეობს ლინცში (ავსტრია), სადაც საინტერესო არაფერი ხდება. ამ ტურნირის მხოლოდ შედეგებს გაგაცნობთ. პლანეტის პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ კი უკანასკნელ მომენტში გადაიფიქრა ბაზელის ტურნირში მონაწილეობის მიღება, არადა, მისი ყოფნა ტურნირს უფრო საინტერესოს გახდიდა და კონკურენციაც უფრო გამძაფრდებოდა.

### ATP Stockholm

| | |
|---|---|
| ხუან იგნასიო ჩელა (არგ) - უეინ ფერეირა (სარ) | 6:4, 6:2 |
| იოაჰიმ იოჰანსონი (შვდთ) - იან ფროდ ანდერსენი (ნორ) | 7:5, 6:3 |
| გრეგორი კარაზი (საფ) - იარკო ნიმინენი (ფინ) | 7:6, 5:7, 6:2 |
| მარდი ფიში (აშშ) - პოლ ბაკანელო (ავსტრლ) | 6:4, 7:6 |
| იურგენ მელცერი (ავს) - ჟულიენ ბენეტო (საფ) | 6:1, 6:1 |
| ნიხამ არაზი (მარ) - ტომას ენკვისტი (შვდთ) | 5:7, 3:6 |
| კრისტოფ ვლიგენი (ბელგ) - რობი ჯინეპრი (აშშ) | 1:6, 3:6 |
| ტეილორ დენტი (აშშ) - სიენგ შალკენი (ჰოლ) | 6:3, 7:5 |

### ATP st.Petersburg

| | |
|---|---|
| ლარს ბურგსმიულერი (გერ) - ენდი რამი (ისრ) | 2:6, 7:6, 6:1 |
| ვინსენტ სპადეა (აშშ) - ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 4:6, 6:1, 6:2 |
| ვიქტორ იანესკუ (რუმ) - ფრანტიშეკ ჩერნაკი (ჩეხ) | 7:5, 7:5 |
| ბრაიან ვეელი (აშშ) - გუსტავო კუერტენი (ბრა) | 6:7, 4:6 |
| იან ვაჩეკი (ჩეხ) - ალექს კორეჩა (ესპ) | 4:6, 1:6 |
| დავიდ სანჩესი (ესპ) - ენტონი დუპუი (საფ) | 2:6, 3:6 |
| სტეფან კუბეკი (ავსტრალ) - სებასტიან გროსჟანი (საფ) | 7:6, 3:6, 5:7 |

### ATP basel

| | |
|---|---|
| მარკ როსეტი (შვცრ) - როჟე ფედერერი (შვცრ) | 1:6, 3:6 |
| იუნგ ტაიკ ლი (კორ) - ჟილ ელსენეერი (ბელგ) | 2:6, 0:6 |
| არნო კლემანი (საფ) - პოლ ანრი მატიე (საფ) | 6:4, 7:6 |
| ტომას ზიბი (ჩეხ) - სტანისლავ ვავრინკა (შვეიც) | 7:6, 7:6 |
| ტიმ ჰენმანი (ინგ) - მარტინ ვერკერკი (ჰოლ) | 6:2, 6:3 |
| იირი ნოვაკი (ჩეხ) - არვინ პარმერი (ინგ) | 3:6, 6:3, 6:0 |
| მიშელ ლოდრა (საფ) - ბოგდან ულიჰრახი (ჩეხ) | 6:3, 6:4 |
| ივო ჰოიბერგერი (შვეიც) - ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) | 3:6, 6:4, 5:7 |
| ტომას ბერენდი (გერ) - ჯეიმს ბლეკი (აშშ) | 1:6, 6:3, 6:4 |

### WTAtour linz

| | |
|---|---|
| ფრანჩესკა სკიავონე (იტა) - ელენა ბოვინა (რუს) | 6:7, 4:6 |
| ლინა კრასნორუდსკაია (რუს) - სილვია ფარინა ელია (იტა) | 6:3, 7:6 |
| მაგი სერნა (ესპ) - ელენა ლიხოვცევა (რუს) | 6:4, 7:5 |
| კაროლინა შპრემი (ხორ) - პაულა სუარესი (არგ) | 3:6, 4:6 |
| ანა პისტოლეზი (ისრ) - სიბილ ბამერი (ავს) | 6:4, 2:6, 6:2 |

## კალათბურთი

# I LOVE THIS GAME

სანდრო ნავერიანი

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია ნელ-ნელა ემზადება სტარტის ასაღებად. მოგეხსენებათ, ამერიკელი ხალხისთვის ყოველი ახალი სეზონის დაწყება უდიდესი ბედნიერებაა. რა თქმა უნდა, ისეთი ამერიკელებიც არსებობენ, საერთოდ რომ არ ანაღვლებთ ახალი თუ ძველი სეზონი და საერთოდ არ აინტერესებთ კალათბურთი, მაგრამ მათთვის, ვისაც კალათბურთის ოდნავ მაინც რამე გაეგება... ოოო! ეს მათთვის დღესასწაულის ტოლფასია. გულშემატკივარი საკმარისზე მეტი ჰყავს ამერიკულ კალათბურთს არა მარტო შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში. გააჩერეთ ქართველი ბავშვი და ჰკითხეთ, იცნობს თუ არა ამერიკულ კალათბურთს. ის აუცილებლად მაშინვე გიპასუხებთ, რომ მაიკლ ჯორდანი საუკეთესო კალათბურთელია მსოფლიოში. მე არ ვაპირებ, გიამბოთ, თუ რა დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ამ პირველობას მსოფლიოს მასშტაბით. როდესაც ქართველი ბიჭები უბანში გამოდიან, ზოგი კარტს თამაშობს, ზოგი რაღაც ამბავს ყვება, ზოგი, უბრალოდ, "აბირჟავებს"... ამერიკაში ზანგი ბიჭი, დილით რომ გაიღვიძებს და სკოლაში წავა, აუცილებლად თან გაიყოლებს კალათბურთის ბურთს და მთელ დღეს ხელიდან არ გაუშვებს. ასე იყო ათეული წლების წინ, ასეა ახლა და ასე იქნება მომავალში. ზანგ ბიჭს რომ ჰკითხოთ, რომელი კალათბურთელი მოგწონს ყველაზე მეტადო, ის არ გიპასუხებთ, ჯორდანი, აივერსონი ან დანკანიო. მართალია, მას არ უნახავს ჩემბერლენის, აბდულ ჯაბარის, ლარი ბიორდის თამაში, მაგრამ მამამისს ან ბაბუამისს ხომ უნახავს და მისთვის მოუყოლია! ამიტომაც გიპასუხებთ, რომ მისი საყვარელი კალათბურთელია არა ჯორდანი, არამედ აბდულ ჯაბარი.

ახლა კი გეტყვით, თუ როგორ ემზადებიან გუნდები და გულშემატკივრები ახალი სეზონის სტარტისთვის. გუნდების ნახევარი ძლიერდება, მეორე ნახევარი კი სუსტდება, რადგან ძლიერ მოთამაშეებს სხვა გუნდებში უშვებენ. მართავენ საკონტროლო და ამხანაგურ მატჩებს, სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ყველა ერთად იკრიბება და, სანამ პირველ მატჩს არ გამართავენ, მანამდე არც ოჯახის წევრებს და არც მეგობრებს არ ხვდებიან. მხოლოდ ჟურნალისტებს იღებენ და მათი საშუალებით მეტოქე გუნდს ატყუებენ, რომ ფორმაში არ არიან, ტრავმა აწუხებთ და რაიმე ამგვარი. სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ მათზე მეტად გულშემატკივრები ემზადებიან და უფრო მეტადაც უხარიათ. მაგალითად, ჩიკაგოში, სტადიონის თავზე, სადაც ადგილობრივი "ხარები" საშინაო მატჩებს ატარებენ, გულშემატკივრებმა ააფრინეს გიგანტური წითელი ხარი, რომელსაც უშველებელი რქები აქვს. მართალია, ამ სეზონში ჩიკაგოელ "ხარებს" ბევრის არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ გულშემატკივრისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს - ის იმედით უყურებს მომავალს. ატლანტელი "ქორების" ფანებმა თავიანთ თილისმას, ქორს, სახელად hawking-ს, რომელიც "ატლანტა პალასის" (სტადიონი, რომელზეც გუნდი საშინაო მატჩებს ატარებს) გვერდით, დიდ გალიაში იჯდა, ახლა უზარმაზარი და ყველაფრით უზრუნველყოფილი გალია გაუკეთეს და თან მეგობარი მოუყვანეს. ორლანდოელმა ჯადოქრებმა ეს საჩუქარი თავად მიუძღვნეს თავიანთ გულშემატკივრებს, ხოლო იმათ, ვისაც წინა სეზონში აბონემენტი ჰქონდა, პირველ თამაშზე უფასოდ დასწრების უფლება მისცეს. გულშემატკივრები და კალათბურთელები რატომღაც ასეთ ერთგულებას იჩენენ ერთმანეთის მიმართ. კიდევ ბევრი რამ ხდება ახალი სეზონის სამზადისში, მაგრამ ყველაფრის მოყოლა შორს წაგვიყვანს.

თუმცა, არ გეგონოთ, რომ მარტო კარგი ამბები ხდება. სულ ახლახან "საკრამენტო ქინგზის" მოთამაშეს, ტონი მასენბორგს, არგენტინული პიტბული მოსტაცეს და ცოტა ხანში ერთიანად მოსვირინგებული დაუბრუნეს. საწყალ ძაღლს, "საკრამენტო ქინგზის" ემბლემა, ტონი მასენბორგის სახე, გამტაცებლის სიფათი და მეტსახელი ჰქონდა ამოსვირინგებული.

აი, ასეთია ამერიკული კალათბურთი, ასეთები არიან მისი ქომაგები. კარგი იქნება, თუ საქართველოშიც ასე ეყვარებათ რამე, თუნდაც, სპორტი!

მოკლედ, ძალიან მალე, სულ რაღაც ექვს დღეში, დაიწყება ის, რაზეც მე გელაპარაკებოდით. თქვენ, ვისაც გიყვართ კალათბურთი, საშუალება გექნებათ, თვალი ადევნოთ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატს.

უყურეთ NBA-ს!

# ჯორჯი და ლაურა ბუშები ქალთა ჟურნალის თვალით

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

ტრადიციისამებრ, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ერის მამაა, თუმცა ყველა ამერიკელს ყველა პრეზიდენტი ასეთად არ მიაჩნია. მაგრამ, პრეზიდენტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ოჯახის მამაცაა. აი, თეთრი სახლიც ორ ნაწილად იყოფა – პრეზიდენტის ოფისად და მის პირად სამყოფლად. ამ უკანასკნელში თუნდაც გასაღების ჭუჭრუტანიდან შეხედვა საინტერესოცაა და ჭკუის სასწავლებელიც - აუცილებელიც კია. ამერიკელებს გულწრფელად მიაჩნიათ, რომ ძლიერი ოჯახური კავშირების გარეშე, ძლიერი პრეზიდენტი არ არსებობს. ტყუილად კი არაა პირველი ლედის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა ის, რომ ქმარსაც უყვარდეს და ერსაც. კარგი პრეზიდენტი სანიმუშო ვაჟი, იდეალური ქმარი და მოსიყვარულე მამა უნდა იყოს. პრეზიდენტი მტრისთვის რისხვა უნდა იყოს, ოჯახისთვის კი – სინაზის განსახიერება.

კარგი მეოჯახის იმიჯი პრეზიდენტის სახის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ დროდადრო თეთრი სახლის ოჯახური ნაწილის ფანჯარას ოდნავ გამოაღებენ ხოლმე, და რჩეულ ჟურნალისტებს შიგ ცხვირის შეყოფის საშუალება ეძლევათ. ცოტა ხნის წინათ ეს პატივი პეგი ნუნენს ხვდა წილად – რესპუბლიკელების ბულბულს, პრეზიდენტ რეიგანის ყოფილ სპიჩრაიტერს. მისი ინტერვიუ ჯორჯ და ლაურა ბუშებთან ჟურნალ “ლედის ჰოუმ ჯორნელის”, ანუ “ლედის საშინაო ჟურნალის” ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა. ასეთ აპოლიტიკურ ჟურნალში ინტერვიუს გამოქვეყნება დიდი პოლიტიკაა. შეერთებულ შტატებში ქალები ამომრჩეველთა უმრავლესობას წარმოადგენენ, მათი უმრავლესობა კი დემოკრატებს ემხრობა (მამაკაცებს უფრო მეტად რესპუბლიკელები მოსწონთ). ამიტომ რესპუბლიკელები ქალებს “აწვებიან”, ოღონდ - ნაზად და შეუმჩნევლად. სწორედ ამას აკეთებს მჭერმეტყველი პეგიც.

ნუნენის ინტერვიუ პასტორალურია. აი, მისი შესავალი აკორდი: “ლედი ჰოუმ ჯორნელი” თეთრ სახლში მზიან, ნათელ დილას იყო მიწვეული, ხანგრძლივი უამინდობის შემდეგ (თითქმის, ექვსი კვირა კოკისპირულად წვიმდა) ბუნებისგან ბოძებული საჩუქარი რომ გეგონება. მზე აცხუნებდა, ბალახი თბილი იყო და ჩიტები ისე ჭიკჭიკებდნენ, თითქოს, ხმა ახლახან დაბრუნებოდათ. ბალახი – ვარდების ბაღში, ჩიტები – ვაშლის ხეებზე, რომლებითაც ბაღია გარშემორტყმული. ირგვლივ ტიტები, ვარდები, გიაცინტები და ბზა ყვაოდა. მზის სითეთრე, რომელსაც თეთრი სახლის სითეთრე ამძაფრებს, თვალისმომჭრელია. რეზიდენციასა და დასავლეთ ფრთას შორის (საცხოვრებელ და სამუშაო ოთახებს შორის – მ.ს.), გასასვლელის ორივე მხარეს აღმართულ სვეტებთან მდგომმა თეთრი სახლის მებაღემ ჟაკლინ კენედის ბაღის შესახებ მიამბო და მაგნოლიები მაჩვენა, რომლებიც ჯერ კიდევ პრეზიდენტმა ენდრიუ ჯექსონმა დარგო - “თითქმის ორასი წლის წინათ თავის ცოლის სახსოვარად”.

ამ პასტორალური სურათის შემდეგ მინაზებული პეგი ჯორჯსა და ლაურას პირველ კითხვას უსვამს:

- როგორია ის კითხვა, რომელსაც გამუდმებით მოელით და რომელსაც არასოდეს გისვამენ?

**ჯორჯი**: განამტკიცა თუ დაასუსტა თქვენი ცოლ-ქმრობა თეთრ სახლში ყოფნამ? ჩემი პასუხია: განამტკიცა.

**ნუნენი**: რა საოცრებაა! მეც სწორედ ამ კითხვის დასმა მინდოდა (დავიჯეროთ? – მ.ს.).

ყველა იცინის და ბუში ირონიულად ამბობს: “აბა, რააა!?”

**ნუნენი**: მაშ, განამტკიცა?

**ჯორჯი**: ჰო, განამტკიცა. ჩვენი ცოლ-ქმრობა ამაზე უკეთესი არასოდეს ყოფილა. შესაძლოა, ეს ცხოვრების ახლანდელმა ზეწოლამ გამოიწვია; შესაძლოა, იმ უზარმაზარმა პასუხისმგებლობამ, რომელიც გვაკისრია; შესაძლოა, 11 სექტემბრის მერე საპრეზიდენტო და პირველი ლედის ოფისების პირობების შეცვლამ, რომელთა გამოც, ერთად, უფრო მჭიდროდ მოგვიწია საერთო მიზნისთვის მუშაობამ. მოკლედ, მიზეზი ბევრია და ჩვენი ცოლ-ქმრობა ბევრად უკეთესია, ვიდრე უწინ იყო.

აქ ნუნენი მისი დონის პროფესიონალისთვის დაუშვებელ შეცდომას უშვებს. ის ჟაკლინ კენედის სიტყვების ციტირებას ახდენს, რომ თეთრ სახლში გატარებული წლები ჯონ კენედისთან ერთად მისი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო. ჟაკლინი ამბობდა: “ალბათ, იმიტომ, რომ, თითქოს, ხელის გულზე ვცხოვრობდით”. ახლა კი მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჯონი მას ხელის გულზეც მშვენივრად ღალატობდა.

ბუშმა ეს უტაქტო შედარება, თითქოს, არ შეიმჩნია.

**ლაურა**: ჰო, უდავოდ, ასეა. ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ერთმანეთს, ჩვენ შეგვიძლია ერთად ვისადილოთ და ვივახშმოთ, თუ ორთავენი ქალაქში ვართ ხოლმე.

ეს ხომ ყელში ამოსვლის რეალური საფრთხეა! მაგრამ პრეზიდენტს ასე არ მიაჩნია.

**ჯორჯი**: თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს ერთად ვატარებთ. სტუმრებს ვიწვევთ ხოლმე, მაგრამ - იშვიათად. და კიდევ ერთი რამ ხდის ჩვენს ცხოვრებას თეთრ სახლში საინტერესოს - ეს ჩვენი მეგობრების სიყვარულია. ისინი, განსაკუთრებით ტეხასელები, ხშირად გვინახულებენ ხოლმე. უდიდესი სიხარულია იმ ხალხთან ერთად ცხოვრების გატარება, რომელსაც მრავალი წელი იცნობ! და რა ამაღელვებელია მათი მღელვარების ცქერა!

**ლაურა**: აი, მაგალითად, დღეს პრეზიდენტის სტუდენტობის დროინდელი მეგობრები გვეწვევიან. მათ ოთხი შვილი ჰყავთ. მართლაც, ძალიან სახალისო იქნება ამ ბავშვებისთვის თეთრი სახლის ჩვენება, მათთან ერთად სადილობა.

**ნუნენი**: მაშ, თქვენი ცხოვრება ნორმალური და რეალურია?

ნუნენი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პრეზიდენტ რეიგანის სპიჩრაიტერი იყო და თეთრ სახლს შიგნიდან იცნობს. ასეთი სულელური კითხვა რამ დაასმევინა? მაგრამ, ასეთია ამერიკელი დიასახლისების ჟურნალის “სოციალური დაკვეთა” – დიასახლისებს თეთრ სახლში ჰილარი და ბილ კლინტონის თანაცხოვრების წარმოდგენაც კი ზარს სცემს. სულ სხვა ამბავია ლაურა და მისი პეტრარკა, ანუ ბუში.

**ლაურა**: დიახ, ეს ასეა. ჯორჯი ყოველთვის იყო იმ თვისებების მატარებელი, რომლებსაც ახლა მთელი მსოფლიო ხედავს და რომლებიც, ჩემი აზრით, ამერიკელმა ხალხმა 11 სექტემბრის შემდეგ დაინახა. ეს შეუპოვრობა, ძალა და დისციპლინაა. ისინი მას ადრეც ახასიათებდა, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კიდევ უფრო განუმტკიცდა.

**ნუნენი**: ქალბატონო ბუშ, ახლა, როცა თქვენი ქმარი თავისუფალი მსოფლიოს ლიდერია, ხდება ხოლმე, რომ მისით უკმაყოფილო ბრძანდებით და უყვირით ხოლმე?

**ჯორჯი**: კი!

ყველა იცინის, და ნუნენი ფრაზას ამთავრებს:

... როცა მურაბის ქილას თავსახურს არ ახურავს?

**ჯორჯი**: კი, კი!

**ლაურა**: ასეთების გამო, ყვირილი ჯერ არ დამჭირვებია.

მაგრამ, პრეზიდენტი გაჯიუტდა და მოსწავლესავით გაცელქდა.

**ჯორჯი**: მოგახსენებთ, რომ ასეა. მეტსაც მოგახსენებთ.

**ლაურა**: არა, ტყუილია.

**ჯორჯი**: არა?

**ლაურა**: მე იმის თქმა მინდა, რომ რის გამოც ადრე ვუბრაზდებოდი...

**ჯორჯი**: აწყვეტინებს: ეს გულწრფელი, მართალი ინტერვიუა?

**ლაურა**: ...მაგალითად, ის, რომ თავის პირსახოცებს არ კიდებდა, ახლა აღარ მაწუხებს. თეთრ სახლში ამას, მის ნაცვლად, აკეთებს ვიღაც – პირსახოცებს კიდებს.

**ნუნენი**: მეტი რაღა? რაღა დარჩა?

**ჯორჯი**: უამრავ მიზეზს პოულობს. (აჯავრებს) კარგია, ეს ძალიან კარგია. ძალიან ხშირად ხალხი პრეზიდენტს იმასეუბნება, რისი გაგონებაც მას გაახარებდა. ლაურა იმას მეუბნება, რაც უნდა გავიგონო.

რა სამწუხაროა, რომ სიმართლე ტრივიალური ამბებით შემოიფარგლება, როგორიც ძირს დაგდებული პირსახოცები და თავდაუხურავი მურაბის ქილებია!

**ნუნენი**: ბატონო პრეზიდენტო, მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ძლიერი ქალები გიზიდავთ.

**ჯორჯი**: დიახ, ასეა.

**ნუნენი**: დედათქვენი ძლიერი ქალია, ძლიერი ცოლი გყავთ, კარენ ჰიუზი, კონდოლიზა რაისი... ასე ძალიან რატომ მოგწონთ ძლიერი ქალები?

**ჯორჯი**: მე მათთან ყოფნა მიყვარს, თავს კომფორტულად ვგრძნობ. მათი რჩევები სოლიდურად და კარგად მესახება. ისინი პრეზიდენტობას უნიკალურ პერსპექტივას სძენენ. სუსტი ქალის ცოლად მოყვანა რა სიხარულია? ლაურამ თავისი ძალით მიმიზიდა, თავისი სილამაზით და ძალით. დედაჩემი? თუმცა, ამ შემთხვევაში არჩევანი არ მქონია.

აქ პრეზიდენტი სავსებით გულწრფელი იყო. დედის მტკიცე ხელმა ის სიყმაწვილის მრავალი ცდუნებისგან იხსნა, ლაურამ კი ალკოჰოლიზმისგან გადაარჩინა. თუმცა, სამწუხაროდ, კონდი რაისის გავლენაზე ამას ვერ ვიტყვით, რომელიც “პრეზიდენტს საგარეო პოლიტიკაში მაღალგრადუსიანი სასმელების მოხმარებაზე აქეზებს”.

მოკლედ, ეძიე ქალი, ოღონდ ძლიერი...

**ნუნენი**: ქალბატონო ბუშ, სამი სიტყვით როგორ დაახასიათებდით თქვენს დედობრივ დამოკიდებულებას ქალიშვილების მიმართ?

**ლაურა**: თავიდან, რასაკვირველია, სიყვარულია. მათი მამის სახელითაც ამასვე ვიტყოდი. ჩემთვის შვილებთან ერთად ყოფნა დიდი სიხარულია. ამიტომ ასე ვიტყოდი: მათი პიროვნებებით ძალიან გატაცებული ვარ.

**ჯორჯი**: თავდადებულია.

**ლაურა**: ნამდვილად თავდადებული ვარ.

**ნუნენი**: და თქვენ?

**ჯორჯი**: ძალიან მიყვარან. საერთოდ, მათ მიმართაც მოუთმენელი ვარ. მეამაყებიან, მათით ვამაყობ.

**ნუნენი**: რაში ვლინდება თქვენი მოუთმენლობა?

ჯორჯი: როცა მოზარდები იყვნენ, მათგან მაშინაც ნორმალურობას მოვითხოვდი. მინდოდა, რომ მშრომელი ქალები ყოფილიყვნენ. მაგრამ, ახლა დადინჯებას ვცდილობ, ვცდილობ, რომ თავიანთი ზრდის შესაბამისად დადგნენ ჭკვიანი ქალები, და არა - ჩემი მოთხოვნების შესაბამისად.

**ნუნენი**: ბარბარა და ჯენი - რომელი ჰგავს დედას და რომელი – მამას?

**ლაურა**: ყველაზე მეტად საკუთარ თავს ჰგავანან. ფრიად ინდივიდუალურები არიან. მაგრამ, ერთი უფრო კომუნიკაბელურია, მე ვიტყოდი – აღმაშფოთებლად კომუნიკაბელური (ცოლ-ქმარი იცინის).

**ჯორჯი**: ეს კი ნიშნავს, რომ ლაურას ჰგავს (კვლავ იცინიან).

**ლაურა**: ერთ-ერთი მათგანი ძალიან ორგანიზებულია. ის ბავშვობიდან, ლამის დაბადებიდან აკეთებს თავის საქმეს. აი, რატომ მინდა, რომ მას ვგავდე. მათთან ერთად ყოფნა დიდი სიხარულია.

**ჯორჯი**: თან ძალიან თავდაჯერებულები არიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თავი კი არ მოსწონთ, უბრალოდ, თავიანთ შესაძლებლობებში არიან დარწმუნებულები, იციან, რომ ცხოვრების გამოწვევის მიღება შეუძლიათ და იმას მიაღწევენ, რაც უნდათ. ეს შინაგანი თავდაჯერებულობაა, რომელიც სულ უფრო მეტად ვლინდება.

**ლაურა**: მეჩვენება, რომ ეს იმაზეცაა დამოკიდებული, როგორ ვზრდიდით, იმის იმედად, რომ ყოველთვის სწორად მოიქცეოდნენ, იმის იმედად, რომ, ასე თუ ისე, რამეს მიაღწევდნენ.

**ნუნენი**: ახლა რას შვრებიან, კოლეჯს ამთავრებენ?

**ჯორჯი**: ჩემი მთავარი საზრუნავი ისაა, რომ ბედნიერები იყვნენ. ყველა ჩემს საზრუნავს შორის, ომისა და მშვიდობის პრობლემებს შორის, აყვავებისა და თავისუფლების შესახებ ფიქრში, რაც კი მაწუხებს როგორც პრეზიდენტს, ჩემი მთავარი საზრუნავი ჩემი ორი გოგონას ბედნიერება, მათი უსაფრთხოებაა. სწორედ ესაა ბედნიერება. ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ ჩემს გამო, მათ შეიძლება ნორმალური ბავშვობა არ ჰქონდეთ, კოლეჯში ნორმალურად სწავლა ვერ შეძლონ. მაგრამ, ერთი რამის თქმა შემიძლია: ისინი ბედნიერები არიან.

**ლაურა**: როცა ბავშვები ბედნიერები არიან, მათი მშობლებიც ბედნიერები არიან. ხოლო, თუ ისინი ბედნიერები არ არიან, მათ მშობლებს ამაზე მეტად არაფერი უჭირთ.

**ნუნენი**: უკვე ფიქრობენ თავიანთ მომავალ კარიერაზე?

**ჯორჯი**: წუხელ Teach of America-ზე (“ამერიკის სწავლება”, ორგანიზაციაა – მ.ს.) ლაპარაკობდნენ. ასე რომ, უკვე ესმით, რომ თავიანთ ცხოვრებაზე, თავიანთ კარიერაზე უნდა აგონ პასუხი. ლაურამ ადრე აირჩია ბიბლიოთეკარის კარიერა. მე არჩევანი ცოტა უფრო გვიან გავაკეთე. თუმცა, (ჩაიცინა) ჩემი კარიერის დარდი არასოდეს მქონია.

ჯორჯ ბუშს ნამდვილად შეეძლო საკუთარი თავისთვის ქარაფშუტობის უფლება მიეცა. მის კარიერაზე ხომ მამამისი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი და მდიდარი მეგობრები ზრუნავდნენ.

**ნუნენი:** ქალიშვილებს სიყვარულის შესახებ რჩევებს თუ აძლევთ, ისინი ხომ უკვე 21 წლისანი არიან. ალბათ, ბიჭებს ხვდებიან...

**ლაურა:** ჩვენ რჩევებს არ ვაძლევთ, მაგრამ ყველაფერს გვიყვებიან (იცინის). ორივე თანახმაა, გათხოვებამდე მოიცადონ. ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების მიზნით, მათ სურთ თავი რაიმე სამუშაოზე გამოსცადონ.

**ნუნენი:** მაშ ასე, თუკი ერთ მშვენიერ დღეს სახლში დაბრუნებული ჯენა გეტყვით: “დედა, ერთი ბიჭი შემიყვარდა” და ახალგაზრდა ჯორჯ ბუშის მსგავსს აღგიწერთ, ეტყვით,- გაყევიო?

**ლაურა:** სწორედაც! ჩემი რჩევაც ამაში მდგომარეობს – მოითმინე, სანამ მამაშენის მსგავსს არ შეხვდები.

**ნუნენი:** ბატონო პრეზიდენტო, თქვენ თუ იზიარებთ ამ აზრს?

**ჯორჯი:** ძალიან დაბალი დონეა (ლაურა ხარხარებს).

ბავშვების შესახებ თვალსაზრისში და გულწრფელობაში პრეზიდენტი მხოლოდ შექების ღირსია. იგი ხშირად აღიარებს, რომ თავისი ტყუპი ქალიშვილების ბედი ამერიკის და, საერთოდ, მთელი კაცობრიობის ბედზე უფრო ძვირფასია. და კიდევ, მას სრულებითაც არ სურს, საკუთარი სიძე ამერიკის პრეზიდენტს ჰგავდეს.

იმ მოტივით, რომ პეგი “მსუბუქ” ინტერვიუს იღებდა, დაინდო ბუშები და არაფერი იკითხა ბარბარას და ჯენის თრობაზე და იმ სკანდალებზე, რომლებიც ხშირად პოლიციის უბანში ირჩეოდა. არასრულწლოვანი ქალიშვილები ყალბი პირადობის დამადასტურებელი საბუთებით სარგებლობდნენ, რაც აშშ-ში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. ბუშების ოჯახმა თავისუფლად ამოისუნთქა, როდესაც ბარბარას და ჯენის 21 წელი შეუსრულდათ. “ყოველ შემთხვევაში, ახლა მათ კანონი აძლევს სმის უფლებას” – თითქოს, მახვილგონივრულად იხუმრა გოგოების ბებიამ, პრეზიდენტის დედამ.

**ნუნენი:** ზრდასრული ქალების უმეტესობა ამტკიცებს, რომ დედას, თითქმის, ყოველდღე ესაუბრებიან, თქვენ როგორ იქცევით?

**ჯორჯი:** არა. (უი, უი, უი! – მ. ს.)

**ნუნენი:** როგორი ურთიერთობები გაქვთ?

**ჯორჯი:** დედასთან? ძალიან გულწრფელი. დედაჩემი ძალიან საინტერესო ქალბატონია და მასთან საუბარი სამოთხეა. მიუხედავად ამისა, ბევრს ვერ ვესაუბრები. სწორედ დღეს ვილაპარაკეთ.

დემოკრატებს, დასავლეთევროპელებს, მუსულმანებს, ზანგებს, ინტელექტუალებს, კომუნისტებს და, რასაკვირველია, ჟირინოვსკის თუ არ ჩავთვლით, ბარბარა ბუში თავისი ვაჟის ყველაზე დაუნდობელი კრიტიკოსია.

**ნუნენი:** მამასთან თუ საუბრობთ ხშირად?

**ჯორჯი:** დიახ. მას ნამდვილად ვუმკლავდები. აი, თუნდაც დღეს ოვალურ კაბინეტში დილის 6:40 საათზე მივედი, რაღაც ქაღალდები გადავათვალიერე და გადავწყვიტე, მშობლებთან დამერეკა. მამის მონახულებას მის დაბადების დღეზე ვაპირებთ. მასთან საუბრისას მომეჩვენა, თითქოს, გაზეთებში რაღაც უსიამოვნო ჰქონდა წაკითხული და ღელავდა. ვურჩიე, არ ენერვიულა. მე თვითონ გაზეთები წაკითხული არ მქონდა და ამიტომაც არფერი მაწუხებდა. საერთოდ, მამაჩემისთვის მთავარია, ყველაფერი კარგად გვქონდეს.

**ნუნენი:** როცა მამათქვენი ღელავს, მის დაწყნარებას ცდილობთ?

**ჯორჯი:** დიახ, ვაწყნარებ. საოცარია, როგორ შეიცვალა ჩვენი როლები. მისი პრეზიდენტობის დროს ტყუილებს რომ ვისმენდი მასზე, აგონიაში ვვარდებოდი. მის ტკივილს ვიზიარებდი, როდესაც ლაფს ასხამდნენ და პოლიტიკურ ისრებს ესროდნენ. ახლა ჩვენი როლები შეიცვალა. მართალი გითხრათ, იოტისოდენადაც არ მაღელვებს, ჩემზე რას ამბობენ - ამას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მე ყველაზე კარგად ვიცი, სინამდვილეში რა ხდება, ვიდრე ყველა ერთად აღებულმა კრიტიკოსმა. ჩემს გუნდში და ადმინისტრაციაში ბოლომდე დარწმუნებული ვარ, ამიტომაც მამასთან საუბარს მისი დამშვიდებით ვასრულებ. ვეუბნები, რომ კარგად ვარ, ლაურაც გადასარევადაა და ბედნიერები ვართ... ასე რომ, ჩვენი როლები შეიცვალა...

როგორც მამა-შვილ ბუშების თანამედროვე, ვაშინგტონის პოლიტიკური სამზარეულოს კრიტიკოსი, თავდაჯერებით ვამტკიცებ, რომ მამა ბუშს უფრო მეტი ხვდება, ვიდრე შვილს, რადგან მამა გაზეთებში წაკითხულ შვილის კრიტიკას უფრო მტკივნეულად აღიქვამს. მამა ბუშის პრეზიდენტობის დროს მედია მას ასე ძლიერად არ აკრიტიკებდა.

**ლაურა:** ეს სწორედ ისაა, რაზეც ადრე ვსაუბრობდით. გვინდა, რომ ჩვენი ქალიშვილები ბედნიერები იყვნენ, ესეც (ჯორჯ ბუში – მ.ს.) ამგვარად ფიქრობს.

**ჯორჯი:** თეთრ სახლში ახალგაზრდები რომ მოდიან, ვეკითხები: “რჩევა გსურთ?დაუჯერეთ დედას, მე ჯერ კიდევ დედას ვუჯერებ”.

**ნუნენი:** ბატონო პრეზიდენტო, იმ დღეს, როდესაც თქვენ ფიცს დებდით, შევნიშნე, როგორ მოგადგათ თვალზე ცრემლი.

**ჯორჯი:** დიახ, დიახ. სავსებით შესაძლებელია. ემოციური პიროვნება გახლავართ (კრიტიკისადმი გულგრილობა როგორღა გავიგოთ? – მ. ს.). ალბათ, იმ დღეს ძალიან ციოდა (ყველა იცინის).

საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელებს სასტიკად არ უყვართ, როდესაც მათი პრეზიდენტი ან მთავრობა ტირის, თუნდაც - მამაკაცური ცრემლებით. ნებისმიერი ცრემლი სისუსტის მაუწყებელია. სენატორ მაკკეინს, რომელსაც თეთრ სახლს ორი ნაბიჯილა აშორებდა, სენტიმენტალობა პრეზიდენტობის დაკარგვად დაუჯდა. პრეზიდენტებს, პუშკინის “სილამაზის ქალწულისგან” განსხვავებით, ცრემლების ღვრა ნამდვილად არ უხდებათ. მტირალი პრეზიდენტი, ისევე, როგორც მაიაკოვსკის მტირალი ბოლშევიკი, სამუზეუმო ექსპონატია. ასეთებს აქ “დედას ბიჭს” ეძახიან.

მაშ ასე, გავაგრძელოთ.

**ლაურა:** დიახ, ეს უდავოდ ამაღელვებელი იყო.

**ნუნენი:** თქვენც აღელდით, ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურებოდით.

**ჯორჯი:** დიახ, მეც აღელვებული გახლდით, მაგრამ რაღაც არ მახსოვს თუ ვტიროდი. თუმცა, სავსებით შესაძლებელია. სულის შემძვრელი მომენტი იყო, ლაურას და გოგოებს შევყურებდი. (აქ ნუნენი ამგვარ რემარკას აკეთებს: “პრეზიდენტი მზერას შორს აპყრობს, თვალებს ჭუტავს და აშკარაა, რომ საკუთარ ემოციებში ან მოგონებებში ეფლობა. მიმიკა ეცვლება, ამაყად და მორცხვად იყურება”. აბა, პეგი, მაგარი ხარ! ჩვენთან ვერც ერთ ქალთა ჟურნალში ვერ წაიკითხავთ მსგავს ფრაზებს პრეზიდენტ პუტინის შესახებ).

**ნუნენი:** თქვენ იგივე გამომეტყველება გაქვთ!

**ჯორჯი:** ვიცი! (იცინის).

**ნუნენი:** პრეზიდენტად გახდომის წინ კარგ და ცუდ ისტორიებში გახვევის წინათგრძნობა თუ გქონდათ?

**ჯორჯი:** საინტერესოა, ამის შესახებ რომ მეკითხებით. ერთხელ, დიკ ჩეინთან საუბრისას ვთქვი: “ისეთი ვიცე-პრეზიდენტი მჭირდება, რომელიც გაჭირვებისას კარგი მრჩეველი იქნება”. ალბათ, წინათგრძნობა მქონდა...

სტალინისა არ იყოს, ხელმძღვანელობა წინასწარ განჭვრეტას ნიშნავს.

**ნუნენი:** ქალბატონო ლაურა, დღევანდელი გადასახედიდან თუ შეიცვალა 11 სექტემბრის იმ საბედისწერო დღესთან დაკავშირებით თქვენი შეხედულებები?

**ლაურა:** იმ წუთას შოკირებულები ვიყავით. მას შემდეგ უამრავ ხალხს შევხვდით, რომელთაც ახლობლები დაკარგეს. სარკის თავზე პატარა ფოტო მაქვს, რომელიც იმ დღეს დაღუპული ახალგაზრდა გოგონას მშობლებმა მაჩუქეს. მას შემდეგ ყოველდღე ვუყურებ ამ ფოტოს, რომელიც ყველა დაღუპულს მახსენებს.

**ნუნენ:** თქვენ, ბატონო პრეზიდენტო?

**ჯორჯი:** ტრაგედიის დროს იმდენად სრულად ვერ აღიქვამ მოვლენებს. ახლა 11 სექტემბერი გაცილებით ღრმა მწუხარებას და ემოციებს აღძრავს, ვიდრე - ორი წლის წინათ. გადავწყვიტე, ჩვენს ხალხს ტერორიზმის წინააღმდეგ გავამარჯვებინო. ეს ომი ჯერ კიდევ გრძელდება. არც ის გრძნობა შემცვალა, რომელიც იმ დღეს გამიჩნდა – ამერიკა დარტყმის ქვეშაა და მათ სამაგიერო მიეზღვებათ. დღესაც ასე ვფიქრობ.

ეზღვებათ არა მხოლოდ ტერორისტებს, არამედ - უდანაშაულო ხალხსაც. საეჭვოა, მათი ფოტოები პრეზიდენტის სარკეს ამშვენებდეს. სამაგიეროდ, მის თვალწინ ხშირად გაიელვებს ხოლმე სადამ ჰუსეინი და ოსამა ბინ ლადენი...

**ნუნენი:** თქვენს მოღვაწეობას შეერთებული შტატების სამხედრო ლიდერის პოსტზე როგორ შეაფასებთ?

**ჯორჯი:** უკეთესი იქნებოდა, გეკითხათ, როგორი ვიქნებოდი მშვიდობიანობის დროს. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ იმიტომ ვიყენებ, რომ სამყარო მშვიდობიანი გავხადო, წინ უამრავი სამუშაოა (ღმერთო ჩემო! მ. ს.)... ომის ბუნება შევცვალეთ, რამაც სამყარო, თავისთავად, მშვიდობიანი გახადა (სად არის ორუელი? მას ხომ გამოთქმებს პარავენ: “ომი მშვიდობაა” – მ. ს.).

ამის შემდეგ ბუში პეგის უხსნის, რომ მისი სამხედროების ფსიქოლოგიური სრულყოფილება დამნაშავეთა დამარცხებას ხელს უწყობს. ეს პასაჟი შემდეგი ფრაზით სრულდება: “იმედი მაქვს, ჩვენს შეარაღებულ ძალებს მეტად აღარ გამოვიყენებთ”. საინტერესოა დანარჩენებს – სამხრეთ კორეას, ლიბიას, სირიას და კუბას რა ბედი ეწევათ, მათ ხელს არ ახლებთ?(მ.ს.)

ეტყობა, პეგიმ ივან სუსანინივით იფიქრა, რომ პრეზიდენტი სახიფათო ლაბირინთში შეჰყავდა და ფირფიტა სწრაფად შეცვალა.

**ნუნენი:** ქალბატონო ლაურა, როდესაც ჯორჯ ბუშზე თხოვდებოდით, ისეთი შეგრძნება გქონდათ, რომ უდიდეს ადამიანს მიჰყვებოდით?

**ლაურა:** განზრახვა, რომ შეერთებული შტატების მომავალ პრეზიდენტს გავყოლოდი ცოლად, სულაც არ მქონდა (არა მხოლოდ თქვენ, მშვენიერო ლაურა! – მ. ს.), თუმცა ვგრძნობდი, რომ დიდ კაცს მივყვებოდი.

**ნუნენი:** 11 სექტემბრის შემდეგ გამოიცვალა თუ არა თქვენი მეუღლე?

**ლაურა:** რასაკვირველია. არა მხოლოდ 11 სექტემბრის შემდეგ, მთელი ცხოვრების მანძილზე ერთად ვიცვლებოდით.

ფონვიზინის მიტროფანუშკასაც სწავლას ცოლის შერთვა ერჩივნა; არადა, არ ესმოდა, რომ ორივე ერთი და იგივეა...

**ნუნენი:** 11 სექტემბერს სხვადასხვა ადგილას იყავით. როგორ შეხვდით ერთმანეთს?

**ლაურა:** ერთმანეთს გადავეხვიეთ. ერთად ყოფნა ნაკლებად საშიში იყო.

**ჯორჯი**: დღე საკმაოდ იუმორისტულად დასრულდა. აგენტებმა (საიდუმლო სამსახურის – მ. ს.) გვითხრეს, - “თქვენ ქვევით დაიძინებთ. ვაშინგტონი ჯერაც საშიში ადგილია”. მე უარზე დავდექი, ქვევით მოუხერხებელი საწოლი იდგა. არადა, მეც და ლაურაც დაღლილები ვიყავით. ჩვენი საწოლი და ჩვენი ბუდე გვიყვარს... მეორე დღეს მძიმე სამუშაო მელოდა და ამიტომ კარგად უნდა დამესვენა. აგენტს ვუთხარი, რომ ზევით ავიდოდით და ისიც ულიმღამოდ დაგვთანხმდა. ლაურა კონტაქტურ ლინზებს ატარებს და უკვე ღრმად ეძინა, ბერნისაც (ბუშების ძაღლი – მ. ს.), როდესაც აგენტი შემოვარდა და დაიყვირა: “თავს დაგვესხნენ, ქვევით ჩადით” (იგულისხმება თეთრი სახლის ქვეშ მდებარე ბუნკერი – მ. ს.). ჩვენც ჩავედით. მე ტრუსებით, მაისურით და ფეხშიშველი ვიყავი, ერთ ხელში ძაღლი მეჭირა, მეორეთი ლაურას ვშველოდი, რომელსაც ხელში ფისო ეჭირა...

**ლაურა:** თან კონტაქტური ლინზები არ მეკეთა, ფეხზე სახლის ჩუსტები მეცვა...

**ჯორჯი:** აგენტი სულს ძლივს ითქვამდა, ჩვენ ქვევით მივრბოდით, რადგან გვეგონა, რომ გაურკვეველი თვითმფრინავი თეთრი სახლისკენ მოფრინავდა. უცებ ეს ყმაწვილი გვეუბნება, რომ თვითმფრინავი საშიში არ არის, ჩვენც უკვე ზევით ამოვრბივართ და საწოლზე ვეცემით.

**ლაურა:** (იცინის) უკვე საწოლში ვწევართ და ვფიქრობთ, საინტერესოა, როგორ გამოვიყურებით?

**ნუნენი:** ამგვარად, დღე ტრაგედიით იწყება და კომედიით მთავრდება.

**ჯორჯი:** სწორედაც, ამაზე ბევრი ვიცინეთ. წარმომიდგენია, ბინ ლადენი და მისი ალქაედა თანამოძმენი როგორ იცინებენ, როდესაც “ლედის ჰოუმ ჯორნალის” ეს ნომერი ჩაუვარდებათ ხელში. აქამდე ხომ ვერც ჰიტლერმა, სტალინმა, ხრუშჩოვმა და მაო ძედუნმა ვერ შეძლეს ამერიკის პრეზიდენტისთვის ამგვარი სტრიპტიზის მოწყობა...

**ნუნენი:** თქვენ მორწმუნე ადამიანად ხართ აღიარებული. შეიძლება პრეზიდენტი ურწმუნო იყოს?

**ჯორჯი:** დიახ, შესაძლოა, ადრე ასეთი პრეზიდენტებიც არსებობდნენ, თუმცა, ჩემი აზრით, რწმენა, ლოცვა და უზენაესის არსებობა დიდ სიმშვიდეს განიჭებს. ამიტომაც ვკითხულობ ყოველ დილას ბიბლიას... პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**ნუნენი:** იმ ხალხს რაღას ეუბნებით, ვინც რელიგიური არ არის და თქვენი რწმენა ნაკლებად აღელვებს? მათ რას ეტყოდით?...

**ჯორჯი:** რელიგიური ხალხის არ უნდა გეშინოდეთ. ბიბლია სიყვარულს და თანაგრძნობას ქადაგებს. ვინც ბევრ ღირსებას ფლობს, მას ბევრიც მოეთხოვება. შიდსთან დაკავშირებულ ჩემს პოლიტიკაში ბევრი რამ არის რელიგიური. მე პლურალისტური საზოგადოების მჯერა და იმისიც, რომ ხალხს რელიგიის არჩევანის უფლება აქვს. არც ჩემი და არც მთავრობის გადასაწყვეტი არაა, ვინ რომელ რელიგიას აირჩევს. თუმცა, სხვა მხრივ, მე ხალხს ჩემი რელიგიურობით კომფორტს ვუქმნი.

**ნუნენი:** აპირებთ, ხელმეორედ იყაროთ კენჭი?

**ჯორჯი**: მე დიკ ჩეინის ვთხოვე შემომერთებოდა და კომიტეტი შევქმენი. ეს ყველაფერი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ საქმე 2004 წლის კამპანიისკენ მიდის, რომელიც, რა საოცარიც უნდა იყოს, უკვე კარს მოგვადგა..... ადამიანები მეუბნებიან ხოლმე, რომ პოლიტიკაზე უნდა ვიფიქრო, მაგრამ ჩემი მთავარი ამოცანა ამერიკელი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაა.

**ნუნენი:** და ბოლოს, რას შეუთვლიდით “ლედი ჰოუმ ჯორნელის” მკითხველ 13 მილიონ ქალბატონს?

**ჯორჯი:** შევუთვლიდი ამ ქალბატონებს, რომ იცოდნენ – ჩვენ მსოფლიოს ყველაზე დიდებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ჩვენი სიდიადე ჩვენსავე ძლევამოსილებაშია; და კიდევ, იმიტომ ვართ დიადი ქვეყანა, რომ თანაგრძნობა შეგვიძლია. იმედი მაქვს, რომ ყველა მკითხველი ქალბატონი, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა და ფილოსოფიური მრწამსისა, ამაყობს ამერიკის შეერთებული შტატებით და იმ ფასეულობებით, რასაც ეს ქვეყანა იცავს. ეს ფასეულობები საქველმოქმედოა და მსოფლიოს მრავალი კუთხისთვის აუცილებელი. ძალიან ვამაყობ ჩემი ქვეყნით.

აი, ასეთი ინტერვიუა. ბევრი რამ შემეძლო მეთქვა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ვამჯობინე, სულ მცირე კომენტარი გამეკეთებინა - ჯორჯის და ლაურას ხმას მკითხველამდე “ჩაუხშობლად” რომ მიეღწია.

... როდესაც პეგი ნუნენმა პრეზიდენტთან და პირველ ლედისთან ინტერვიუ დაასრულა, ვაშინგტონის თავზე ისევ აუსტერლიცის ან ვატერლოოს მზე კაშკაშებდა. თეთრი სახლის წინ, მდელოზე ბალახი ისეთი თბილი იყო, თითქოს, - სისხლი აპკურესო. ისევ ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა, როგორც მაშინ – ბრძოლებს შორის. ისევ ძველებურად ხარობდნენ მოკლულთა გვამებით ჯერაც არგადათელილი ტიტები, ვარდები და გიაცინტები.

პეგი ნუნენი, რომელსაც ინტერვიუს დროს ობიექტურობის ლინზები არ ეკეთა, ნებიერად უსწორებდა თვალებს მზის თეთრ სხივებს, რომელსაც თეთრი სახლის სიქათქათე კიდევ მეტად ამძაფრებდა.

ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა, პეგიც ძალიან ეცადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყვავილობას ჭკნობაც მოსდევს.



მოკლედ

## პიკასო სხვა კუთხით



პიკასოს ნაციონალურ მუზეუმში პირველად გაიხსნა უდიდესი ექსპოზიცია, რომელიც "გერნიკას" ავტორის პირად ჩანაწერებს, ფოტოებსა და გაზეთიდან ამოჭრილ წერილებს შეიცავს. შოუ, რომელსაც "პიკასოს არქივი" ჰქვია, ოთხშაბათს გაიხსნა და იანვრამდე გასტანს.

"პიკასო ათასობით ფურცელს ინახავდა; აგროვებდა ფოტოებსაც, რომლებიც მის ყოველდღიურ ცხოვრებას, მუშაობას ასახავს. თითოეული ეს ექსპონატი მისი ცხოვრების ქრონიკას მნიშვნელოვანი დეტალებით ავსებს. ასე მასშტაბურად ეს არქივი პირველად გამოვფინეთ", - აცხადებს მუზეუმის კურატორი.

რამდენიმე ათას ექსპონატს შორის გახლავთ: 1919-31 წლებში შენახული კინოთეატრის ბილეთები; მხატვრის ათობით პორტრეტი, რომლებიც მისი 90 წლის იუბილესთვის ბავშვებმა დახატეს; საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საწევრო ბილეთი; წერილები; დეპეშები; სატელეფონო ბარათები – მათი საშუალებით გალერეის სტუმრებს შეუძლიათ იმის გაგებაც, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მხატვარს მწერლებთან, პოლიტიკოსებთან, კრიტიკოსებთან, თაყვანისმცემლებთან, სხვა მხატვრებთან და, უბრალოდ, მეგობრებთან.

## აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის საგანძური

ქაბულის ერთ-ერთ სასახლეში ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის განძი აღმოაჩინეს - 20 ათასი ოქროს მონეტა და ფასდაუდებელი ხელოვნების ნიმუშები. აღმოჩენილი ძვირფასეულობა რამდენიმე მილიონ დოლარად შეფასდა. იშვიათ საიუველირო ნაკეთობებს შორის არის - ოქროს გვირგვინი, ძვირფასეულობებით მოჭედილი ხანჯალი და ე.წ. "აფროდიტას სამკაულები". ლეგენდის მიხედვით, ისინი ღმერთ ჰეფესტოს მიერაა გამოჭედილი და ნებისმიერ ქალს ისეთ მშვენიერს ხდიდა, რომ ამ სილამაზის წინაშე ყველა უძლური ხდებოდა.

"ეს, შესაძლოა, ძველი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი კოლექცია იყოს, ეგვიპტეში აღმოჩენილ საგანძურებს თუ არ ჩავთვლით", - განაცხადა ავღანეთის ფინანსთა მინისტრმა აშრაფ განიმ.

# დაუდალავი ჯეი ლო



ჯენიფერ ლოპესმა მომღერლობაც სცადა და მსახიობობაც, და ახლა გადაწყვიტა, რომ ახალ სარბიელზე მოსინჯოს ძალები.

შეერთებული შტატების ფირმა Universal Domestic Television-თან ერთად მშვენიერ ბრონქსელს მაყურებელი ერთსაათიანი გასართობი პროგრამის პროდუსერის როლში იხილავს. გადაცემაში, რომელიც ეთერში მხოლოდ მომავალ წელს გავა, ის პოპკულტურის, მოდისა და ვარსკვლავების ამბებს განიხილავს. ცხადია, ტელემაყურებელი თავად ჯენიფერსაც იხილავს ხოლმე.

"შოუ, რომლის წამყვანებიც სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ინტერესების მქონე, ეშმაკი და წარმატებული ქალები არიან, არნახულად საინტერესოა ხოლმე. ძალიან ბევრს ვისიამოვნებთ," დაჰპირდა საზოგადოებას 33 წლის ჯენიფერი.

გადაცემის წამყვანი მისი და, ლინდა ლოპესი იქნება. "მე კარგ, ხარისხიან მასალას ვქმნი," განაცხადა მან, "უამრავ მაყურებელს მოვიზიდავ".

როგორც ჩანს, ჯეი ლო გასული კვირების განმავლობაში მის თავს დატრიალებულ უსიამოვნებებს არ ეპუება. არადა, მართლაც უსამოვნება შეემთხვა – მისი და ბენ აფლეკის ქორწილი ჯვრისწერამდე სულ ცოტა ხნით ადრე ჩაიშალა.

ჯენიფერს მიაჩნია, რომ მედიები მისი პირადი ცხოვრების ნაცვლად მისი შემოქმედებით უნდა დაინტერესდნენ. "ჩვენი ურთიერთობის ნაცვლად ჩვენს საქმიანობას შეხედონ", - ბრძანა მან ჟურნალ TV Spielfilm-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

უნდა ითქვას, რომ სიმღერა და მსახიობობა ჯენიფერს პირადი ურთიერთობების აწყობაზე შეუდარებლად უკეთ ეხერხება. "მანჰეტენის სიყვარულის ამბავში" მან საპირფარეშო ისე ბუნებრივად გაწმინდა, რომ კორსეპონდენტებს ერთსულოვნად გაუჩნდათ კითხვა: უკანასკნელად როდის მოუწია მსახიობს რეალურ ცხოვრებაში ამის გაკეთება?

ჯეი ლოს პასუხი იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ ზედმეტი კითხვა აღარავის გასჩენია: "დღეს დილითაც ვხეხე! მე ძალიან სუფთა პიროვნება ვარ. ჭუჭყს ვერ ვიტან. ძირს დაგდებულ ტანსაცმელს როგორც კი დავინახავ ხოლმე, უმალ ვიხრები და ვიღებ. სულ ვიღაცის ნამუსრევის დალაგება მიწევს. მე ძალიან პედანტური ვარ. ერთადერთი, ჭურჭლის რეცხვას ვერ ვიტან. როგორ მეჯავრება! ამას არ ვაკეთებ, თავი ვერაფრით ვაიძულე."

რა ქალი დაუკარგავს აფლეკს! სისუფთავის მოყვარული და თან უპრეტენზიო – ლოპესი მხოლოდ თეთრ ყვავილებს მოითხოვს, მეტი არაფერს. პატარა ბრონქსელი ჯენი ყოველთვის რომანტიული ბავშვი ყოფილა, ჭეშმარიტ სიყვარულზე ოცნებობდა, ერთი ნახვით შეყვარებაზე და ისევე, როგორც ყველა გოგო, თავის ზღაპრულ უფლისწულს ელოდა.

ჯეი ლო 23 წელი ბრონქსში ცხოვრობდა, და "ეს უზარმაზარი ნაწილია იმისა, რასაც წარმოვადგენ. ეს მე ვარ. როცა მეკითხებიან, ვინ ხარო, ვპასუხობ, რომ ბრონქსელი ჯენი ვარ". მსოფლიო აღიარებამ და მილიონებმა მხოლოდ მისი ცხოვრების წესი შეცვალა. ახლა ის პატარა ნაქირავები ბინის მაგივრად საკუთარ სახლში ცხოვრობს, და თითზე უზარმაზარი ვარდისფერი ბრილიანტიც აქვს წამოცმული.

პირველი ბრილიანტი ჯენისთვის არავის უჩუქებია, თავად იყიდა. მისი თქმით, ეს ტიპური ბრონქსული საქციელი იყო. ახლა ის ნოსტალგიურად იხსენებს იმ დღეებს, როცა არავინ უთვალთვალებდა და მშვიდად შეეძლო საყიდლებზე სიარული – "ეს ხომ ქალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კონცენტრირებისთვის სიმშვიდეა საჭირო. ახლა ამას ველარ ვახერხებ, ნახევარ საათში უკვე უამრავი ადამიანი მახვევია ხოლმე..."

ჰო, არ დაგვავიწყდეს: ჯენიფერ ლოპესმა TV Spielfilm-ში კატეგორიული განცხადება გააკეთა:

"სუნამოს რეკლამასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთამის", ბრძანა ჯეი ლომ, - "სადღაც წავიკითხე, რომ რეკლამაზე გამოსახული შიშველი სხეული ჩემი არაა. სწორედ რომ ჩემი სხეულია! და რეტუშირებაც არ დასჭირვებია! ეს ისე, რომ იცოდეთ!"

სკანვორდი



TV პროგრამა

23 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა. „რეინჯერსი"-"მანჩესტერი" **17.30** სერიალი „პაწაწინა ონავრები" **18.00, 21.00, 02.50** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები" **19.10** დოკ. ფილმი „ჯაზი" **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი „შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი „მეომრის დასვენება". მთ. რ-ში: ბრიჯიტ ბარდო.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ჩემი პატარა, ძვირფასი პლანეტა" **10.00** საპარლამენტო არჩევნები **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** დოკ. ფილმი „პატრიცია კაასი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი „ბუშლენდის სკოლა" **15.15** მხ. ფილმი „მიზანი-დედამიწა" **16.45** დოკ. სერიალი „პალიტრა" **17.20** მულტსერიალი „კიტუ" **17.35** რამპა **17.40** „ერთი თეთრიც ფულია" **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „კორდიეების ოჯახი" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „მოწიფული ცხოვრება".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „უარესი არ არსებობს" მთ. რ-ში ალისია სილვერსტოუნი, ვუდი ჰარელსონი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო" „სიმართლე ჩარლიზე" მთ. რ-ში მარკ უოლბერგი, ტენდი ნიუტონი. **01.40** „ღამურა" „კედლებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ" მთ. რ-ში შერონ სტოუნი, ვანესა რედგრეივი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** „ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი „მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები" **19.00** სერიალი „მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **20.45** მხ. ფილმი „ნიანგი დენდი" **22.45** საინფ. გამოშვება „ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი „ანგელოზების ქალაქი".

### მეორე არხი

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „არხების გადართვისას" **21.00** საუკუნის გიგანტები - მატერია და სიცოცხლე **22.10** მხ. ფილმი „დაუცველი".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „კრიმინალური საკითხავი" **15.00** მხ. ფილმი „კარტი, ფული, ორი ლულა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ. ფილმი „ზვიგენი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ყბები".

### იბერია

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30, 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „საჰაერო პოლიცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „ანგელოზთა საოცნებო ცხოვრება" **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკჰოლი **22.15, 23.00** დიალოგი **23.00** მხ. ფილმი „ქვრივის ცოლი" **01.55** მუსიკა.

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი „ნეკრესი" **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი „მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი „შერბურგული ქოლგები" **13.00** კინოგადაცემა „ნუმერატორი" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი „ფორტუნა" **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **14.50** „ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი „ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი „ღამის ექიმები" **20.00** „ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი „მოჯადოება" **22.20** „ტელემეტრი" **22.30** „ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი „ჩერნოვი".

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.00** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის" დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.30** ერთხელ ჰოლივუდში **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „გაიხსენო ყველაფერი" **15.15** მხ. ფილმი „მახეში გაბმული" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **19.20** სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი" **20.15** სპ. პროგრამა „ესტაფეტა" **20.40** „დროებითი ზღვარი" **23.15** კინოვარსკვლავთა ღამე „გაქცეული მონაზვნები".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.30** კომედია „სამი მამაკაცი და პატარა ლედი" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** ფანტასტიკა „ხელოვნური ინტელექტი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** ფანტასტიკა „ხელოვნური ინტელექტი" (გაგრძ.) **14.50** დოკუმენტური ფილმი **16.20** მულტფილმი „ცეროდენა გოგონა" **17.45** მელოდრამა „კანარის პრინცესა" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** თრილერი „ჯაშუშური თამაში" **21.35, 00.55, 02.45, 05.45** მუსიკა **23.00** „ექსკლუზივი" **23.40** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** კომედია „მოჩქარეს მოუგვიანდეს" **03.40** დრამა „ ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.20** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.20** მელოდია **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.20** ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო" - მე-16 სერია **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.30** მელოდია **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** მობილურები **19.00** „აჩიკუდა" **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** „ღამის კაპრიზი" **22.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.50** „კინოკლუბი „ - „მოუფრთხილებელი". მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ: მარკ ბინსტოკი. როლებში: ლუკ პერი, ადამ ბოლდუინი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე"- მე-18 სერია **01.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

### ОРТ

**07.00** „Доброе утро!" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 10.20 Худ.фильм „Убойная сила: Бабье лето" 11.20 Боевик „Великий Мерлин", 3 с. 12.40** Дисней-клуб: „Базз и его команда" **13.20** „Город женщин" **14.10 Детектив „Вербовщик" 16.20** „Фабрика звезд 3" **16.40** „Ералаш" **17.00 Сериал „Берег мечты" 18.00** „Большая стирка" **19.30** „Смехопанорама" **20.50 Худ.фильм „Побег" 22.00, 00.30** „Время" **22.30 Худ.фильм „Убойная сила: Принцип вины" 23.40** „Человек и закон" **00.50** „Теория невероятности". „Язык растений" **01.20** „Русский экстрим".

### РТР

**06.00** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „Каменская 3" 10.45** „Комната смеха" **11.45, 14.50, 17.30, 01.15** „Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.50, 23.00 Сериал „Баязет" 15.30** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.30 Сериал „Леди Босс" 18.10 Сериал „Бандитский Петербург" 19.10 Мелодрама „Ундина" 20.00 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **00.00** „Вести+" **00.20** „Исторические хроники". „1904. Антон Чехов" **01.30** „Народный артист" **01.40 Худ.фильм „Лолита" 04.20** „Дорожный патруль" **04.35 Сериал „Ангелы Чарли".**

### НТВ

**07.00** „Утро на НТВ" **09.50 Сериал „Черный ворон 2", 3 с. 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Квартирный вопрос: музыка витражей" **12.15** Ток-шоу „Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15** „Сегодня" **13.30 Худ.фильм „Приезжая" 15.35** „По праву" **16.35** Ток-шоу „Принцип домино". „Приказано - выжить!" **18.30 Сериал „Кодекс чести" 19.35** „Профессия - репортер". „Театр военных действий" **20.40 Худ.фильм „Призрак театра" 23.00** „Страна и мир" **23.35** „Красная стрела" **23.50** Ток-шоу „К барьеру!" **01.25 Худ.фильм „Антикиллер" 02.40** „Гордон" **03.40 Сериал „За гранью возможного".**

# მორიგი ჰოლივუდური ტრიუკი თუ..

სალომე კიკალეიშვილი

ჰოლივუდისთვის, საქორწინო ციებ-ცხელება უცხო არ არის, პირიქით ეს პოპულარობის და საკუთარი თავის რეკლამირების უმარტივესი, და უიაფესი საშუალებაა. საგანგებოდ მოიწვევენ პრესას, დანიშნავენ ქორწილის დღეს... შემდეგ კი მთელი მსოფლიო, "ერთგული" პაპარაცების საშუალებით შეყვარებულების ყოველ ნაბიჯს ადევნებს თვალყურს, მათი ფოტოები უფრო ხშირად ჩნდება პრესის ფურცლებზე, მოკლედ ნამდვილი ნადირობა იწყება. საბოლოო ჯამში კი, როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, ციებ-ცხელება ასე თავდება - გამოაცხადებენ, ჩვენ ერთმანეთისგან დავიღალეთო, და მორჩა. ამით ყველაფერი თავდება.

მომავალ წელს ჰოლივუდს ორი მნიშვნელოვანი ქორწილი ელოდება – დემი მურის და ლეონარდო დი კაპრიოსი. ოღონდ არ გეგონოთ, რომ ერთმანეთზე აპირებენ დაქორწინებას, დემი მური ახალგაზრდა მსახიობ ეშტონ კატჩერს მიჰყვება ცოლად, ხოლო დი კაპრიო სუპერმოდელ გიზელ ბანჩერს ირთავს. დემი მურის 25 წლის რჩეულს ეშტონ კატჩერს ქართველი მაყურებელიც იცნობს ფილმებით "სად არის ჩემი მანქანა" და "ახალდაქორწინებულები". როგორც ბედნიერმა სასიძომ განაცხადა, მან მურს ხელი მუხლზე დამდგარმა სთხოვა, და დადებითი პასუხის გაგონებისას ბედნიერმა წყვილმა არც ცრემლებზე თქვა უარი, მოკლედ ყველაფერი ისე იყო, როგორც ჰოლივუდშია მიღებული. მიუხედავად ასაკის სხვაობისა (მური 41 წლის ხდება), სასიძოს ნათესაობა წინააღმდეგი არ არის, ხოლო ეშტონის დედა ძალზედ კმაყოფილიც დარჩა მას შემდეგ, რაც მურთან "დედურად" ისაუბრა (მური ხომ სამი შვილის დედაა), ალბათ, იფიქრა -ჩემი შვილი კარგ ხელში გადადისო. მოკლედ ქორწილი მომავალ წელს ლას ვეგასში უნდა ჩატარდეს, სადაც 120 სტუმარი იქნება დაპატიჟებული (ამას ჰოლივუდში ვიწრო წრეში ქორწილი ჰქვია). მაგრამ ყველაზე საინტერესო ჰოლივუდური ჰეპი ენდის ფინალი იმაში მდგომარეობს, რომ პატარძალს საკურთხეველთან ყოფილი მეუღლე ბრიუს უილისი მიაცილებს.

ჰოლივუდი ჯერ კიდევ ამ ამბის "მონელების" პროცესში იყო, რომ ლეონარდო დი კაპრიო თავისი მომავალი ქორწინების შესახებ ალაპარაკდა. არ ვიცი როგორ გადაიტანენ მსახიობის ფანები ცნობას იმის შესახებ, რომ მას არაერთხელ შეუთავაზებია ცოლობა 23 წლის სუპერმოდელისათვის, რომელიც ყოველთვის უარით ისტუმრებდა ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ მამაკაცს, ბოლოს ეტყობა ნამუსმაც შეაწუხა, გაურკვევლად აჩეჩა მხრები და - "კარგი თანახმა ვარო" უპასუხა. "ეს სწორედ ის ქალია, რომელიც მას სჭირდება, ლეო ამაში დარწმუნებულია" – ამბობს მისი ერთ-ერთი მეგობარი. სასიძო კი, რომელიც წარსულში, არაერთი სასიყვარულო თავგადასავლის გმირი ყოფილა, აღარ აპირებს მშვენიერ თაყვანისმცემლებთან ახლო ურთიერთობის დამყარებას და საცოლეს მარად ეთგულებას ჰპირდება.

ერთგულების რა მოგახსენოთ, მაგრამ იმის იმედი მაინც მაქვს, რომ მორიგი ჰოლივუდური ტრიუკი კი არა, რეალური ქორწილები იქნება.



დემი მური და ეშტონ კატჩერი

## საფეხბურთო რეტროსპექტივა

ბუენოს აირესში ჩასული ტურისტები ერთი უჩვეულო გამოფენის მოწმენი გახდებიან. ოქტომბრის დასაწყისიდან 15 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობს გამოფენა მარადონას შესახებ. ამ უზარმაზარ რეტროსპექტივას შემდეგ სხვა ქალაქებსაც მოატარებენ.

ფეხბურთელმა გამოფენა არგენტინის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს ერნესტო ტეხოს მოაწყობინა. 12 დარბაზში განაწილებული ექსპონატები მარადონას მთელ ცხოვრებას ასახავს. აქ წარმოდგენილი ინსტალაციებიდან ზოგს "კერპის გამოღვიძება" ჰქვია, ზოგს – "ჯადოქრობის ფასი". წარმოდგენილია იმ სახლის ზუსტი ასლიც, რომელშიც ფეხბურთელი ვილა ფიორიტოს ღატაკთა უბანში ცხოვრობდა. სპეციალური ექსპოზიცია ეძღვნება მის "ოქროს ხანას" "ბოკა ხუნიორსში", "ბარსელონაში", "ნაპოლისა" და არგენტინის ეროვნულ ნაკრებში. ექსპონატებს შორის გახლავთ ის ბუცები, რომლებიც მარადონას ისტორიული გოლის გატანისას ეცვა 1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში.

წარმოდგენილია ექსპონატები მარადონას შავ-ბნელი პერიოდიდანაც, როდესაც მას კოკაინის მოხმარებაში ადანაშაულებდნენ. ფეხბურთელის ფანები კიდევ ერთხელ გადაავლებენ თვალს წარსულს და მარადონას ამბებს პრესიდან ამოჭრილი წერილებით გაიხსენებენ. იქვე იქნება ძველ "ამიგოებთან" - ფრედი მერკურისთან, ფიდელ კასტროსთან და პაპთან გადაღებული ფოტოებიც.

42 წლის მარადონა ახლა კუბაში ცხოვრობს. მართალია, ფეხბურთს ჩამოშორდა, მაგრამ მსგავსი ღონისძიებებით საზოგადოებას თავს მაინც ახსენებს ხოლმე. სანამ საკუთარ თავს გამოფენას მიუძღვნიდა, მარადონამ ერთი თვით ადრე საკუთარი ღვინის წარმოებაც დაიწყო.

მისი რეტროსპექტივა 2004 წლიდან მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას იწყებს; 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კი ის გერმანიაში დაბინავდება.







"60 წუთის" საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სკოლა აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას 2003-2004 წლისათვის. დარეკეთ: 25-31-81




ელიტარული დალმატინის ლეკვები 8-99-93-21-16



## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.